

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიგრაციის კვლევის ცენტრი

ნათია ჭელიძე

შრომითი ემიგრაცია  
პოსტსაბჭოთა საქართველოში



თბილისი 2006

უკ (UDC) 331:314,7  
ჭ 345

ნაშრომში შესწავლილია ამჟამინდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა \_ შრომითი ემიგრაცია. ანალიზი ეყრდნობა ფართო მასშტაბის სოციოლოგიურ გამოკვლევებს. დასაბუთებულია წინადადებანი შრომითი ემიგრაციის რეგულირებისათვის.

წიგნი განკუთვნილია მიგრაციის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის. იგი დაეხმარება პრაქტიკოს მუშაკებს მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რედაქტორი *პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

რეცენზენტები: *პროფესორი მერაბ ხმალაძე,*  
*პროფესორი მირონ ტულუში*

© გამომცემლობა «ლეგა», 2006

## წინათქმა

შრომითი ემიგრაცია თანამედროვე საქართველოს უმწვავესი პრობლემაა. იგი ახალი მოვლენა არაა, მაგრამ მასობრივი ხასიათი მიიღო პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად. ეკონომიკურმა კოლაფსმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, ფიზიკური გადარჩენისთვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. ამჟამად ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე უცხოეთში არალეგალურად, დისკრიმინაციულ ვითარებაში მუშაობს. ზოგი მათგანი ტრეფიკინგის მსხვერპლიც გახდა. მეორე მხრივ, მათი გზავნილები უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაში. შრომითი მიგრაცია თანდათან უფრო ეფექტიანი და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მორგებული ხდება. ამასთანავე, კვლავაც უმწვავეს ამოცანად რჩება მისი ლეგალიზაცია და რეგულირება, რაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი მიგრაციის შეუსწავლელობაა. არ გვაქვს ღრმა მეცნიერული კვლევები, რაზეც რეგულირების მექანიზმი უნდა დაეყრდნოს. ახალგაზრდა მეცნიერის – ნათია ჭელიძის ეს ნაშრომი ამ გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია.

აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა ავტორმა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის «შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის» სპეციალობის სტუდენტმა ბაკალავრიატში სწავლის პირველი კურსიდანვე დაიწყო. შეუპოვარი და მიზანმიმართული შრომის შედეგად მალე მიაღწია წარმატებას, როცა მესამე კურსის სტუდენტმა სამეცნიერო ნაშრომისათვის «საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თბ., 2000» საქართველოს პრეზიდენტის პრემია დაიმსახურა. მას შემდეგ მან ჩვენშიც და საზღვარგარეთაც მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოკვლევას დიდად შეუწყო ხელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრმაც, სადაც ბოლო ორ წელიწადში ინტენსიური მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს. მასში ჩაბმულნი არიან სხვადასხვა ფაკულტეტებისა და სპეციალობების სტუდენტებიც. ნ. ჭელიძე ცენტრის აქტიური თანამშრომელი და კვლევების ორგანიზატორია.

გვჯერა, რომ ახალგაზრდა მკვლევარი კიდევ უფრო გააღრმავებს შრომითი ემიგრაციის შესწავლას და ამ თემაზე ბევრ საინტერესო ნაშრომსაც გამოაქვეყნებს.

*პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

## შინაარსი

<b>წინათქმა</b>	<b>3</b>
<b>თავი I. შრომითი მიგრაციის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები</b>	
1.1. შრომითი მიგრაციის არსი, მიზეზები და ძირითადი შედეგები	5
1.2. შრომითი მიგრაციის თეორიები და შესწავლის მეთოდოლოგია	18
<b>თავი II. შრომითი ემიგრაციის ნაკადები და ძირითადი შედეგები საქართველოში</b>	
2.1. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მიზეზები, ძირითადი მიმართულებანი და ორგანიზების ფორმები	47
2.2. ემიგრაციულ ნაკადთა დემოგრაფიული, პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა და საზღვარგარეთ დასაქმების პირობები	75
2.3. შრომით ემიგრანტთა შემოსავლები და გზავნილები	103
2.4. მოსახლეობის ემიგრაციული განწყობა და რეემიგრაციული პოტენციალი	117
<b>თავი III. შრომითი ემიგრაციის რეგულირების ძირითადი მიმართულებები</b>	
3.1. შრომითი ემიგრაციის ორგანიზაციული სრულყოფა	125
3.2. შრომითი ემიგრაციის რეგულირების სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების გზები	136
<b>დასკვნა და წინადადებანი</b>	<b>145</b>
<b>Резюме (Трудовая эмиграция из постсоветсой Грузии)</b>	<b>157</b>
<b>დანართები</b>	<b>170</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>183</b>

## თავი I. შრომითი მიგრაციის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები

### I.1. შრომითი მიგრაციის არსი, მიზეზები და ძირითადი შედეგები

შრომითი მიგრაციისა და მიგრანტის სწორად განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ მიგრაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პროცესების მართვისათვის საჭირო ბერკეტების შესამუშავებლად<sup>1</sup>.

ლიტერატურაში შრომითი მიგრაციის განსხვავებულ განმარტებებს ვხვდებით. ჟ.ა. ზაიონჩკოვსკაია შრომით მიგრაციას განსაზღვრავს როგორც ადამიანთა დინამიურ, მოქნილ და ყველაზე დიდ მიგრაციულ ნაკადს, რომელიც სტიმულირდება მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. მოსახლეობის გადასახლებისაგან განსხვავებით, შრომითი მიგრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველ პერიოდში. იგი უკავშირდება შრომის ანაზღაურებას და გამომუშავებული თანხით განსაზღვრული პერიოდის ბოლოს უკან დაბრუნებას.<sup>2</sup> მიგრაციული მოდელების განხილვისას ჯონ სტილველი და პეტერ ქონგდონი შრომითი მიგრაციის დეფინიციას აზუსტებენ მასში «დროებითი» ელემენტის შეტანით.<sup>3</sup> ვინაიდან დროებითმა შრომითმა მიგრაციამ შეიძლება მიიღოს სტაციონარული ხასიათი და გადაიქცეს მუდმივ ემიგრაციად, რომელსაც შრომითი მიგრაციისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი – მიგრანტის შრომითი საქმიანობის ანაზღაურება საზღვარგარეთ და უცხოელი დამქირავებლისგან მიღებული შემოსავლის გადაგზავნა სამშობლოში – დაკარგული აქვს.

ცხარე კამათია საერთაშორისო მიგრაციის კლასიფიკაციაზე. გამოყოფენ შემდეგ სახეებსა და ფორმებს: მუდმივი, ხანგრძლივადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, შრომითი, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, სამივლინებო მიგრაციები.

საერთაშორისო შრომით მიგრაციას შეიძლება ჰქონდეს უმეტესი ზემოთჩამოთვლილი მიგრაციის დამახასიათებელი ელემენტი. ის შეიძლება იყოს ხანგრძლივადიანი, დროებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო.

შრომით მიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისგან და ამ განსხვავებაშიც თავს იჩენს კვლავ სიტყვა «დროებითი», რადგან ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივიც, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ-ინვესტორებთან და ტრანსნაციონალურ კორპორაციების შექმნასთან.

ხშირად შრომითი მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება,

<sup>1</sup> დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურისგან განსხვავებით დისერტაციაში მოყვანილი დეფინიციები – შრომითი იმიგრაცია და ემიგრაცია – არ გულისხმობს პირის ქვეყანაში შემოსვლას ან ქვეყნიდან გასვლას მუდმივად დასახლებისა და მოქალაქეობის მიღების მიზნით.

<sup>2</sup> Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Выпуск II. М., 2001. с.4

<sup>3</sup> Stillwell J. and Congdon P. Migration Models: Macro and Micro approaches. London and New York, Balhaven Press, 1991. p.9.

მათ შორის მათთვისაც, ვინც ვერ იპოვა თავისი ადგილი ეროვნულ შრომის ბაზარზე ან, საერთოდ, იგნორირებული იქნა მის მიერ. საშოვარზე სამუშაოდ წასვლა – ეს ის გზაა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს თითოეულმა მოქალაქემ. განსაკუთრებით დიდია მისი გადამრჩენი როლი იმ საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობისთვის, სადაც მოხდა წარმოების სრული გაჩერება<sup>4</sup>.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც «მოსახლეობის გადაადგილებას მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმების მიზნით»<sup>5</sup>.

შსო ასამბლეამ 1990 წლის 18 აპრილს მიიღო კონვენცია «ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ», რომლის თანახმადაც ტერმინი «შრომითი მიგრანტი» აღნიშნავს პირს, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქედაც ის არ ითვლება.<sup>6</sup>

შრომით მიგრანტებს კონვენცია მიაკუთვნებს დაქირავების გარეშე, თვითდასაქმებით მომუშავე მიგრანტებსაც, რამდენადაც აღნიშნული ფორმა მეტად ფართოდაა გავრცელებული დსთ-ს ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში. კონვენციით აღნიშნული განმარტებულია შემდეგნაირად: «ტერმინი «მომუშავე დაქირავების გარეშე» ნიშნავს მომუშავე-მიგრანტს, რომელიც ანაზღაურებად სამუშაოზეა დასაქმებული განსხვავებით დაქირავების ხელშეკრულებით დასაქმებისაგან და, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ანაზღაურების ხარჯზე საკუთარ არსებობას, საქმიანობს, როგორც წესი, დამოუკიდებლად, ანდა ოჯახის წევრებთან ერთად».<sup>7</sup> იგი შეიძლება გავაიგივოთ ვაჭრობა-ბიზნესში დასაქმებულებთან, რომლებსაც დასავლეთის ლიტერატურაში მოიხსენებენ ეპიზოდურ ან კომერციულ მიგრანტებად.

ჩვენი აზრით, ისინი არიან ქანქარისებური შრომითი მიგრანტები, რომლებმაც, უბრალოდ, შეიძინეს ახალი ელემენტები: მასში მონაწილეობს უმეტესწილად თვითდასაქმებული სამუშაო ძალა; გადაადგილების ხანგრძლივობა არის ერთიდან სამ კვირამდე და წელიწადში 3-4-ჯერ მეორდება; გადაადგილების სივრცე უფრო დიდია და სასაზღვრო ქვეყნებისთვისაა (ფრონტალური) უფრო მეტად დამახასიათებელი; ოპერაციის განხორციელებაში სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ოჯახის წევრები შეენაცვლონ ერთმანეთს.

მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ვაჭრობა-ბიზნესით დაკავებულ მიგრანტებთან ერთად გამოვყოფდით საზღვრისპირა მიგრანტებსაც. განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ისინი არიან არა თვიდდასაქმებულნი, არამედ დაქირავებულნი და დამქირავებლისაგან იღებენ შესრულებული სამუშაოს საფასურს. თუმცა ორივე ქანქარისებურ შრომით მიგრანტებს განეკუთვნება.

<sup>4</sup> ეს დაწვრილებითაა განხილული: ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომპოვებელ რეგიონებში. თბ., 2001.

<sup>5</sup> Glossary on migration. International Migration Law. International Organization for Migration (IOM), Geneva, 2004.

<sup>6</sup> Международная конвенция о защите прав всех трудящихся-мигрантов и членов их семей. Принята резолюцией 45/158 Генеральной Ассамблеи от 18 декабря 1990 года.

<http://www.un.org/russian/document/convents/migrant.htm>

<sup>7</sup> Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Выпуск II. М. 2001. с.5

რ. ბილსბოროუ და გ. ჰიუგო შრომით მიგრანტებს უწოდებენ პირებს, რომლებიც ქვეყნის მიერ მოზიდულნი არიან მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის მიზნით და არ წარმოადგენენ მათ მოქალაქეებს<sup>8</sup>.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ სხვადასხვა მეცნიერულ განმარტებას, მივიღებთ შრომითი ემიგრაციის თანამედროვე დეფინიციას: შრომითი ემიგრაცია არის გარკვეული დროით (როგორც წესი, 3 თვეზე მეტი) საზღვარგარეთ დასაქმება შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა, მოსახლეობის საშუალო კლასისა და საბაზრო ურთიერთობების ფორმირების ფაქტორია, საერთაშორისო ეკონომიკური გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, შრომითი რესურსების ასაკზე, სქესზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებაზე და ა.შ.

სამუშაო ძალის ტრანსსასაზღვრო გადაადგილება, როგორც წესი, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მატულობს ამასთან დაკავშირებული ხარჯებიც – დამატებითი დატვირთვა ინფრასტრუქტურაზე და სოციალურ სფეროზე, რეგიონები იცლება მოსახლეობისაგან, ჩნდება შემოსავლის განაწილების პრობლემები და სხვა.

შრომითი მიგრაციის თეორიებში აღნიშნულ მოვლენას უფრო ეკონომიკურ ახსნას უკეთებენ. მიკროეკონომიკის დონეზე ჩატარებული გამოკვლევები ავლენენ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მიგრაციის შესახებ წინასწარ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას, ესენია:

1. უმუშევრობა, არასრული დასაქმება;
2. მცირე შემოსავალი;
3. ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება;
4. სულ უფრო მზარდი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები;
5. გაუმჯობესებული კომუნიკაციები და სატრანსპორტო მომსახურების ფინანსურად ხელმისაწვდომობა;
6. აგენტების, დამქირავებლებისა და ადვოკატების ინსტიტუციონალიზებული და კომერციალიზებული ქსელების აქტივიზაცია;
7. სოფლად გაჩენილი ჭარბმოსახლეობა;
8. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ზეჭარბწარმოება და თანამედროვე ტექნოლოგიებთან პროფესიული მომზადების შეუსაბამობა;
9. ქვეყნის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე;
10. დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებში მუშახელზე მოთხოვნის ზრდა;
11. მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების სულ უფრო მზარდი განსხვავება;
12. ეკონომიკის გლობალური ინტეგრაცია და ა.შ.

ამას ემატება პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური, ბუნებრივი ფაქტორები, რაც იწვევს მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას, რომელიც ხშირად გადის იძულებითი, შრომითი მიგრაციების ფაზებს და მთავრდება სტაციონარული მიგრაციით.

მეტად საინტერესო და რთული ამოცანაა შრომითი მიგრაციის, როგორც მოვლენის, «პლუსების» და «მინუსების» შეფასება. რატომღაც მის დადებით ეკონომიკურ როლზე აქცენტი ნაკლებადაა გამახვილებული, უარყოფითზე კი (გადასახადების შემცირების

---

<sup>8</sup> Билсборроу Р.Е., Хьюго Г., Оберай А.С., Злотник Х. Статистика международной миграции. гл.2. МБТ. Женева-Москва, 1999. стр.176.

მიზნით შემოსავლების დამალვა, კრიმინალური ვითარების გამწვავება, არალეგალურ დასაქმებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი სიძნელები და სხვა) ბევრს წერენ და საუბრობენ. ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას ისიც წარმოადგენს, რომ ვაჩვენოთ სამუშაო ძალის მიგრაციის დადებითი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და შევაფასოთ მისი სოციალური მნიშვნელობა.

როცა შრომითი მიგრანტი ტოვებს თავის ქვეყანას, უდიდეს რისკს ეწევა, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მოგებული რჩება არა მარტო ის და მისი ოჯახი, არამედ სახელმწიფო და მსოფლიო საზოგადოებაც. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით. იგი გამოიხატება ემიგრანტთა გზავნილების ფორმით.

ქვეყნის ეკონომიკაზე გზავნილების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: შემოსავლების მიღება, წარმოების ხელშეწყობა, შესაძლო ინფლაცია, რისკების ზრდა; მას ცვლილებები შეაქვს სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში, შრომის ბაზარსა და სოფლის მეურნეობაში, არის პოტენციური განვითარების წყარო და ა.შ.

სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სახელმწიფოს სავალუტო შემოსავლების პირდაპირ წყაროებს მიეკუთვნება: 1. გადასახადები საშუალო ფირმების შემოსავლებიდან; 2. გადასახადები მიგრანტთა უშუალო გზავნილებზე; 3. მიგრანტების პირადი ინვესტირება (სამშობლოში ჩამოტანილი წარმოების საშუალებები და უძრავი ქონება, მიწისა და უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების შექმნა); 4. სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნის კაპიტალი, რომელიც გათვალისწინებულია შრომითი რესურსების აღწარმოებაზე, სოციალურ დაცვაზე; 5. გარდა ამისა, გამოკვლევებით დადგენილია, რომ მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისას მოაქვთ დაახლოებით იმ თანხის ტოლი ფასეულობანი და დანაზოგები, რომელიც მათ მიერაა განხორციელებული გზავნილებათა სახით. შესაბამისად, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში გზავნილებათა თანხა ორმაგდება.<sup>9</sup>

სამუშაო ძალის მიგრაციის მოდელები სავაჭრო ნაკადების დინამიკის მსგავსია, მაგრამ სასაქონლო ბაზრისაგან განსხვავებით, სამუშაო ძალის ექსპორტისაგან მიღებული შემოსავლების მისაღებად დონორ ქვეყანაში არაა საჭირო ერთდროული საწარმოო დანახარჯების განხორციელება. მუშების გამგზავნი ბევრი ქვეყნისთვის გზავნილები იმპორტის «შესყიდვის» მნიშვნელოვანი წყაროა. 2001 წელს ინდოეთის შიგა ეროვნული პროდუქტის 14% გზავნილებზე მოდიოდა, მექსიკასა და ეგვიპტეში \_8,4%, საბერძნეთში \_5,6%, ტაჯიკეთში \_7,7%, მოლდავაში \_14,3%<sup>10</sup>.

გზავნილები გავლენას ახდენს დონორი ქვეყნის განვითარებაზე. გზავნილები იხარჯება ბავშვების განათლებისთვის, მაღალხარისხოვანი და საფუძვლიანი მკურნალობისთვის, უძრავი ქონების შესაძენად, ოჯახის სტატუსის ამაღლებაზე, სხვადასხვა მშენებლობებზე, ვალების გადასახდელად, პროდუქციის შესაძენად \_იძენს რა მიგრანტის ოჯახი სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციას, იზრდება აღნიშნულის ადგილობრივი წარმოება, ჩნდება სამუშაო ადგილები. თუმცა გზავნილები დიდ სამრეწველო პროექტებში ძალზე იშვიათად იხარჯება და ისიც მცირე წილით.

<sup>9</sup> Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. "Demoscope Weekly", №207-208, 2005. www.demoscope.ru

<sup>10</sup> International Monetary Fund: Balance of Payments Statistics Yearbook: 2004. Wash., DC: The World Bank, World Development Indicators, 2002. p.79.



გაზრდილი მოხმარების ნეგატიური მხარე ის არის, რომ მან შეიძლება ინფლაციას შეუწყოს ხელი.

გზავნილები ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. მათზე დამოკიდებული ქვეყნები შეიძლება ეკონომიკური შოკის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასეთ დღეში აღმოჩნდნენ იორდანია და იემენი, როდესაც სპარსეთის ყურეში ომი დაიწყო და მიგრანტი მუშები გააძევეს.

დონორ ქვეყანაში ემიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, თუმცა ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე – ემიგრაციაში დონორი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობს და უმუშევრობის პრობლემას ამით ვერ გადაწყვეტს, ამასთან, მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება ხელფასების ინფლაცია გამოიწვიოს (იშვიათი შემთხვევაა; აღინიშნა ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში). გარკვეულ სექტორში შეიძლება შემცირდეს უმუშევრობა (მაგალითად, ემიგრანტთა პროფესიის მქონეთ უკვე უადვილდებათ სამუშაოს მოძებნა), მაგრამ ზოგიერთი სფერო ისევ ისე შევსებულია. დამქირავებლები უპირატესობას იმას ანიჭებენ, ვინც უკვე მუშაობს, რადგან თავიდან აიცილონ ახალი მუშახელის მოძიება. მათ ურჩევნიათ, კაპიტალი უფრო მეტად ტექნოლოგიებში დააბანდონ და წარმოება ამ გზით განავითარონ.

დონორი ქვეყნებისათვის მეტად სავალალოა ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება – დღეს მსოფლიოს შრომის ბაზრის უდიდესი ცენტრები იზიდავენ უმეტესად უკვე კვალიფიცირებულ, უმაღლესი ტექნოლოგიების სპეციალისტებს. ისევე, როგორც სავაჭრო ბარიერების შემოღებისას, იმიგრაციული შეზღუდვების შედეგად მსოფლიოს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩაკეტილი რჩება. გამგზავნი ქვეყანა კი კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას, მათ პროფესიულ მომზადებასა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს.

**დემოგრაფიული ეფექტი** ისაა, რომ ემიგრაციამ გამგზავნი ქვეყანაში შეიძლება შეამციროს მოსახლეობის სიმჭიდროვე და ის პრობლემები, რომლებიც ზრდასრული მუშახელის დაკმაყოფილებას ესაჭიროება. მაგრამ ამ დროს იზრდება დამოკიდებული მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური) – ბავშვთა და ხანდაზმულთა – ხვედრითი წილი. ზოგი ქვეყანა შეიძლება დეპოპულაციის საფრთხის წინაშეც კი დადგეს.

რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ახალგაზრდების იმიგრაცია კი მომგებიანია, როცა რისიფიკაციითი ქვეყანა ხასიათდება დაბალი შობადობით, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში დემოგრაფიული დატვირთვის წინაპირობას ქმნის.

**სოციალური ეფექტი** – სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს ახალ უფრო კულტურულ გარემოში შექმნილი ღირებულებები და ჩვევები თან ჩამოაქვთ. მაგალითად, თურქეთის ევროპიზაციაში დიდი როლი რეემიგრანტებს მიუძღვით<sup>10</sup>. ახალი ცოდნის შექმნისა და სამშობლოში ჩამოტანილი სიმდიდრის გამო მათ უფრო მეტ პატივსაც სცემენ. თუმცა შესაძლებელია ტრადიციულ ოჯახში გარკვეული დაძაბულობაც წარმოიქმნას:

როგორც ცნობილია, შრომითი მიგრანტების უმეტესობა მამაკაცებია, რაც ოჯახში ქალთა პასუხისმგებლობას და როლს ზრდის, ბავშვები მოკლებულნი არიან მამის მზრუნველობას, სუსტდება ოჯახური ურთიერთობები, წარმოიშობა თაობათა შორის

<sup>10</sup> ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი: (ფორმირება და განაწილება). თბ., თსუ, 1998. გვ.113.

კონფლიქტი. თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახი, რომელიც შრომითი მიგრაციიდან დეზულობს ეკონომიკურად მაღალ ეფექტს, უმეტესად არის სრული შემადგენლობის ოთხსულიანი ოჯახი ერთი ან ორი მცირეწლოვანი ბავშვითა და სათავებში მამაკაცით.<sup>11</sup>

მოსახლეობის ნაწილის ემიგრაციაში წასვლა თავისებურ ჩრდილს აყენებს ქვეყნის მცხოვრებთა ეროვნულ სიამაყეს, რაც გასათვალისწინებელია ემიგრაციული პოლიტიკის მხარდაჭერისას. მაგალითად, აზერბაიჯანის ეროვნული მეურნეობიდან გასულია მამაკაცების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთის სასურსათო ბაზრებზე მათი კონტროლი და ოჯახს გარეთ «დროებით ყოფნის» მუდმივი მდგომარეობა იწვევს აზერბაიჯანელი ეთნოსისა და საზოგადოების სტრუქტურის სოციალურ დეფორმაციას, რის შედეგადაც ხდება ნაციონალური ტრადიციების დაკარგვა. სისტემატური სასკოლო და უმაღლესი განათლების მიუწვდომლობა ფართო მასებისათვის იწვევს ახალგაზრდობის დენაციონალიზაციას.<sup>12</sup>

იმიგრანტებს ხშირად დაუმსახურებლად ადანაშაულებენ არეულობის შექმნაში, დანაშაულის ზრდაში, მიწისა და საცხოვრებელი სახლების ნაკლებობაში. ზოგჯერ უცხოელი სამუშაო ძალა აწყდება ფანატიზმამდე მისულ გალიზიანებას ადგილობრივი მოსახლეობის იმ ჯგუფებისგანაც კი, რომლებიც იმიგრაციით მოგებული რჩებიან. ვითარდება ე.წ. მიგრანტოფობია.

საერთაშორისო შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მიმღები და დონორი ქვეყნების, ასევე, სახელმწიფოთაშორისო და საუწყებოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. რეგულირების ღონისძიებები ხორციელდება იმ პროგრამების ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც მიმართულია იმიგრაციის შეზღუდვაზე თუნდაც სამშობლოში მათი დაბრუნების სტიმულირების გზით. ბევრი მიმღები ქვეყანა სელექციურად უდგება ემიგრაციის რეგულირებას და უპირატესობას ანიჭებს განსაზღვრული კვალიფიკაციის, განათლების, ასაკის, ჯანმრთელობის მქონე კონტინგენტს. რეემიგრაციის სტიმულირება ხორციელდება წამსვლელი იმიგრანტების მატერიალური კონპენსაციით, იმიგრანტთა პროფესიული მომზადებით, დონორ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნით, მსოფლიო ჰუმანური განვითარების პროექტებით, საინვესტიციო პროგრამებითა და ეკონომიკური დახმარებების აღმოჩენით. მიმღები ქვეყანა ვალდებულია, გაწიოს ხარჯები უცხო შრომითი რესურსების დაბალანსებისთვისა და მათი უფლებების დაცვისათვის, რათა იმიგრანტებმა მიაღწიონ სასურველ ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ თავისუფლებას. იგი უნდა დაეხმაროს როგორც მიგრანტებს, ისე მათ შვილებს მოქალაქეობის მიღებაში და, საერთოდ, მათი მომავლის გარკვევაში.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში, მზარდმა საერთაშორისო კომუნიკაციამ შეიძლება საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას შეუწყოს ხელი. მაგალითად, რუსეთიდან ტრანსფერული სახით გზავნილების ხარჯზე ცხოვრობს დსთ-ს ქვეყნების ბევრი მცხოვრები. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთს გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს, მაგრამ თუკი სხვა კუთხით მივუდგებით, ამ გზავნილებს რუსეთის საზღვრების, განსაკუთრებით კავკასიაში, დაცვასა და ვითარების სტაბილურობაში დიდი წვლილი

<sup>11</sup> Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Вып. II. М. 2001. с. 21

<sup>12</sup> Азербайджан: нефтяное лобби в Москве и трудовая миграция в РФ. 2001  
<http://www.profi.geteway.kg/azerbaijan>

შეაქვთ. სტაბილიზაცია – ეს ხომ სერიოზული რესურსია, რომლისთვისაც უნდა გადაიხადო!

ამრიგად, შრომითი მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები მიმღები და დონორი ქვეყნებისათვის, თვით მიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის. მთლიანობაში, იგი დადებითი მოვლენაა. მთავარია ის, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს შრომითი მიგრაცია ისე, რომ მისგან საზოგადოებამ მიიღოს მეტი ეფექტი.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო მიგრანტებს, ჩვეულებრივ, გამგზავრების წინ თვითონ ქვეყანაში შემოსავლების მიღების საშუალო (ან მასთან მიახლოებული) პოტენციალი აქვთ. ისინი არ განეკუთვნებიან უღარიბეს ფენებს. ღარიბ ქვეყნებში უმცირესი შემოსავლების მქონე ჯგუფებს არც გააჩნიათ პერსპექტივა, ფინანსური სახსრები და ინფორმაცია, რომ ფართომასშტაბიან საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ჩაებან. საერთაშორისო ემიგრანტები უმთავრესად საშუალო ფენებიდან გამოსული, ზოგჯერ თვით ავანტიურული ხასიათის ადამიანები არიან. გასვლამდე პოტენციური ემიგრანტების შემოსავალი დონორი ქვეყნის საერთო შემოსავლის ნაწილია, მაგრამ მათი გამგზავრება აქ უმუშევრობის დონეს შეამცირებს, შეიქმნება მუშახელის დასაქმებისა და ხელფასების გადიდების შესაძლებლობები. ასე რომ გამშვებ ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალის საშუალო შემოსავალი გაიზრდება, რითაც ის კმაყოფილი დარჩება. თუმცა ქვეყნის საერთო შემოსავალი შემცირდება. იზარალებენ ასევე მეწარმეები, რომლებსაც მოუწევთ ახალი სამუშაო ძალის მომზადება-გადამზადება და ანაზღაურების გადიდებაც. საერთო შემოსავალი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მასთან ერთად მცირდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, მრავალშვილიანი დედეებისა და არასრულწლოვანი ბავშვების დახმარებაზე, სოციალურ დაზღვევაზე, დახმარებები სიღატაკის გამო, ეკოლოგიური დანახარჯები. სამწუხაროდ, ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე: – მატულობს წმინდა საბიუჯეტო დანაკარგების წარმოშობის ალბათობა, ვინაიდან საზოგადოებრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდა და მიგრაცია ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპებს შეესაბამება. მიგრანტები ძირითადად ის ასაკობრივი ჯგუფია (25-45წწ.), რომელმაც უკვე მიიღო გარკვეული განათლება გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე და როცა თავისი შემოსავლებიდან უკვე მოწიფულ ასაკში თავად უნდა იხადოს გადასახადები, მაშინ ტოვებს საკუთარ ქვეყანას.

საზოგადოებისათვის დიდი ზარალია ისიც, რომ, არცთუ იშვიათად, მოკლე ხანში უკან ბრუნდებიან ხელმოცარული მიგრანტები, რომლებმაც ვერ მოახერხეს თავიანთი უნარისა და შესაძლებლობების ადაპტირება მიმღები ქვეყნის მოთხოვნებთან.

სულადობრივი და საერთო შემოსავლებზე ემიგრაციის შედეგების შეფასების დროს შეუძლებელია არ შევავსოთ ემიგრანტების მიერ ოჯახებისათვის და ნათესავ-მეგობრებისათვის ფულადი გზავნილების როლი. ქვეყნის საერთო შემოსავალი, რომელსაც აკლდება ემიგრანტებზე წასვლამდე გაღებული სიკეთე, აკლდება მათი წასვლის გამო არგანხორციელებული საშემოსავლო, ქონებაზე, ბრუნვიდან, ხელფასიდან გადასახადების აღება, საგრძნობლად ივსება ვალუტის სახით შემოსული ფულადი გზავნილებით.

ფულადი გზავნილი ასევე არ არის დანაკარგი არც მიგრანტისთვის, ვინაიდან იგი ნებაყოფლობითი საჩუქარია და არც იმიგრაციული ქვეყნისთვის, რადგანაც ის იგზავნება უცხოელი სამუშაო ძალის მიერ გამომუშავებული სახსრებიდან, რასაც,

ნაკლებმოსალოდნელია, რომ მთლიანად დახარჯავდეს იმიგრანტი მიმღები ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ემიგრაციულ ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის საშუალო შემოსავალი მატულობს გზავნილებისა და დასაქმების გაზრდის ხარჯზე; საზოგადოებრივი საქონელი კი უფრო ნაკლებ მოსახლეობაზე ნაწილდება.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს უცხოელთა შრომის გამოყენება მიმღები ქვეყნის საერთო შემოსავალსა და მოსახლეობის საშუალო შემოსავალზე?

ზოგადად, მიგრანტები ზედმეტ ტვირთს წარმოადგენენ მიმღები ქვეყნის ბიუჯეტისათვის, რადგანაც იზრდება სიღატაკისთვის დახმარების გაცემა; ზედმეტად იტვირთება საზოგადოებრივი სკოლები; მატულობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარჯები; იზრდება ოჯახის გაერთიანებაზე, მათ პოლიტიკურ თავისუფლებასა და მომავლის გარკვევაზე გაწეული ხარჯები; ეროვნულ თავდაცვასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გაღებული ხარჯები; პოლიტიკური ლტოლვილების ასიმილაციისთვის გამიზნული ხარჯები; რეპატრიაციის ხარჯები, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ იმიგრანტები გადასახადების სახით ბევრად მეტს იხდიან, ვიდრე მათი ჩამოსვლა უჯდება ბიუჯეტს, რაც ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის ეფექტით გარკვევით აიხსნება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არალეგალი მუშებიც ნეტო-გადამხდელებად გვევლინებიან მაშინ, როცა პრაქტიკულად მათთვის საზოგადოებრივი დოვლათი სრულად მიუღწეველია – არალეგალობის თუ ლეგალობის მიუხედავად, მიგრანტებს ახალ ქვეყანაში პენსიასა და სოციალურ დაზღვევაზე უმეტესწილად უარის თქმა უწევთ.

ყველაფერი ეს ცხადს ხდის, რომ მიმღები ქვეყანა საერთო შემოსავლის მატების თვალსაზრისით იგებს, მაგრამ ადგილობრივი სამუშაო ძალა აწყდება უცხოელთა კონკურენციას შრომის ბაზარზე და დგება საშუალო შემოსავლის შემცირების საფრთხის წინაშე.

ამრიგად, შრომითი მიგრაციით იგებენ მიგრანტები, დამქირავებლები, მიმღები ქვეყნის ბიუჯეტი (თუმცა სავარაუდოა, რომ სახელმწიფო ფინანსებზე იმიგრაციის თანამდევნი გავლენა მოსახლეობის ყველა ჯგუფზე თანაბრად ნაწილდება) და ემიგრაციის ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალა. ზარალობენ მიმღებ ქვეყანაში კონკურირებული მუშები და გამგზავნი ქვეყნის მეწარმეები. მიმღები ქვეყანა იგებს სამუშაო ძალის ბაზარზე ცვლილებების ხარჯზეც და სახელმწიფო ბიუჯეტზეც დადებითი ზემოქმედებითაც. დონორი ქვეყანა კარგავს ორივე ამ ფაქტორის მიხედვით, თუ არ გავითვალისწინებთ მიგრანტთა ფულად გზავნილებს. მაგალითად, ქ. თბილისში ჩატარებული კვლევებიდან მთლიანად ჩანს, რომ შრომითი მიგრაციის შედეგად ოჯახების უმეტესობამ გაიუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა, რასაც ვერ ვიტყვით ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე. პირიქით, უკანასკნელ წლებში იმდენად დაეცა ქვეყანაში ცხოვრების დონე, რომ მისი დახასიათებისათვის თვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც კი არაა საჭირო.<sup>13</sup>

ცნობილია, რომ მიგრანტთა შრომითი დასაქმებით მიღებული შემოსავლები თავიანთი სიდიდით ნავთობისა და ნარკოტიკების შემდგომ მესამე ადგილზეა. დასაქმების ფორმების არალეგალური საქმიანობის შედეგად, ხშირად, ეს ყველაფერი ფარულად

<sup>13</sup> ხმალამე მ. თბილისის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. // აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. 2002, №2. გვ.21.

«ჩრდილოვანი ეკონომიკის» სფეროში ექცევა. შრომითი მიგრაცია მსოფლიოში წამყვან ბიზნესად იქცა. ოფიციალური მონაცემებით 1990-იან წლებში აღირიცხებოდა 30 მლნ შრომითი მიგრანტი, რომლებიც წარმომშობ ქვეყანაში გზავნიდნენ 67 მლრდ აშშ დოლარს<sup>14</sup>. 2003 წლის მონაცემებით მსოფლიო ფულადმა გზავნილებმა მიაღწია 93 მლრდ-ს<sup>15</sup>, რაც 20%-ით აღემატება 2001 წლის მონაცემებს და რომელიც მსოფლიოში ჩამორჩება მხოლოდ ნედლი ნავთობის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს.

ამრიგად, მთლიანად მსოფლიო, ეკონომიკური თვალსაზრისით მოგებულ რჩება, რადგან მიგრაციის თავისუფლება ადამიანებს საშუალებას აძლევს, გადავიდნენ იმ ქვეყანაში, სადაც მეტ წვლილს შეიტანენ მსოფლიო წარმოებაში. როცა შრომის ბაზრები პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელისუფლების მიერ ვერ რეგულირდება, მოქმედებას იწყებს მასობრივი პროცესი\_ შრომითი მიგრაცია.

## I.2. შრომითი მიგრაციის თეორიები და შესწავლის მეთოდოლოგია

საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიულ დამუშავებას მრავალი მეცნიერი შეუდგა. ისინი ცდილობენ საერთაშორისო მიგრაციის მიზეზების ახსნას და გამოყოფენ სავსებით განსხვავებულ, ამავე დროს, ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებს. მაგრამ შრომითი მიგრაციის საერთო თეორიების შექმნის, მიზეზებისა და შედეგების ახსნის ნებისმიერ მათ ცდას მივყავართ ევერესტ ლიის გამონათქვამამდე: «მიგრაცია \_ ეს კომპლექსური მოვლენაა და ის ძნელად თუ მოექცევა განსაზღვრულ სქემაში».<sup>16</sup> სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილებაზე თეორიული მასალა მწირია, ამიტომაც მიგრაციის თეორიებში ხშირად ჭარბობს პოლიტიკური და სოციოლოგიური ახსნა.

**ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორიის**<sup>17</sup> მიმდევრები (J.R. Harris, m.P. Todaro, O. Stark, D. Massey, R. Cohen) საერთაშორისო შრომით მიგრაციას ხსნიან ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეების სხვაობით, კერძოდ, შრომის ანაზღაურებაში განსხვავებით. ბუნებრივია, სამუშაო ძალა მიემართება იქ, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურებაა. ამითაც ვლინდება საერთაშორისო შრომის ბაზრის თვითრეგულირებადი ხასიათი. ეკონომიკის აღმავლობისა და ემიგრაციის გაძლიერების კვალდაკვალ ხელფასის დონეებს შორის განსხვავებაც მცირდება და საემიგრაციო სტიმულიც იკლებს. მუშახელის ექსპორტიორი ქვეყანა შეიძლება იმპორტიორადაც გადაიქცეს. ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია გულისხმობს, რომ მიმღები და დონორი ქვეყნების შრომითი რესურსები აბსოლუტურად იდენტურია (შეუძლიათ ერთმანეთი შეცვალონ) და ორივე ქვეყანაში მიგრაციის პროცესში ნარჩუნდება სრული დასაქმება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, რეალობას არ შეესაბამება.

**ადამიანური კაპიტალის თეორიაში** (J.S. Becker, L.A. Sjaastad, H.R. Clarke, B.R.Chiswick) მიგრაციის მიზეზებს განიხილავენ მიკროდონეზე. თითოეული მიგრანტი

<sup>14</sup> Stephen Castles, Mark J. Miller. The Age of Migration. Great -Britain, 1998. p.5.

<sup>15</sup> Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. Журнал "Вопросы статистики", №3, 2005. стр.38.

<sup>16</sup> Lee E. A Theory of Migration. Demography, Vol.3. N1, 1969. p. 297.

<sup>17</sup> Todaro M.P. Internal Migration in Developing Countries. Geneva, ILO, 1976; Stark O. The Migration of Labor. Cambridge: Basil Blackwell. 1991.

მოიაზრება როგორც მის განათლებაში, კვალიფიკაციასა და სამედიცინო მომსახურებაში ინვესტირების შედეგი. მიგრირების პროცესში ადამიანური კაპიტალის თეორია გარდა ეკონომიკურისა, მხედველობაში იღებს, ასევე ფსიქოლოგიურ დანაკარგებს, როგორცაა: განშორება ახლობლებთან; არამატერიალური ფაქტორები – კლიმატი, უფრო მაღალი დონის კულტურასთან და სხვა საზოგადოებრივ სიკეთესთან ხელმისაწვდომობა და სხვა, რაც, უმეტესწილად, მიგრაციის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიღმა რჩებოდა.

ბარი ჩაისვიკი (Chiswick B.R.) აღნიშნულ თეორიას შრომით მიგრანტთა სელექციურ მოდელად მიიჩნევს, რომელიც როგორც დონორ, ისე მიმღებ ქვეყნებში ახდენს ხელსაყრელ სელექციას შრომითი მიგრანტების მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით. სელექციური მიდგომა კიდევ უფრო წარმატებულია, თუ მიმღებ და გამგზავნ ქვეყნებში ხელფასებს შორის ფარდობითი სხვაობა მეტია მაღალკვალიფიციური მუშაკების სასარგებლოდ<sup>18</sup>.

**მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია**<sup>19</sup> (O. Stark, E. Taylor, D. Massey, P. Arnold) ეყრდნობა მიკროეკონომიკურ ფუნქციონალურ ანალიზს. მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ კოლექტიურად, ოჯახის წევრების მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის არასაკმარისად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ რისკების გადალახვა შეიძლება უფრო მეტი სტიმული იყოს ოჯახისთვის, ვიდრე ხელფასებს შორის სხვაობა. ამ თეორიის მიმდევრები ცდილობენ ახსნან მიგრაციის პროცესი მაკროდენეზე და ხაზს უსვამენ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შედეგად ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. დონორ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობამ შეიძლება არა იმდენად მუხრუჭის როლი შეასრულოს, რამდენადაც სტიმულისა, რადგან იგი თავის თავში მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებებისთვის დამატებით დაინტერესებას.

**საზოგადოებრივი კაპიტალის თეორიის მიხედვით** (D. Massey, L.P. Goldring, J. Durand) «საზოგადოებრივ კაპიტალში» მოიაზრება იმიგრაციის ქვეყანაში გამოცდილ მიგრანტთა ქსელების არსებობა, რომლებმაც უკვე შექმნეს ადგილობრივ შრომის ბაზარზე დამკვიდრების გარკვეული სქემები და განავითარეს ინფრასტრუქტურა (განვითარებული ტრანსპორტი, სასაქონლო ბაზრები, საბითუმო ბაზრები, შუამავალთა ინსტიტუტები, დილერები, «საკუთარი» საზოგადოებრივი კვება და ა.შ. ხშირად ბაზრებს აქვთ თავიანთი სასტუმროები, აბანო-სამრეცხაო კომბინატი, საკუთარი დაცვა). მიგრანტთა «საზოგადოებრივ კაპიტალად» შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, მიმღებ და დონორ ქვეყნებს შორის შუამავალი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომერციული ინსტიტუტები, რომლებიც კიდევ უფრო ამარტივებენ იმიგრირების პროცესებს და უცხო გარემოში ქმნიან საიმედო დასაყრდენს.

<sup>18</sup> Chiswick B.R Are Immigrants Favorably Self-Selected? An Economic Analysis. Chapters 3. Migration Theory. Talking Across Disciplines. Edited by : Hollifield J.F., Brettel C.B. 2000. p.61-76.

<sup>19</sup> Massey D., Joaquin A., Koucouci Ali, Pellegrino A., Taylor E.J. Worlds in Motion: Understanding International Migration at the End of the Millenium. Oxford: Oxford University Press. 1998.

ცალკე აღებული ოჯახური მიგრაციის ეკონომიკის<sup>20</sup> (G. Borjas, J. Mincer) თეორიით შეუძლებელია შრომითმიგრაციული განწყობის ახსნა. ის მიგრაციის მიზეზებს და მიმართულებებს განსაზღვრავს ოჯახის თვალსაზრისით. იგი გულისხმობს ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიდგომებს. ოჯახური წყვილის გადაწყვეტილება ემიგრირებაზე დამოკიდებულია მოსალოდნელ სარგებელზე.

**სეგმენტირებული (მეორადი) შრომის ბაზრის თეორიაში**<sup>21</sup> (M.J. Piore, A. Portes, L. Basch) შრომითი მიგრაცია ასე განიხილება: ეკონომიკური განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე მდიდარი ქვეყნების შრომის ბაზარზე ჩნდება იაფ უცხოელ მუშახელზე მუდმივი მოთხოვნა. ეროვნული სამუშაო ძალის სტაბილური სამუშაო ადგილებითა და მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა ხდება შრომის ბაზრის პირველადი სექტორით, მეორადი სექტორი კი თავისი დამახასიათებელი ნიშნების გამო (არასტაბილური დასაქმება, დაბალი ხელფასი, პროფესიული ზრდის მცირე შესაძლებლობა და სხვ.) ნაკლებად მიმზიდველია მათთვის და მას უთმობენ უპრეტენზიო შრომით იმიგრანტებს.

შრომის ბაზრის სეგმენტირების პროცესი ყველაზე აქტუალურია მსოფლიო მეგაპოლისებისათვის.

**შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის**<sup>22</sup> (Э. Плетнев, J.H. Johnston) თანახმად შრომის მსოფლიო ბაზარი ფორმირდება და ფუნქციონირებს სამუშაო ძალის ექსპორტი-იმპორტის შედეგად და მკაფიოდ გამოხატული ტერიტორიული საზღვრები არ გააჩნია. საერთაშორისო მიგრაცია განისაზღვრება სამუშაო ძალის არა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებითა და ხელფასის დონეებს შორის სხვაობით, არამედ მსოფლიო პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და სხვ. პროცესების დინამიკით. მიგრაციაზე აღნიშნული ფაქტორების კომპლექსურ გავლენას აქამდე განხილული თეორიები არ ეხებიან.

**მსოფლიო სისტემების, ანუ მსოფლიო მეურნეობის თეორიაც**<sup>23</sup> (S. Sassen, E.M. Petras) მსგავსია შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის. ამ თეორიის თანახმადაც საერთაშორისო შრომითი მიგრაცია უფრო ინტენსიურია ყოფილ კოლონიების მქონე სახელმწიფოებსა და მათ კოლონიებს შორის, რადგან მათ შორის ჩამოყალიბებულია კულტურული, ისტორიული, ენობრივი, ადმინისტრაციული და სხვა კავშირები. ამასთან, კავშირგაბმულობის საშუალებები, განვითარებული სატრანსპორტო ქსელი აადვილებს ადამიანთა საერთაშორისო გადაადგილებას.

**ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თეორია** (W.R. Bohning, G. Bhagwati) ki im თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გამოდიან უცხოელ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი როლიდან, აქცენტს აკეთებს სამუშაო ძალის მიწოდებაზე, მის თვისობრივ ხასიათზე და დონორ ქვეყნებში მიგრაციის მიერ

---

<sup>20</sup> Borjas G. Heaven`s Door: Immigration Policy and the American Economy. Princeton: Princeton University Press. 1999.

<sup>21</sup> Piore M.J. Birds of Passage: Migrant Labor and Industrial Society. Cambridge: Cambridge University Press. 1979; Portes A. The Economic Sociology of Immigration. New York: Russell Sage. 1995.

<sup>22</sup> Плетнев Э.П. Международная миграция рабочей силы в капиталистической системе мирового хозяйства. М.: Международные отношения. 1962.

<sup>23</sup> Sassen S. Globalization and Its Discontents. New York: The New Press. 1998. Petras E. The Global Labor Marker in the Modern Economy// Global Trends in Migration: Theory and Research on International Population Movements / Ed. by M. Kritz, C. Keely, S.M. Tomasi. New York: Center for Migration Studies. 1981.

გამოწვეულ შედეგებზე. ისმება საკითხი მიგრანტთა გამგზავნი ქვეყნების სასარგებლოდ «უფრო სრულყოფილი და სამართლიანი კომპენსაციის მექანიზმის» შესამუშავებლად.

**ღია ეკონომიკის თეორიული მოდელი (P. Stalker)<sup>24</sup>** გულისხმობს, რომ საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ ბევრ მუშახელს, უნდა განთავსდეს განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალტევადი და მაღალტექნოლოგიური საწარმოები. ეს შეასუსტებს შრომითი რესურსების გადაადგილების აუცილებლობას. მაგრამ რეალურად სხვა სურათი მივიღეთ: განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის არარსებობამ მიგრაციული ნაკადები მისგან ვერ შეამცირა, პირიქით, ევროპასა და აშშ-ში იმიგრანტებმა თანდათან გამოდევნეს დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებიდან ეროვნული მუშახელი, მაღალტექნოლოგიური წარმოება კი კვალიფიციურ მუშაკთა სიიაფის გამო მესამე სამყაროში გადავიდა. ხელოვანში განსხვავების ფაქტორის შესწავლისას პიტერ სტალკერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრების დონისა და შრომის პირობების გათანაბრების ტენდენცია, რომელიც ამერიკისა და ევროპის მაგალითზე შეინიშნება, განვითარებადი ქვეყნებისთვის მიუღებელია. მესამე სამყაროდან მასობრივი ემიგრაცია ჯერ ვერ გვადლევს ვერც უმუშევრობის დონის შემცირების, ვერც შემოსავლების გათანაბრებისა და ვერც რეალური ეკონომიკური ზრდის იმედს, რადგან ფულადი გზავნილები ინდივიდთა ხელიდან ხელში გადადის და ძირითადად იხარჯება ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

სტალკერი აყალიბებს თანამედროვე მიგრაციის მოდელს, რომელიც ეკონომიკურ ფაქტორებზეა აგებული: ა) ყველა ინდივიდი ცდილობს ემიგრირებიდან მიიღოს სარგებელი; ბ) ოჯახი მიისწრაფვის არასტაბილურ მსოფლიოში ცხოვრების რისკი შეამციროს ოჯახის შრომისუნარიანი წევრის საშოვარზე გაგზავნით; გ) ხდება შრომის ახლებური საერთაშორისო დანაწილება – იმიგრანტებს წილად ხვდათ დაბალანაზღაურებადი, არასტაბილური, არაპრესტიჟული სამუშაო ადგილები.

**«აღმავლობის» ანუ «ტექნოლოგიური განვითარების» თეორის წარმომადგენლის ჯორჯ საიმონის<sup>25</sup>** აზრით, როგორც იმიგრაციული ქვეყნისთვის, ასევე გლობალურ დონეზე, მიგრანტთა განსაზღვრული რიცხოვნობა შეიძლება გახდეს აღმავლობის პირობა. მიგრაციული პროცესები დადებითი მუხტის მატარებელია მიმღები ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებისთვის, მიგრანტები სავსებით ანაზღაურებენ იმ საზოგადოებრივი საქონლის ღირებულებას, რითაც ისინი სარგებლობენ, რადგან თვითონ აწარმოებენ, ნაწილობრივ მოიხმარენ კიდევ და იხდიან გადასახადებს.

**«მიზიდვა-განზიდვის» (Pull-Push) თეორია (H. Jerome, E.A. Lee)** მკაფიოდ გამოხატავს დონორი ქვეყნიდან ემიგრირებაზე გადაწყვეტილების მიღებაში «განმზიდავი» ფაქტორების როლს, მიმღებ ქვეყანაში კი შესაბამისად – «მიმზიდავი» ფაქტორების როლს. ანუ ემიგრირების პროცესი განისაზღვრება პოტენციური მიგრანტების მიერ ამ ფაქტორების სუბიექტური აღქმით.

<sup>24</sup> Stalker P. Workers Without Fronters. The Impact of Globalization on International Migration. Linne Ricnnsner, 2000. p.21-41.

<sup>25</sup> Simon J. The Economic Consequences of Immigration. Oxford: Blackwell.1989.



**ინტეგრაციის თეორიის**<sup>26</sup> თანახმად, სამუშაო ძალის მიგრაცია ხდება მანამდე, სანამ საინტეგრაციო სისტემაში არ გათანაბრდება ზღვრული შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. მიგრაციას ასტიმულირებს თავისუფალი გადაადგილების დაშვება, კვალიფიკაციის ურთიერთალიარება და, საერთოდ, გამოირიცხება კულტურული და ენობრივი განსხვავების გადამწყვეტი მნიშვნელობა. სოციალურ-კულტურული მიკუთვნების როლი მიგრაციის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებაში ამ თეორიაში ნაკლებად მიიღება მხედველობაში, თუმცა, ევროკავშირის მოქალაქეთა მიგრაციული განწყობის შესწავლისას გამოყენებული სხვადასხვა მიგრაციული მოდელები მოწმობენ მიგრანტთა ნაკადების მასშტაბისა და მიმართულებების განსაზღვრისას ტრადიციული დამოკიდებულებების მნიშვნელოვან როლს.

ინტეგრაციული თეორიის თანახმად, რეგიონებს შორის შემოსავლებსა და ხელფასებს შორის გათანაბრება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს კაპიტალისა და საქონლის მოძრაობით და მხოლოდ ამის შემდეგ შრომითი მიგრაციის შედეგად;

**საგარეო ვაჭრობის თეორიის** (Гудрун Биффль, Mandel R.)<sup>27</sup> წარმომადგენელი რ. მანდელი ამტკიცებს, რომ სავაჭრო ბარიერები ასტიმულირებს წარმოების ფაქტორების მოძრაობას, საქონლით ვაჭრობაზე კი ახდენს დადებით ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, ევროპის ქვეყნებში ინტეგრაციული პროცესები ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებს შორის საქონლით ვაჭრობის გაფართოებას და სამუშაო ძალის მიგრაციის შემცირებას. მისი ვარაუდით, სამუშაო ძალის მიგრაცია ნაწილობრივ შეენაცვლა საგარეო ვაჭრობას, მაგრამ ეს სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო ვაჭრობის მამოძრავებელი იქნებოდა მსოფლიოს ქვეყნების სარესურსო ბაზებს შორის განსხვავება. გაცვლის შედეგად წარმოიქმნებოდა ისეთი შრომის დანაწილება, რომელიც უპასუხებდა საწარმოო ხარჯებში შედარებით უპირატესობებს. 80-იანი წლების დასაწყისიდან კი ხარჯებში შედარებით უპირატესობის პრინციპი აღიქმება როგორც მოვლენის სუსტი ახსნა, ვინაიდან მთავარი სავაჭრო ნაკადები მოდის ერთნაირი განვითარების დონის ქვეყნებზე და მრეწველობის ერთსა და იმავე დარგის საზღვრებში, ამიტომ სასაქონლო ვაჭრობა და შრომითი მიგრაცია ურთიერთშემავსებელი მოვლენებია და, აქედან გამომდინარე, გარკვეული კვალიფიკაციის სამუშაო ძალა წავა იქით, სადაც გამოყენებული იქნება იგი საექსპორტო საქონლის წარმოებაში (მაგალითად, ინფორმაციული უზრუნველყოფის მუშაკები, პროგრამისტები, ინჟინრები წავლენ კომპიუტერებისა და პროგრამული პაკეტების წარმოების ცენტრებში). ეკონომიკურ განვითარებასთან თანამოქმედება მიგრაციული პროცესების ალტერნატივა კი არ არის, არამედ მისი შემავსებელია. ის ხელს უწყობს მიგრაციის ხასიათის შეცვლას, მაგრამ არ აუქმებს თვითონ მოვლენას. სავაჭრო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია და მიგრაციული ნაკადები ხშირად კი არ ცვლიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

სავაჭრო ნაკადების მოდელები შეესაბამებიან მიგრაციული ნაკადების მოდელებს. ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე უფრო დიფერენცირებული ხდება გასაცვლელი საქონლის სტრუქტურა და მაღლდება მათი ხარისხი, ამის მსგავსად

<sup>26</sup> Hollifield J.F. The Politics of International Migration. Chapter 6. Migration Theory. Talking Across Disciplines. Edited by : Hollifield J.F., Brettel C.B. 2000. p.137-187.

<sup>27</sup> Гудрун Биффль. Миграция и ее роль в интеграции Западной Европы. Австрийский институт экономических исследований. [http://vasilieva.narod.ru/ptpu/13\\_4\\_00.htm](http://vasilieva.narod.ru/ptpu/13_4_00.htm),  
<http://www.archipelag.ru/agenda/povestka/povestka-immigration/europa-dis/integratsiya/>

მიგრაციული ნაკადების წანაცვლებაც ხდება უფრო მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნის მიმართულებით.

**მიგრაციული ქსელების თეორიას**<sup>28</sup> (D. Massey, A. Simmons) საფუძვლად უდევს ცნება «მიგრანტთა საზოგადოება». მიგრანტთა თავდაპირველი ნაკადები საფუძველს უქმნის მიგრაციული ქსელის ფორმირებას, რაც ასუსტებს მიგრაციის ბარიერებს და კიდევ უფრო აძლიერებს იმიგრაციულ ტალღას. ქსელი აღრმავებს თანამემამულეებთან კავშირს და ასრულებს ინფორმატორის როლს.

**კუმულაციური მიზეზობრიობის თეორია** (D. Massey) მიგრაციული ქსელების თეორიის თავისებური განვითარებაა. მიგრანტთა მიერ შექმნილი სოციალური ინფრასტრუქტურა მიგრაციულ პროცესებს სძენს ძლიერ შინაგან ინერციას, რაც მიგრანტებს ეხმარებათ წინააღმდეგობა გაუწიონ შემზღუდავი იმიგრაციული პოლიტიკის მანიპულაციებს.

**მიგრაციული სისტემების თეორია** (R.E. Bilborrow, M.M. Kritz, H. Zlotnik, D. van de Kaa, D. Massey) შრომის მსოფლიო ბაზრის, მსოფლიო სისტემებისა და კუმულაციური მიზეზობრიობის თეორიების გაერთიანებაა. შრომითი მიგრაცია განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, მისი ახსნისთვის აუცილებელია სისტემა განვიხილოთ მთლიანობაში. ეს თეორია გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორს არ განსაზღვრავს როგორც აუცილებელ პირობას. ტერიტორიულად დაშორებული ქვეყნები შეიძლება წარმოადგენდნენ გლობალური მიგრაციული სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი შეეცადა დაემუშავებინათ ახალი საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო შრომითი მიგრაციის წარმოქმნისა და განვითარების სინთეზური ახსნები. ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო მიგრაცია აღმოცენდება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების კვალდაკვალ, იგი სტრუქტურული ტრანსფორმაციის საზოგადოებაში<sup>29</sup> საბაზრო ურთიერთობების განვითარების შედეგია.

ორი ათწლეულის მანძილზე მიმდინარე თეორიული და ემპირიული კვლევები შეჯამდა სინთეზურ თეორიაში. დუგლას მასეი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო შრომით მიგრაციას განაპირობებს არა ცალკეული ფაქტორები, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თეორია ერთად: **ნეოკლასიკური თეორიის** თანახმად რაციონალურად მოქმედი სუბიექტი ემიგრირდება იმიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელი მაღალი ხელფასის გამო, მაშინ როცა **შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიის** შესაბამისად, მიგრანტი ცდილობს გადალახოს თავის ქვეყანაში არსებული საკრედიტო და სადაზღვევო სისტემების, ფიუჩერსების, კაპიტალისა და შრომის ბაზრების ნაკლოვანებები საზღვარგარეთ დროებითი დასაქმების მეშვეობით, გამომუშავებული თანხით კი მოახერხოს სამშობლოში თვითდაზღვევისა და თვითდაფინანსების წყაროს შექმნა. ნათელი გახდა, რომ იმიგრაციული და

<sup>28</sup> Simmons A., Piche V. Teaching Migration and Globalization // GENUS. Vol.LVIII (N3-4), 2002.

<sup>29</sup> სტრუქტურული ტრანსფორმაციის საზოგადოებაში დუგლას მასეი მოიაზრებს საზოგადოების ორ ტიპს: გლეხურ სოფლის მეურნეობაზე ბაზირებული (ძველი კოლონიები) და ცენტრალიზებული დაგეგმვის \_ პოსტსოციალისტური ქვეყნები (მაგალითად, სსრკ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და 1989 წლამდე სხვა სოციალისტური ქვეყნების ბლოკი). Massey D., A Synthetic theory of international migration. World in the mirror of international migration. International migration of population: Russia and contemporary world. Volume 10. Moscow, MSU, Max Press, 2002. p. 143.

ემიგრაციული ქვეყნების ხელფასებს შორის განსხვავება არ წარმოადგენს გადაადგილების მოტივაციის ერთადერთ და არც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს (ამის მაგალითია ევროკავშირის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის გადაადგილების არარსებობა) და მიგრაცია იქამდეც კი წყდება, სანამ მოხდებოდეს ამ განსხვავებებს შორის გათანაბრება (მაგალითად, პუერტო რიკო და აშშ-ს შორის მიგრაციული პროცესების შეწყვეტა).

სტრუქტურული ტრანსფორმაციების საზოგადოებაში უმუშევრად დარჩენის რისკი დიდია, ამიტომ ჩნდება სტიმული «თვითდაზღვევისა» და ოჯახიდან ერთი-ორი ადამიანი საზღვარგარეთ მიდის სამუშაოდ. იგივე მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაშიც. მოძველებული ტექნიკით გარე ბაზარზე ორიენტირება შეუძლებელი აღმოჩნდა, გაძნელდა კომერციულ ფერმერულ მეურნეობასა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლა. სუსტად განვითარებული საბანკო სისტემები ვერ უზრუნველყოფენ მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კრედიტების გაცემას. ამას ემატება მოსავალზე ფასების დაცემისა და მოუსავლიანობის საშიშროება, რაც იძულებულს ხდის მოსახლეობას, უსაფრთხოების მიზნით ოჯახის ერთი წევრი მაინც დაასაქმოს საზღვარგარეთ, რათა საერთოდ, არსებობის წყარო არ დაიკარგოს.

დუგლას მასეი იშველიებს **სეგმენტირებული შრომის ბაზრების თეორიას** და მიგრირების მოტივაციას ხსნის თვით იმიგრაციის ქვეყნებში უცხო სამუშაო ძალის შეყვანაზე აუცილებელი მოთხოვნით, რაც ხშირად ლეგალური გზითაც ხორციელდება.

მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც განვითარებად რეგიონებში ქმნის მობილურ მოსახლეობას, მსოფლიო მეგაპოლისებში იზრდება მათ მომსახურებაზე მოთხოვნა (**მსოფლიო სისტემების თეორია**). მიგრაციული პროცესები ასევე წარმოიქმნება საგარეო პოლიტიკითა და საომარი მოქმედებებით, რაც, თავის მხრივ, აჩენს ლტოლვილთა ნაკადს, პოლიტიკურ დევნილებსა და თავშესაფრის მაძიებელთ.

ვინაიდან მიგრაციული ქსელის ზრდის ხარჯზე იმიგრაცია ქმნის თვითმზარდ ძლიერ ტენდენციას, იმიგრანტთა კონცენტრაცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოქმნის «ოჯახი და მეგობრები»-ს ეფექტს. იგი ხელს უწყობს იმიგრანტთა ეკონომიკური ანკლავის ფორმირებას, რომელიც კვლავ გაზრდის მოთხოვნას მიგრანტებზე (**საზოგადოებრივი კაპიტალის თეორია**). მიგრაციის ყოველი აქტი აფართოებს სოციალურ ინფრასტრუქტურას (**კუმულაციური მიზეზობრიობის თეორია**). იმიგრაციული ქვეყნების მიერ შემზღუდავი პოლიტიკის მიღების საწინააღმდეგოდ, მიგრაციული ქსელები თვით ქმნიან მომსახურების ახალ სექტორს (მიგრაციის ხელშემწყობი სააგენტოები, დამქირავებლები, შუამავლები), რომელიც ხელს უწყობს პოტენციურ შრომით მიგრანტთა დამქირავებლებთან დაკავშირებას და ა.შ.

დ. მასეიმ მოუყარა თავი ექვსი თეორიის მთავარ მოსაზრებებს და შექმნა **სინთეზური თეორია**, რომელიც ეყრდნობა ძირითად დებულებებს, რითაც, მიზანშეწონილია, მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისას იხელმძღვანელონ:

ა) საერთაშორისო შრომითი მიგრაცია წარმოადგენს არა ეკონომიკური ჩამორჩენილობის, არამედ სწორედ საბაზრო ეკონომიკის განვითარებულობის შედეგია. ფაქტობრივად, არცერთ ქვეყანაში მომხდარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების გარეშე იმ სფეროდან, რომელიც ადრე მათ ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. საერთაშორისო მიგრაციაში

ყოველთვის ძალიან ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა არ მონაწილეობს. შიგა მიგრაციისგან განსხვავებით, საერთაშორისო გადაადგილებით სტიმულირდება გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობა, რადგან რაღაც ხარისხით, მათ უკვე აქვთ ურბანიზაციის გამოცდილება;

ბ) საერთაშორისო შრომითი მიგრაცია საერთაშორისო საზღვრების გადამკვეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციების პროცესების შედეგია. ტრანსფორმაციის პერიოდში მოსახლეობა «უნებურად» არ გადაადგილდება იქით «საითაც მოხვდება» ან რომელიმე ახლო მდებარე მდიდარ ქვეყანაში, არამედ მიემგზავრებიან იქ, სადაც არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კავშირები. ეკონომიკური კავშირები გამოიხატება ვაჭრობასა და ინვესტიციების სფეროში, პოლიტიკური – სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, ყოფილ კოლონიურ ურთიერთობებსა და სამხედრო თანამშრომლობაში; სოციალური კი – ნებისმიერ ინსტიტუციონალურ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მყარ, რეგულარულ კონტაქტებს ხალხთა შორის, მაგალითად, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, დიპლომატიური მისიები, ტურიზმი, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა და სხვა;

გ) შრომითი ემიგრანტები განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრებიან იქაურ შრომით ბაზარზე ძლიერი და მყარი მოთხოვნის შესაბამისად, რაც წარმოიშობა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში, სადაც შრომის ბაზარი სეგმენტირებულია პირველად და მეორად სექტორებად. ასე რომ, მათზე მოთხოვნა რომ არ იყოს, არავინ ემიგრირდებოდა, მითუმეტეს, არალეგალური გზით;

დ) მიგრანტები, როგორც წესი, საზღვარგარეთ მიემგზავრებიან შემოსავლის მიღების მიზნით და არა სამუდამოდ დარჩენის განზრახვით. გამომუშავებული თანხით ეხმარებიან სამშობლოში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევას და ცდილობენ, საკუთარი დანაზოგით დააფინანსონ ოჯახები, ადგილობრივი წარმოება და დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები;

ე) საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ზოგჯერ შრომის ბაზრის პირობების გავლენას უფრო ნაკლებად ექვემდებარება, ვიდრე სხვა ბაზრების მოთხოვნებს. ამჟამინდელი იმიგრაციული პოლიტიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ მიგრანტები გადაადგილდებიან მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით, ამიტომ პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ გავლენა მოახდინოს შრომის ბაზრის პირობებზე. მაგრამ ცხადია, რომ მიგრანტები, მოსალოდნელზე დაბალი ხელფასების შემთხვევაშიც, არ კარგავენ სტიმულს, ვინაიდან მიგრირების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ოპტიმისტური საერთაშორისო პროგრამები;

ვ) როგორც არ უნდა იყოს მიგრანტთა პირველადი განზრახვა, შეძენილი მიგრაციული გამოცდილების მერე მათი მოტივაცია იცვლება. მიგრირების ხანგრძლივობის კვალდაკვალ იზრდება სამუდამოდ გადასახლების ალბათობაც. მაღლდება მოთხოვნილებათა კულტურა, ჩნდება ახალი გემოვნებები და მიზნები, რომელთა დაკმაყოფილება სამშობლოში უკვე შეუძლებელია. ამასთან მიგრანტები თანდათანობით აღრმავებენ მიმღებ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, თხოვნით მიმართავენ მთავრობას ოჯახის წევრების ჩამოყვანის უფლების დაშვებაზე და, რაღაც დროის მერე დროებითი მიგრანტები გადაიქცევიან მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებად;

ზ) მიუხედავად მიგრაციის ინტენსიურობის მზარდი ტენდენციებისა, მიგრაციული ნაკადები არ არის მუდმივი, მათ გააჩნიათ რაღაც ბუნებრივი ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს ან მცირე ხნით, მაგრამ აუცილებლად დროის გარკვეულ ზღვრამდე. ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ევროპის უმეტესმა ქვეყანამ «ემიგრაციული გადასვლა» გაიარა ემიგრაციის ინტენსიურობის დაბალი მაჩვენებლიდან მაღლისკენ და კვლავ შემცირებისკენ. იგი გამოიხატება გადაბრუნებული U-ს ფორმის მრუდით, რომელსაც მარტინმა და ტეილორმა უწოდეს «მიგრაციული კუზი»<sup>30</sup>. ისტორიის გადმოსახედიდან ამ პროცესმა მოიცვა 8-9 ათწლეული. ხეტონმა და უილიამსონმა 1850 წლიდან 1914 წლამდე ევროპის 15 ქვეყანაზე დაკვირვებით უჩვენეს ემიგრაციული გადასვლის გადაბრუნებული U-ს ფორმის შედარებით დაბალი და გაშლილი მრუდი.<sup>31</sup>

მთელი რიგი მონაცემები უჩვენებს, რომ შემცირდა არა მარტო მასობრივი ემიგრაცია, არამედ «ემიგრაციული გადასვლის» დროც. აზიის ქვეყნებზე დაკვირვებით, მრუდი სწორდება 3-4 ათეულ წელიწადში;

თ) საერთაშორისო მიგრაციის დაწყება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი შეწყვეტა – აღიარეს პოლიტიკოსებმა. მეტად მნიშვნელოვან მექანიზმს საერთაშორისო მიგრაციის ინტენსიურობისთვის წარმოადგენს მიგრაციული ქსელების წარმოქმნა, გავრცელება და მათ მიერ შექმნილი საკუთარი ინფრასტრუქტურა.

ამრიგად, ჩვენი შეხედულებით, ტერიტორიული გადაადგილების თეორიული შესწავლა გვკარნახობს, რომ ღია და დახურული მიგრაციული პოლიტიკის არჩევანს შორის მოიძებნოს მესამე გზა: უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ბუნებრივი ნაწილია და, ორმხრივ სარგებლის მიღებაზე დაფუძნებული კაპიტალისა და საქონლის ნაკადების მსგავსად, ისიც მოითხოვს როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნისთვის მოგების მაქსიმიზაციასა და ხარჯების მინიმიზაციაზე ორიენტირებას. იგი უნდა განხორციელდეს მსგავსი მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეგიდით, რომლებიც არეგულირებენ ვაჭრობასა და სახელმწიფოთაშორის ინვესტიციებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ახსნა მიგრაციის რომელიმე კონკრეტული მოდელით შეუძლებელია. არსებულ მიგრაციულ ვითარებას შედარებით შეესაბამება სინთეზური მოდელი. საქართველოც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ნაწილია და, შესაბამისად, მის გავლენას განიცდის.

\* \* \*

საერთაშორისო მიგრაციის შესწავლა მსოფლიოში დაფუძნებულია ოთხ ძირითად საინფორმაციო წყაროზე: სასაზღვრო სტატისტიკა; ადმინისტრაციული წყაროები; მოსახლეობის რეგისტრი, მოსახლეობის აღწერა, ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე; ნებართვა მიგრანტის დასაქმებაზე და შერჩევითი გამოკვლევა.

სასაზღვრო სტატისტიკა მოიცავს ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში შესვლა-გასვლის ყველა ფაქტს. მაგრამ ის

<sup>30</sup> Martin P.L. and Taylor E.J. The Anatomy of a Migration Hump // In: Development Strategy, Employment, and Migration: Insights from Models / Ed. by J.E. Taylor. Paris: OECD. 1996. p. 43-62.

<sup>31</sup> Hatton T.J. and Williamson J.G. The Age of Mass Migration: Causes and Impact. New York: Oxford University Press. 1998. p.413.

არ განასხვავებს ერთმანეთისგან შრომით მიგრანტებს, ტურისტებს, სტუდენტებსა თუ ა.შ. ამიტომ იგი შრომითი მიგრაციის შესასწავლად ნაკლებად მიზანშეწონილია.

უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა ადმინისტრაციული წყაროები, რომლის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს მოსახლეობის რეგისტრი, მათ შორის უცხოელთა რეგისტრი. მას გამოყოფენ ცალკე კატეგორიად, რადგან განსხვავებით მონაცემთა შეკრების სხვა სისტემებისგან, იგი ახდენს ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უწყვეტ რეგისტრაციას, მოიცავს თითოეული ადამიანის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციას. უცხოელთა რეგისტრი ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, განათლებაზე, პროფესიაზე, დასაქმების შესაძლო ტიპზე, ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ხანგრძლივობაზე, არსებობის აუცილებელ წყაროზე და ა.შ. რეგისტრში ყველა უცხოელის ჩართვა ვერ მოხერხდა სხვადასხვა ქვეყანაში დამატებითი პირობების მოთხოვნის გამო (კერძოდ, ქვეყანაში ყოფნის მინიმალური ხანგრძლივობის დადგენა ქვეყნების გადაწყვეტილების მიხედვით; გადაადგილების თავისუფალი რეჟიმი სხვადასხვა პირობებში აყენებს უცხოელებს).

შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრაციული წყაროს ნაირსახეობაა საცხოვრებელ ადგილზე ნებართვების სტატისტიკა, იგი ასახავს უცხოელის ყოფნას ქვეყანაში და იძლევა მუდმივად გადმოსახლებულების, შრომითი მიგრანტების, სტაჟიორების, უცხოელი სტუდენტების, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ვიზის ტიპის მიხედვით, მაგრამ ვერ ეხება თავისი მოქალაქეების გადაადგილებას.

მოსახლეობის აღწერა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მიგრაციის შესახებ უფრო მრავლისმომცველი ინფორმაციული ბაზაა ქვეყნებს შორის შედარების გასაკეთებლად. მოსახლეობის აღწერის მთავარ დადებით მხარედ სხვა წყაროებისგან განსხვავებით შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მოიცავს უკანონო მიგრანტებსაც. გაერო და მასში შემავალი სტრუქტურები (ILO, IOM, UNHCR) საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის დამუშავებაში ეყრდნობიან აღწერების მასალებს.

თუმცა მას მთელი რიგი შეზღუდვებიც აქვს: ა) დროის დიდი პერიოდი აღწერებს შორის ვერ იძლევა სწრაფი ცვლილებების დაფიქსირების საშუალებას; ბ) ანკეტაში მცირერიცხოვანი კითხვებით მიგრანტთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია; გ) აღწერების უმრავლესობას არალეგალურ მიგრანტთა უმეტესი ნაწილი კარგი შენიღბვით არიდებს თავს; დ) აღწერების მასალები ქვეყნდება აღწერიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, თანაც მიგრაციის საკითხებით დაინტერესებულთათვის სტატისტიკური ცხრილების შეზღუდული რაოდენობით.

ხშირად მოსახლეობის აღწერის ფარგლებში ტარდება შერჩევითი გამოკვლევაც, რომელიც გულისხმობს ანკეტის გაფართოებას თემატური ინფორმაციის მოპოვების მიზნით (საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციის, მისი სტრუქტურის, დეტერმინანტებისა და შედეგების შესახებ). იმ ქვეყნებისთვის, სადაც იმიგრანტები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, შერჩევითი გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

ზემოთხამოთვლილი საინფორმაციო წყაროები ვერ იძლევა დეტალურ სურათს უშუალოდ შრომითი მიგრაციის შესახებ, ვერაფერს ამბობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის მნიშვნელობაზე, შრომით მიგრანტთა შედარებით ზუსტ

რაოდენობასა და მიგრაციის ხანგრძლივობაზე. ამ მხრივ უფრო მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ადმინისტრაციული წყაროს ერთ-ერთ სახეს - სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემას. იგი მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ მიღებული და აპრობირებულია. აღრიცხვა წარმოებს როგორც მიმღებ, ისე წარმოშობის ქვეყანაში<sup>32</sup>. სტატისტიკის სისტემა აერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროების სიდიდეებს: ა) დასაქმების კერძო და სახელმწიფო სააგენტოების მიერ წარმოებულ მონაცემებს, ბ) მოსარგებლე-მეწარმისგან ანგარიშს, გ) შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანიზაციებისგან მიღებულ ინფორმაციას (საელჩოები, საკონსულოები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, მიგრანტის სტატუსის შეცვლის სამთავრობო კამპანიები).

ქვეყნების უმრავლესობაში საზღვარგარეთ მიგრანტთა დასაქმებას არეგულირებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან მსგავსი სტრუქტურის მიგრაციის სამსახური და მიგრაციის ტერიტორიული ორგანოები (ბელარუსიის რესპუბლიკა, მაროკო, ტაჯიკეთის რესპუბლიკა); შსს იმიგრაციის სამმართველო, საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტრო, იმიგრაციული პოლიტიკის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო (საბერძნეთი); შრომისა და დასაქმების ცენტრალური საგოგადო უწყება (პოლონეთი). შრომის სამინისტროს საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის სამმართველო და ემიგრაციის ბიურო (ფილიპინები, შრი-ლანკა, ტაილანდი, პაკისტანი), მიგრაციის ფედერალური სამსახური (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია); იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამინისტრო (აშშ), რომელთა ძირითადი ამოცანებია: შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე გამოყოფილი კვოტების და მოთხოვნების შესაბამისად საზღვარგარეთ მუშაობის მსურველთა შეკრება და შერჩევა; დასაქმების სააგენტოების ლიცენზირება; დასაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობის კონტროლი; მოქალაქეთა საზღვარგარეთ შრომის მინიმალური სტანდარტების დადგენა; სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტზე ნებართვების გაცემა; საინფორმაციო ბანკის შექმნა შრომით მიგრანტთა გასვლა-შემოსვლის შესახებ; დამოწმებული შრომითი კონტრაქტების წარმოება-აღრიცხვა და სხვა.

შრომითი მიგრანტების შემოყვანა-გაყვანა და რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემის საფუძველზე. იგი საშუალებას იძლევა სახელმწიფომ აწარმოოს ქვეყნიდან გასული და შემოსული შრომითი მიგრანტების სრულფასოვანი აღრიცხვა, რადგან სამუშაოზე გაცემული ნებართვების რაოდენობა პირდაპირ თანაფარდობაშია შრომით მიგრანტთა რიცხოვნობასთან. სტატისტიკური ანგარიშის წარმოება მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. შრომითი მიგრანტის არაზუსტი იდენტიფიცირების გამო ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება რამდენჯერმე აისახოს საინფორმაციო ბაზაში. ამკარა შეცდომების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ერთმანეთისაგან განასხვავონ შრომითი მიგრანტები, ვინც: ა) პირველად იღებს საზღვარგარეთ შრომაზე ნებართვას; ბ) ნებართვის ვადას ახანგრძლივებს; გ) არსებული ნებართვის მოქმედების პერიოდში იცვლის დამქირავებელს და ანახლებს ნებართვას; დ) ინდივიდუალურად იღებს მასზე გათვლილ ნებართვას და არ არის ორგანიზებულად შეკრებილი შრომით მიგრანტთა ჯგუფის წევრი, ანუ კოლექტიური ნებართვის მფლობელი; ე) ერთდროულად მუშაობს

<sup>32</sup> Билсборроу Р.Е., Хьюго Г., Оберай А.С., Злотник Х. Статистика международной миграции. гл.2, 3. МБТ. Женева-Москва, 1999.

რამდენიმე დამქირავებელთან, რის გამოც ფლობს შესაბამისი რაოდენობის ნებართვას; ვ) ნამდვილად სხვა ქვეყნის მოქალაქეა (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბახრეინსა და საუდის არაბეთში<sup>33</sup> ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში საკუთარი მოქალაქეც ვალდებულია აილოს ნებართვა).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით გაკეთებული მონაცემთა ბაზა მაინც ვერ იძლევა ქვეყანაში შრომითი მიგრანტების იდენტიფიცირების საშუალებასა და იმის მტკიცების საფუძველს, რომ მიგრანტთა რაოდენობა შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვების რიცხოვნობის ეკვივალენტურია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებზე არ ვრცელდება ნებართვების სისტემა მის წევრ ქვეყნებში დასაქმებისთვის; ზოგიერთ ქვეყანაში ასევე არ ვრცელდება ყოფილი კოლონიების მოქალაქეებზეც; სტუდენტები, რომლებსაც დროის შეზღუდულ პერიოდში აქვთ მუშაობის უფლება, ვერ ექცევიან ნებართვების სისტემის ჩარჩოებში; ვენესუელასა და რიგ ქვეყნებში ნებართვებს არ საჭიროებს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა; შრომითი მიგრანტების ოჯახის წევრებს, რომლებიც მანამდე მის კმაყოფაზე იყვნენ, შეიძლება მიეცეთ ნებართვა მუშაობაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი ხანია იმყოფებოდნენ იმიგრაციის ქვეყანაში, მათი დაფიქსირება ნებართვების მეშვეობით პირველად მოხდება; ქვეყანაში არაშრომითი მიზნით შემოსულმა (ტურისტი, იძულებითი დევნილი, თავშესაფრის მამიებელი) ასევე შეიძლება მოითხოვოს და მიიღოს კიდევ მუშაობაზე ნებართვა მას შემდეგ, როცა მოახერხებს შეიცვალოს მიგრანტის სტატუსი; სტატისტიკა არ ასახავს შრომითი კონტრაქტების შეწყვეტის ფაქტებსაც; ნებართვების სტატისტიკას აქვს ის ნაკლიც, რომ ის არ მოიცავს არალეგალურად მომუშავე უცხოელებს.

მოყვანილი ნაკლოვანებების გარეშე რთულია მონაცემთა შეგროვება, ამიტომ საინფორმაციო ბანკის შექმნისა და მონაცემთა ურთიერთშესაძარისობის უზრუნველყოფისათვის დიდი ყურადღება ექცევა დასაქმების კერძო სააგენტოებისგან, მოსარგებლე-მეწარმისგან და მიგრანტთა სტატუსის მარეგულირებელი სამთავრობო კამპანიებისგან წარმოდგენილი ანგარიშების გაერთიანებას.

მოსარგებლე-მეწარმისაგან, იგივე დამქირავებლისგან ყოველწლიურად სტატისტიკური სტრუქტურებისთვის ანგარიშის წარდგენა დადგენილია ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით. ასეთი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია თვით საწარმოს გამოკვლევითაც. ვინაიდან დამქირავებელი ანგარიშში ასახავს მხოლოდ ლეგალური და რეგულირებული სტატუსის მქონე მუშახელის მონაცემებს (შრომითი მიგრანტის სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, პროფესია, დაქირავებისა და დასაქმების ტიპი, ხელფასის ოდენობა, ნებართვის მოქმედების ვადა, ვიზის სახეობა), აღნიშნული სტატისტიკური ცხრილებიც არასრულყოფილია.

დასაქმების კერძო სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები იკრიბება ყველა დამოწმებული შრომითი კონტრაქტის მიხედვით. სტატისტიკურ ცხრილები შეიცავენ მონაცემებს: მიგრანტის ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, მიმღები და გამგზავნი რეგიონები, ქვეყანაში ყოფნის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროფესია, კვალიფიკაციის დონე, საქმიანობის სავარაუდო სახე და სექტორი, მიგრირების ტიპი (პირველადი თუ მეორადი), ხელფასის სიდიდე, მიგრანტის დაქირავების ტიპი

<sup>33</sup> Манело И. Абелла, Направление Трудящихся в зарубежные страны МОМ. Кавказская региональная служба. 1997. с.19-30.



(მთავრობის ხელშეწყობით, კერძო სააგენტოს შუამავლობით, უშუალოდ დამქირავებლის შემოთავაზებით და ა.შ.), გასასვლელი ვიზის სახეობა, გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა.

აღსანიშნავია, რომ ნებართვებისა და დამოწმებული შრომითი კონტრაქტების რაოდენობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვაობას განაპირობებს იმ პირთა აღურიცხაობა, რომლებიც დასაქმდნენ დამქირავებელთან პირადი ნაცნობობის მეშვეობით და რომლებიც ემიგრირდნენ არარეგისტრირებული დასაქმების სააგენტოების მიერ, ასევე დროის პერიოდი, რაც საჭიროა ნებართვის მოპოვებიდან შრომითი კონტრაქტის გაფორმებამდე. ამის გამო ზოგიერთ ქვეყანაში კანონით მოთხოვნილ იქნა შრომითი მიგრაციის ორგანიზების პროცედურის ხელმისაწვდომობა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დასაქმების მიზნით მიმავალი პირების აღრიცხვა (ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქის პასპორტში კეთდება ნებართვის ქონის დამადასტურებელი აღნიშვნა-ბეჭედი). საზღვარზე ჩატარებული შემოწმებისას მათი უმრავლესობა განახლებული შრომითი კონტრაქტების მქონე მუშახელი აღმოჩნდა, რომლებმაც სამუშაო ნახეს დამოუკიდებლად დასაქმების სააგენტოს გვერდის ავლით.

არალეგალი მიგრანტების აღწერაში ჩართვისთვის, რიგ ძირითად იმიგრაციულ ქვეყანაში, ხორციელდება მიგრანტთა სტატუსის დამრეგულირებელი პროგრამები, რომლებიც უკანონო მიგრაციული პროცესების მართვის ერთგვარ სინჯს წარმოადგენენ. ასეთი კამპანიები არალეგალ შრომით მიგრანტთა მასშტაბისა და თავისებურებების დადგენის კარგი ინდიკატორია.

მიგრაციის საერთაშორისო სტატისტიკის სფეროში მომუშავე ცნობილი ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციას სტატისტიკური ცხრილების რეგულარულად გამოქვეყნების შესახებ<sup>34</sup>. ცხრილები უნდა შემუშავდეს კონტრაქტით მომუშავე მიგრანტებზე გაცემული ნებართვების მონაცემებით და უნდა აჯამებდეს ზემოთჩამოთვლილი წყაროების ყველა საჭირო ინფორმაციას.

ხარვეზების შესავსებად აუცილებელი ხდება სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, ინფორმაციის მიღება და დამუშავება ინტერვიუების გზით, რომელიც მითითებულია ბევრ სპეციალურ ლიტერატურაში<sup>35</sup> და ამ მოსაზრებას ჩვენც სავსებით ვეთანხმებით.

იმისათვის, რომ შეფასებული იქნეს საერთაშორისო მიგრაციის გავლენა წარმოშობის ქვეყანაზე, არსებობს მოთხოვნა შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების გაზომვაზე. ამ შემთხვევაში მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს ყოველწლიური საგადაამხდელო ბალანსი.

გზავნილების მოცულობის შეფასება და საგადაამხდელო ბალანსში მათი აღრიცხვა არის ნაკადების მართვისა და კონტროლის მეთოდოლოგიური საფუძველი. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ გზავნილების შესახებ მონაცემთა ხარისხი არ არის

<sup>34</sup> Билсборроу Р.Е., Хьюго Г., Оберай А.С., Злотник Х. Статистика международной миграции. гл.3, 4. МБТ. Женева-Москва, 1999. стр.155-203.

<sup>35</sup> **Девятко** И.Ф. Методы социологического исследования. Учебное пособие. М., 2002; **Семенова** В.В. Качественные методы: введение в гуманистического социологию. Институт социологии РАН, учебное пособие для студентов ВУЗ. М., Добро свет, 1998; *Рабочая книга социолога*. М., 1997. **Саганенко** Г.И. Надежность результатов социологического исследования. Л., 1983; **Юдина** Т.Н. Социология миграции: к формированию нового научного направления. МГУ, Изд. «Дашновик». М., 2004.

დამაკმაყოფილებელი, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) სხვადასხვა ქვეყნებში არაა ერთიანობა მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვის მეთოდოლოგიაში; ბ) კომერციული ბანკების სააღრიცხვო დოკუმენტაციის უმეტეს ნაწილში არ არის ნაჩვენები გამგზავნის წარმოშობის ქვეყანა; გ) კიდევ უფრო მცირე ინფორმაციაა გამგზავნის სტატუსზე, როგორც დანიშნულების ეკონომიკის «რეზიდენტზე» ან «არარეზიდენტზე»; დ) გზავნილთა მოცულობების მისაღები სიზუსტით შეფასებაზე ინსტიტუციონალურ არხებს დიდი დაინტერესება არ აქვთ. განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მთავრობა ცდილობს გზავნილების ჭეშმარიტი მასშტაბის დამალვას; ე) უზუსტობები გამოწვეულია ე.წ. «გაჟონვებით», რაც მიგრანტთა მიერ ფულის გადაგზავნის არაოფიციალური არხების («ხავალა», «ხუნდი», ფინანსური ოპერატორების შუამდგომლობა და სხვა მსგავსი) გამოყენების შედეგია. გაეროს მონაცემებით, არაოფიციალური არხებით ფულადი გზავნილები მთლიანი თანხის 40%-ზე მეტია<sup>36</sup>; ვ) აღურიცხავი გზავნილებია, ასევე, მიგრანტთა მიერ უცხოურ ბანკებში განათლების ან სხვა მიზნებისათვის შენატანი დანაზოგები. «გაჟონვის» ეს ფორმა, რა თქმა უნდა, დანაკარგია წარმოშობის ქვეყნისათვის, თუმცა ამას აკეთებს მხოლოდ დიდშემოსავლიანი მიგრანტები, ამიტომ ეს ვარიანტი არ შეადგენს დანაკარგის ძირითად ნაწილს; ზ) ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდება ასევე მიგრანტთა მიერ საქონლის სახით შემოტანილი ნივთების ღირებულება. საზღვარზე ჯიბით გადატანილი ფულიც «შავ» ბაზარზე ხვდება, რითაც იგებს უცხოური ვალუტის პარალელური ბაზარი; თ) რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ სადაოა «ფულადი გზავნილის» განსაზღვრის პრობლემა, მასში მოიაზრებენ მხოლოდ თანხას, არაფულადი ტრანსფერები კი ყურადღების მიღმა ხვდება; ი) ფულადი გზავნილის გაზომვის მეთოდოლოგიაში იგნორირებული რჩება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა აღირიცხოს და კორექტირდეს გზავნილთა მოცულობა ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით; კ) რაც მთავარია, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი საერთაშორისო შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული საგადამხდელო ბალანსის პოზიციები (ელემენტები) ადეკვატურად თუ ასახავს უშუალოდ შრომით მიგრანტთა ტრანსფერებს. ასეთ ვითარებას შეუძლია მიგვიყვანოს მიგრანტებისგან საშემოსავლო ნაკადებთან დაკავშირებულ ტრანსაქციების კომპონენტების სერიოზულ დამახინჯებასთან. მიგრანტთა გზავნილები არ არის კაპიტალის მოძრაობის შემადგენელი ნაწილი ძირითადად ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, მუშაკთა გზავნილები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ფინანსური ოპერაცია და აღინიშნება საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, მაშინ, როცა კაპიტალის მოძრაობა არის კაპიტალისა და ფინანსების ანგარიშის ნაწილი. მიმდინარე გზავნილები ითვლება მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემადგენლად, ხოლო კაპიტალის მოძრაობა მშპ-ის შემადგენლად და არის ფინანსირების წყარო. მეორე მხრივ, ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა განიხილება როგორც რეზიდენტების საგადამხდელო ბალანსის აქტივებსა და პასივებში თანაფარდობის ცვლილება არარეზიდენტებთან შეფარდებით. გზავნილების ნაკადი არ არის კაპიტალის იმპორტი სხვა ქვეყნიდან, არამედ არის კაპიტალის გადაცემა საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მიერ სამშობლოში მცხოვრებთათვის ისე, რომ

<sup>36</sup> Глущенко Г.И., Пономарев В.А. Официальные системы денежных переводов. Электронный журнал «Банковское Дело», №3, 2005. (<http://www.bankdelo.ru/06Pono1.htm>). Глущенко Г.И. Денежные переводы международных трудовых мигрантов: характеристики и детерминанты. Журнал "Вопросы статистики", №3, 2005, с.38-50.

არ წარმოიქმნება არავითარი ვალეები და საერთაშორისო ფინანსური მოთხოვნები. ამასთან, საგადამხდელო ბალანსის პოზიცია – «სხვა მიმდინარე გზავნილები» ყოველთვის არ გამოიყენება შრომით მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვისათვის, თუმცა რეალურად შეიცავს ასეთი სახის ტრანსფერებს.

ამრიგად, ჯერჯერობით, წარმოშობის თუ დანიშნულების ქვეყნებზე ფულადი გზავნილების გავლენის შეფასებისას არ შეიძლება ვენდოთ მხოლოდ საგადამხდელო ბალანსის მონაცემებს. არსებული ინფორმაციული ხარვეზების შესავსებად ამჯერადაც მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება სპეციალური ანკეტური გამოკვლევა.

სამწუხაროა, რომ დღესდღეობით საქართველოს სტატისტიკური ორგანოები რეგულარულად ვერ აღრიცხავენ მიგრაციულ ნაკადებს და, მათ შორის, შრომით ემიგრაციასაც. ამას ობიექტური მიზეზები აქვს. არსებობს ექსპერტთა განსხვავებული შეფასებანი და ცალკეული ვარაუდები შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობის შესახებ. ზოგი მათგანი, ნაწილობრივ, სტატისტიკაში ცნობილ მეთოდებს ეყრდნობა, ხოლო ზოგიც – ვიზუალური დაკვირვების ნაყოფია, არ ემყარება არც მეცნიერულ გათვლებს და არც ლოგიკას, ემპირიული ვარაუდების დონეზეა.

2000-2002 წლების დეკემბერ-თებერვალში TACIS-ის პროგრამითა და დაფინანსებით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველომ ჩაატარა შერჩევითი გამოკვლევა საქართველოში მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით. გამოკვლევა ჩატარდა საქართველოდან გამავალ მნიშვნელოვან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, აეროპორტებში. გამოიკითხა 4796 პირი. შრომით მიგრაციას უშუალოდ ორი დასახელებული მიზანი გამოხატავდა – «დასასაქმებლად» და «პროფესიით სამუშაოდ», თუმცა, ჩვენი აზრით, ზოგიერთი სხვა მიზანი (საქმიანი მივლინება (11,8%), სასწავლებლად (2,8%), კომერციული მიზანი (12,2%), განსაკუთრებით, სტუმრად (20,8%)) ფარული სახით შეიძლება შეიცავდეს შრომით მიგრაციას. ცნობილია, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სხვა მიზნით გასული მიგრანტები, შეძლებისდაგვარად, მაინც ცდილობენ რაიმე სამუშაოს შოვნას. ამდენად, შრომითი მიგრაციის მასშტაბი რეალურად შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე აღნიშნული ორი მიზნიდან გამომდინარეობს<sup>37</sup>.

პროფესორი რ. გაჩეჩილაძე საკმაოდ დამაჯერებლად მსჯელობს საქართველოდან 250-280 ათას შრომით ემიგრანტზე, რომელიც გავიდა 1990-1996 წლებში: «ფაქტობრივად, მეტი შეიძლება ვერც მოინახოს საქართველოში ადამიანი, რომელიც ენობრივად იქნება მომზადებული... რაიმე ხელობაც ეცოდინება და შრომითი მიგრაციის რისკზე წასვლასაც არ მოერიდება».<sup>38</sup> ზემოაღნიშნულ რაოდენობაში შედის როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობაც.

შრომით ემიგრაციის პრობლემებს დაწვრილებით ეხება პროფ. თ. გუგუშვილი. იგი ვარაუდობს სხვა ავტორებისაგან (რ. გაჩეჩილაძე, გ. წულაძე, სსსდ) განსხვავებულ ციფრს და მიაჩნია, რომ 1990-1997 წლების რვაწლიან პერიოდში საქართველო დატოვა 820 ათასმა

<sup>37</sup> მიგრაციის სტატისტიკა. სსსდ. თბ., 2002 გვ.12

<sup>38</sup> გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997. გვ. 35

კაცმა, მათგან 400ათასი ექვს თვეზე მეტი ხნითაა წასული. შემდგომ, როცა ეხება ფულად გზავნილებს საქართველოში, იგი 400 ათას შრომით ემიგრანტს ვარაუდობს.<sup>39</sup>

შრომითი მიგრაციის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით 2003 წელს განხორციელებულმა კვლევამ (ავტორები: პროფ. მ. ტუხაშვილი, პროფ. მ. გოცირიძე, დოც. ც. ანთაძე, დოც. მ. შელია, სოციოლოგიური გამოკვლევის ორგანიზატორი ნ. ჭელიძე), რომლის საშუალებითაც პირველად შეიქმნა საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის შესახებ მკაფიო სურათი<sup>40</sup>.

საყურადღებოა, საერთაშორისო ორგანიზაციების:USAID-ისა და SAVE the CHILDREN-ის ერთობლივი ძალისხმევით 1996, 2002, 2004 წლებში საქართველოს ყველა რეგიონში შერჩევითი გამოკითხვის მეთოდით ჩატარებული კვლევა შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, სადაც მნიშვნელოვანწილად ჩართულია მიგრაციის საკითხები<sup>41</sup>. გამოკვლევის მონაცემების თანახმად საქართველოდან ყოველი მეათე მოსახლე ემიგრირებულია.

საქართველოს შსს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ახდენს საზღვრის გადამკვეთთა აღრიცხვას და 2002 წლიდან ყოველ კვარტალში შედეგებს აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემთა კრებულის სახით. ამ მასალასაც აქვს სასარგებლო ელემენტები, თუმცა შრომითი მიგრაციის შესწავლისას იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ დამხმარე ინფორმაციად წარმოგვიდგება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, 1999-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობის სამომხმარებლო ქცევის შერჩევითი გამოკვლევისას, რომელიც სსსდ-მა განხორციელა, მიგრაციის საკითხების ჩართვაც.<sup>42</sup> ამ მასალის მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფთა დიდი ნაწილი შრომითი ემიგრანტია. O

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგებით გარე მიგრაციაში იმყოფება მხოლოდ 113 ათასი მიგრანტი<sup>43</sup>. რამაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა მიგრაციის სტატისტიკის სრულყოფისა და სტატისტიკური სამსახურების პასუხისმგებლობის გაზრდის აუცილებლობა მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე;

ეს, რაც შეეხება შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობის დადგენის ცდებს. მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მიგრაციის გამომწვევი მიზეზებისა და ჩვენი ქვეყნისთვის შედეგების დადგენა, ემიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის განსაზღვრა, ძირითადი მიმართულებების გარკვევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლო თხუთმეტი წლის მიგრაციულმა პროცესებმა თავისი მასშტაბითა და ყოვლისმომცველი ხასიათით სრულიად ახალი ეპოქალური ვითარება შექმნა ქვეყნის შრომითი რესურსების ტერიტორიულ მობილობაში.

მეტად ეფექტიანი იქნება, თუ შრომითი ემიგრაცია მოექცევა მოსახლეობის აღწერის პროგრამებში არა მარტო საქართველოში, არამედ იმიგრაციის ქვეყნებშიც,

<sup>39</sup> გუგუშვილი თ. საქართველოს მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბ., 1998. გვ.52-53

<sup>40</sup> შრომითი მიგრაცია საქართველოდან. IOM. თბ., 2003.

<sup>41</sup> Migration Within Georgia and Abroad, §II. The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.42-51.

<sup>42</sup> მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2001. გვ.24-32

<sup>43</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. სსსდ, ტ.III, ნაწ.II. მოსახლეობის მიგრაცია. თბ., 2004.

რომლებიც ქართველი ემიგრანტების ძირითად ცენტრებად ითვლებიან. ამ პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად დიდი როლის შესრულება შეუძლია სათვისტომოებს მიმღებ სახელმწიფოებში, საზღვარგარეთ სამუშაო ძალის გამგზავნ ლიცენზირებულ სააგენტოებს, დასაქმების სამსახურებს.

ასეთ პირობებში, როცა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ვერ ასახავენ რეალურ ვითარებას, მსოფლიო გამოცდილება გვკარნახობს შრომითი მიგრაციების შესწავლას შერჩევითი გამოკვლევების ჩატარებით, კერძოდ, ინფორმაციის მიღებას გამოკითხვის გზით, ე.წ. ანამნესტიკური მეთოდით. იგი გულისხმობს წინასწარ შედგენილი ანკეტით შრომით ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლების (შემცვლელი რესპონდენტებისაგან) გამოკითხვას<sup>44</sup>. ამ მეთოდს აქვს თავისი ნაკლი. მაგალითად, ახლობელთა ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკმაო სიზუსტით, რომელსაც ანკეტის ყველა კითხვა მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუ პრაქტიკულად უქმდება. თუმცა ბევრი საზღვარგარეთული გამოკვლევა ინფორმაციათა მოპოვების ამ ხერხს ეყრდნობა.

შრომითი მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური მხარის უფრო მეტი სიზუსტით ასახვისათვის, შევეცადეთ გაგვეფართოებინა ანამნესტიკური მეთოდით ჩატარებული კვლევა (რომელმაც მთლიანობაში მოიცვა 1132 შემცვლელი რესპონდენტი) და აღნიშნული მეთოდის ნაკლოვანება შეგვევსო არა მათი დაწვრილებითი გამოკითხვით, არამედ მოპოვებული ინფორმაციის კორექტირება მოგვეხდინა უშუალოდ შრომითი ემიგრანტების ანკეტირებით. ისინი ორ კატეგორიად გავანაწილეთ: პირველი ნაწილის კვლევა მოხდა თვით მიმღებ ქვეყნებში, ხოლო მეორე კატეგორიას წარმოადგენდნენ შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულები და დროებით ჩამოსულები.

ფინანსური რესურსების სიმცირისა თუ ორგანიზაციული თვალსაზრისით რისიფიენტ ქვეყნებში საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტების გამოკითხვა არცთუ იოლი შეიქნა. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კვლევა ჩაგვეტარებინა ძირითადი მიმართულებების ქვეყნებში: რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი, აშშ. კითხვარები გავატანეთ ნაცნობ ემიგრანტებს, სტუდენტებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ევროპასა და ამერიკაში საქართველოდან ჩასულ ქართველი მიგრანტების უმეტესობას, განსაკუთრებით ვინც მუშაობს სწავლასთან ერთად, არ აქვთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი. თითოეულმა ხუთამდე ანკეტის შევსება თუ შეძლო. საერთო ჯამში მივიღეთ 125 შევსებული ანკეტა, აქედან 63\_ გერმანიიდან, 32\_ რუსეთიდან, 10\_ საბერძნეთიდან, 20\_ აშშ-დან. აღნიშნული კვლევის მასალა განვაახლეთ 2005 წლის გაზაფხულზე. კვლევა დაეყრდნო ინტერნეტის საშუალებით ახალგაზრდა შრომითი მიგრანტების ინტერვიუების გზით მიღებულ ინფორმაციას (ძირითადად, რუსეთის ფედერაციიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან და ინგლისიდან). გამოკითხვამ მოიცვა 96 რესპონდენტი. რესპონდენტთა შერჩევისთვის მივმართეთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საგარეო ურთიერთობების სამმართველოებს და მოვიპოვეთ საზღვარგარეთ წასული სტუდენტების ელექტრონული ფოსტის მისამართები. რა თქმა უნდა, ყველა მისამართზე კონტაქტი ვერ დამყარდა, მაგრამ ვინც გამოგვეხმაურა, მათი საშუალებით სხვა მეგობარ ქართველ ემიგრანტებთან

---

<sup>44</sup> Билсборроу Р. Хьюго Г. Оберай А. Злотник Х. Статистика международной миграции. МБТ, Женева. М., АСАДЕМА. 1999. с. 238-244.

დაკავშირებაც მოხერხდა, აღნიშნული ხერხი ცნობილია «თოვლის გუნდის» (метод «снежного кома») მეთოდის სახელით.<sup>45</sup>

საქართველოში დაბრუნებულთა გამოკითხვა ჩატარდა 2002-2004 წლებში. გამოკითხვა თბილისში შრომით ემიგრაციიდან 150 ჩამოსული თბილისელი.

საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის განმაპირობებელი მიზეზების შესასწავლად გამოვიკვლიეთ ასევე საქართველოდან მიგრაციული განწყობაც. ვინაიდან, საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, მიგრაციული პროცესები ინტენსიურად მონაწილეობს ახალგაზრდობის ცხოვრებისეულ სტრატეგიაში, აუცილებლობად ჩავთვალეთ ახალგაზრდობის პოტენციური შრომითი ემიგრაციის საფუძვლიანი შესწავლა. გამოკვლევამ მოიცვა 550-ზე მეტი 17-30 წლამდე ასაკის პირი, მათგან ემიგრაციის მსურველი 337 ახალგაზრდა (61%) აღმოჩნდა.

აღნიშნული გამოკვლევების შედეგების შედარებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ გამოყენებულმა ე.წ. ანამნესტიკურმა მეთოდმა გაამართლა. შედეგები საერთო ჯამში ანალოგიურია და კიდევ ერთხელ მოგვცა მონაცემების დაზუსტების საშუალება.

საქართველოში არსებული სოციალურ-დემოგრაფიული, ეთნიკური სიჭრელისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მეტად გაძნელდა კვლევის გეოგრაფიული შერჩევა.

შედეგების რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფის მიზნით კვლევის ობიექტებად შეირჩა ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ტყიბული, სენაკის, ზუგდიდის, თელავის, ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონი. გამოკვლევების ძირითადი მიზანი იყო მიგრაციული ნაკადების სტრუქტურული მახასიათებლების შესწავლა და ნაკლებად – მიგრანტთა რაოდენობის დადგენა. ობიექტების შერჩევისას ვხელმძღვანელობდით შემდეგი არგუმენტაციით:

– თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, ხასიათდება ინტენსიური შრომითი ემიგრაციით, შრომით ემიგრანტთა ნაკადების განსაკუთრებით მაღალი კვალი-ფიკაციითა და დსთ ფარგლებს გარეთ ემიგრირებულთა დიდი წილით. თბილისში შევარჩიეთ უბნები, რომლებიც განლაგებული იყო «პრესტიჟულ», «შუალედური» და «პერიფერიულ» რაიონებში. ვვარაუდობდით, რომ თბილისის სხვადასხვა რაიონში მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული და პერიფერიული სტრუქტურა განსხვავებულ ემიგრაციულ პოტენციალებს ქმნის და ასე უკეთ აისახებოდა მთელ თბილისში შექმნილი სოციალური ვითარება (507 კითხვარი).

– რაჭიდან მოსახლეობა ადრინდელ ინტენსიურად გადაადგილდებოდა დედაქალაქისკენ, ამიტომ დეპოპულაციური პროცესი უკვე დიდი ხანია დაწყებულია. რეგიონში გაუკაცრიელების საფრთხის წინაშეა, ვინაიდან საერთაშორისო თუ ქვეყნისშიგა მიგრირება სტაციონარულ ხასიათს ღებულობს (100 კითხვარი).

– სამეგრელოს რეგიონმა საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ კონიუნქტურაზე სწრაფად მოახდინა რეაგირება და სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, სოფლის მოსახლეობაც მეტი აქტიურობით ჩაება მიგრაციულ პროცესებში (100 კითხვარი).

<sup>45</sup> «თოვლის გუნდას» მეთოდი წარმოადგენს რესპონდენტთა იშვიათი ჯგუფის მიზანმიმართულ შერჩევას. მოძიების ეს ტექნიკა გამოიყენება, როცა გენერალური ერთობლიობის საზღვრების დაზუსტება რთულდება. თითოეული რესპონდენტი ინტერვიუერს უთითებს მოთხოვნის შესაბამისი მორიგი მიგრანტის მისამართზე და გამოკითხულთა ჯგუფი ყოველ ნაბიჯზე ემსგავსება «თოვლის გროვას». Семенова В.В. Качественные методы: введение в гуманистического социологию. Институт социологии РАН, учебное пособие для студентов ВУЗ. М., Добро свет, 1998.

– ტყიბული საქართველოს სამთომომპოვებელი რეგიონია, ქვანახშირის ამოღების შეწყვეტის გამო იგი ხასიათდება ქალაქწარმომქმნელი ბაზის ფაქტობრივი ლიკვიდაციით, მასობრივი უმუშევრობით, დეპოპულაციური პროცესების განვითარებით, რეგიონის გაუკაცრიელების საფრთხითა და მიგრაციის ყველა სახის მაღალი ინტენსიურობით (108 კითხვარი).

– კახეთის მხარე სასოფლო-სამეურნეო რესურსებით მდიდარი რეგიონია, თუმცა სოფლის მეურნეობის კრიზისმა მწვავე ეკონომიკური სიდუხჭირის წინაშე დააყენა მისი მოსახლეობა. მაგრამ დედაქალაქთან სიახლოვემ და უკეთესმა ინფორმირებულობამ მიგრაციის მომგებიანი მიმართულების შერჩევა განსაზღვრა (102 კითხვარი).

– ეთნიკურად ჭრელი მხარის - ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრი რუსთავი ტიპური დიდი სამრეწველო ქალაქია მრეწველობის კრახის გამო მასობრივად გაჩერებული საწარმოებით, უმუშევრობის მაღალი დონითა და ამით განპირობებული ინტენსიური ემიგრაციული პროცესებით (100 კითხვარი).

– ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ახალქალაქის რაიონში შრომითი ემიგრაცია ტრადიციულ ხასიათს ატარებს და იგი თითქმის ნახევარი საუკუნეა მიმდინარეობს (115 კითხვარი). 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე შრომით ემიგრაციას საქართველოს სხვა რეგიონებისათვის არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა კი მასობრივად გადიოდა სამუშაოდ ახალ მშენებლობებზე სსრკ ასათვისებელ რეგიონებში. მიგრაციულ პროცესებს კიდევ უფრო შეუწყო ხელი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სუსტმა გავლენამ სამცხე-ჯავახეთში, საკომუნიკაციო გზების არასათანადო განვითარებამ და ამ რეგიონის ეკონომიკურმა, კულტურულმა და სოციალურმა კავშირებმა სომხეთთან; კრიზისამდელ პერიოდში სწრაფმა დემოგრაფიულმა ზრდამ. მეურნეობის მთავარ დარგში -სოფლის მეურნეობაში- სამუშაო ადგილების რაოდენობა კი ფაქტობრივად უცვლელი რჩებოდა.

კითხვართა დამუშავების პროგრამაში აისახა როგორც რეგიონული ჭრილი, ისე ცალკეულ კითხვართა მრავალი ასპექტი მარტივი და რთული კორელაციებით.

შრომით მიგრანტთა ანკეტა მოიცავდა 51 კითხვას, პასუხების 312 ვარიანტით (დანართი 1); პოტენციურ მიგრანტთათვის კი შემუშავდა 21 კითხვითა და პასუხთა 108 ვარიანტით (დანართი 2). კითხვათა უმეტესი ნაწილი იყო დახურული, რათა გაადვილებულიყო ინტერვიუს პროცესი და მიღებული ინფორმაციის შემდგომი დამუშავება. გამოკითხვის დროს არცერთ კითხვას არ შეუქმნია მნიშვნელოვანი პრობლემა. შედარებით ჭირდა შრომით ემიგრანტთა შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობის დადგენა, რადგან «შემოსავალი» სოციოლოგიური გამოკვლევების მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია მეტად რთულ საკვლევ საკითხად.<sup>46</sup>

---

<sup>46</sup> საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების კონკრეტული შესწავლა. თბილისი, მეცნიერება, 1972. გვ.21. Билсборроу Р. Хьюго Г. Оберай А. Злотник Х. – Статистика международной миграции. гл. 7. МБТ, Женева. М., АСАДЕМА. 1999. с. 307-349.

## თავი II. შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიზეზები და ნაკადები საქართველოში

### II.1. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მიზეზები, ძირითადი მიმართულებანი და ორგანიზების ფორმები

1991-1995 წლები საქართველოში გამოირჩევა უდიდესი ემიგრაციული ტალღით, რაც, საერთოდ, განაპირობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე ინტენსიურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა. განვითარებულ ეკონომიკურ კრიზისს ბუნებრივად მოჰყვა დიფერენციაციის გაღრმავება ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონეში. ეს უფრო მეტად დაეტყო იმ ქვეყნებს, სადაც აღმოცენდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები (პოსტკომუნისტური იუგოსლავია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი და ა.შ.). 1995 წლისთვის რუსეთში ერთ მცხოვრებზე მშპ იწარმოებოდა უკრაინასთან შედარებით 1,4-ჯერ მეტი, აზერბაიჯანთან შედარებით 4,7-ჯერ მეტი, ტაჯიკეთთან – 6,6-ჯერ მეტი, საქართველოსთან – 5,1-ჯერ მეტი<sup>47</sup>. საკმარისია, აღინიშნოს, რომ 1990 წელს საქართველოში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულზე 2530 აშშ დოლარს უდრიდა, ხოლო 1995 წლისთვის იგი მხოლოდ 440 დოლარს გაუტოლდა.<sup>48</sup> მოსახლეობის ერთ სულზე ყოველდღიურად მოხმარებული სურსათის კალორიულობა 2718 კალორიიდან 1940 კალორიამდე დაეცა<sup>49</sup>. დასაქმების დონე 64,1%-ს შეადგენდა<sup>50</sup>. 1994 წლის სექტემბრისათვის «ერთი თვის პენსიით მხოლოდ 3 კგ. მაკარონის, ანდა 1კგ. ძროხის ხორცის, ან კიდევ ერთ კილოგრამამდე ყველის ყიდვაა შესაძლებელი». საქართველოს ეკონომიკა კოლაფსის მდგომარეობაში იყო<sup>51</sup>. 1998 წლის IV კვარტლის მონაცემებით სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ 45,2%-ს შეადგენდა, სიღრმე – 16,8%-ს, სიმწვავე – 8,7%-ს.<sup>52</sup> ამიტომ სავსებით ბუნებრივია ინტენსიური შრომითი ემიგრაციის წარმოშობა.

აღნიშნული ვითარება დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. XXI საუკუნესაც საქართველო საყოველთაო კრიზისით შეეგება. 1990 წლიდან დაწყებულმა ეკონომიკურმა ნგრევამ ასახვა ჰპოვა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესებაში. 2004 წლის მონაცემებით მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1156 აშშ დოლარია<sup>53</sup>. ეკონომიკურ დაცემას ლოგიკურად თან მოჰყვა არასასურველი დემოგრაფიული ტენდენციების განვითარება, რაც სპეციალისტების მიერ «დემოგრაფიულ კრიზისად» შეფასდა: 1990-იანი წლებიდან მიმდინარეობს მოსახლეობის ბუნებრივი დეპოპულაცია, 2010 წლიდან მოსალოდნელია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტური კლება, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობის დემოგრაფიული (ძირითადად საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდით) და ეკონომიკური დატვირთვა.

<sup>47</sup> Ницета переходного периода. Региональное бюро по странам Европы и СНГ. М., 1998. с. 236.

<sup>48</sup> იქვე. გვ. 236.

<sup>49</sup> იქვე. გვ.237.

<sup>50</sup> იქვე. გვ.243.

<sup>51</sup> ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1995. თბ., 1995. გვ.21; 27-28.

<sup>52</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 1999. თბ., 1999. გვ.75-77.

<sup>53</sup> <http://www.statistics.ge>



მხოლოდ ცალმხრივი მიგრაციული პროცესების გამო ქვეყნის მოსახლეობა 1/4-ით შემცირდა; მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნო-დემოგრაფიული სტრუქტურა მთლიანად ქვეყანაში და ასევე მის ცალკეულ რეგიონებშიც; მიგრანტთა შორის საკმაოდ მაღალი წილია ახალგაზრდებისა, ვინც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება. მიგრანტთა დაუბრუნებლობის შემთხვევაში ქვეყანა პირდაპირ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ დანაკარგს მიიღებს, რაც ასახვას პოვეს ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის დაცემაში.

1990 წლიდან დღემდე მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა, დაახლოებით 1 მლნ-ზე მეტი კაცით. უმუშევრობამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ზღვრულ კრიტიკულ მაჩვენებელს საგრძნობლად გადააჭარბა, მისი დონე მკაცრი კრიტერიუმით 2004\_2005 წლების მონაცემებით შეადგენს შესაბამისად \_ 12,6% და 14,7%-ს, შერბილებული კრიტერიუმით კი \_ 15,2% და 17,7%-ს; დასაქმების დონემ 2004 წელს 2003 წელთან შედარებით 2%-ით დაიკლო<sup>54</sup>. ეკონომიკის დაცემის ტემპებთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობის კლების ტემპის ნაკლებობა აიხსნება როგორც ფარული უმუშევრობისა და არასრული დასაქმების დიდი მასშტაბით, დასაქმებულთა აღრიცხვის მოქმედი მეთოდიკის ნაკლოვანებებით, ისე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ქვეყნის გარეთ მასობრივი გასვლით. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევაშიც ნაკლებად სავარაუდოა დასაქმების სფეროში არსებული სიტუაციის მკვეთრად გაუმჯობესება. პირიქით, სახელმწიფო მმართველობისა და საბიუჯეტო სექტორის საწარმოებში დაგეგმილი რესტრუქტურისა კიდევ უფრო დაამძიმებს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას.

1997-2004 წლებში საქართველოს შინამეურნეობების კვლევის შედეგებით, ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი ფულადი და არაფულადი შემოსავლების ჩათვლით შეადგენს დაახლოებით 95-165 აშშ დოლარს (177-300 ლარი)<sup>55</sup>; ოჯახის ხარჯების აბსოლუტური უმრავლესობა (80%)<sup>56</sup> სამომხმარებლო ხარჯებზე მოდის. შრომით ემიგრანტთა მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარებები კი საქართველოში ბევრი ოჯახის არსებობის ერთადერთი წყარო და საშუალებაა.

სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა, სამუშაო ძალის დაბალი ფასი, შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების არარსებობა და არასტაბილური ვითარება აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს ეძებოს სამუშაო და არსებობის წყარო ქვეყნის გარეთ, თუნდაც პირადი ღირსების შელახვისა და თავისუფლების დაკარგვის ფასად. ემიგრაციის ინტენსიურობაზე ზემოქმედება მოახდინეს, აგრეთვე, პოლიტიკურმა ფაქტორებმა, ეთნოკონფლიქტებმა, შინააშლილობამ და კრიმინოგენული სიტუაციის დამძიმებამ.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წასვლის ძირითად მოტივად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი დასახელდა (ცხრილი 1).

კვლევამ გვიჩვენა, რომ აქ დარჩენილი ოჯახების მეხუთედს (17,4%) არავითარი შემოსავალი არა აქვს და მთლიანად შრომითი ემიგრანტის კმაყოფაზე იმყოფება (ცხრილი

<sup>54</sup> საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა, №1, 2005. გვ.65-78.

<sup>55</sup> საქართველოს შინამეურნეობები, 2003-2004. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2005. გვ.116.

<sup>56</sup> იქვე. გვ.133.

2). გამოკვლევულ ოჯახთა შორის, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი 50 ლარს არ აღემატება ან საერთოდ არ გააჩნიათ შემოსავალი 65%-ია. საარსებო მინიმუმის ფარგლებში აქვთ შემოსავალი შრომით ემიგრანტთა ოჯახების მხოლოდ 9,6%-ს. ცალკეულ რეგიონებში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. 50 ლარამდე შემოსავალი აქვს რუსთაველში გამოკვლევულ ოჯახთა 70%-ს, ტყიბულში\_ 71%, ახალქალაქში\_ 78%-ს, ამბროლაურის რაიონში\_ 89%, თელავში\_ 69,7%-ს, ზუგდიდსა და სენაკში\_ 41%-ს. უკანასკნელი ორი რეგიონის უკეთესი მაჩვენებელი განაპირობა კვლევის მოგვიანებით ჩატარებამ, როდესაც საქართველოში პენსიები გაზრდილი იყო 28 ლარამდე, ასევე იმან, რომ სამეგრელოში მიგრანტების აქ დარჩენილი ოჯახის წევრები ეწევიან კომერციულ მიგრაციას თურქეთში, ხოლო კახეთის რეგიონში ყურძნის მოსავლიანობა გაიზარდა და, შესაბამისად, შემოსავლის წყაროც გაჩნდა. საარსებო მინიმუმს საკმაოდ აჭარბებს ახალგაზრდა ემიგრანტთა ოჯახების შემოსავლები. ეს კონტინგენტი სტუდენტობაა, რომლებიც საზღვარგარეთ წასვლით მშობლების ფინანსურად დახმარებასთან ერთად გეგმავს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიღებასა და სპეციალობის სრულყოფას. ახალგაზრდების 42,3%-მა გამგზავრების მიზეზად ამიტომაც დაასახელა «საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუშაობის ინტერესი» და «განათლების მიღება», რაც რეალობაში უცხოეთში შეთავსებით შემოსავლიანი დასაქმებით მთავრდება ხოლმე.

ახალგაზრდა რესპონდენტთა მხრიდან ემიგრირების მოტივად ძირითადად არამატერიალური მიზეზების დასახელება შეიძლება ავხსნათ იმითაც, რომ ინტერნეტის საშუალებით გამოკითხულ ნაკადში დაუოჯახებელთა მაღალი ხვედრითი წილია (71,2%), რომლებიც ნაკლებად იღებენ პასუხისმგებლობას ოჯახის ფინანსურ დახმარებაზე.

შრომით ემიგრანტთა განაწილება ემიგრირების მიზეზების მიხედვით. პროცენტობით ჯამთან

გამოკვლეული რეგიონი ემიგრირების მიზეზები	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	თბილისი				ქ. რუსთავი	აჭრის რაიონი	ქ. ტყეშელაშვილი	ზუგდიდისა და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ. -ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს	თბილისი საშუალოდ														
ოჯახის ფიზიკური გადარჩენა	8	8	9	8	11	7	5	14.5	-	21	9.5	-	2.5	17.9	15	6.1	0.9	8.5
მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი	59	44	40	48	50	25	54	47.9	48.8	52	46.8	47.2	25.3	50	45	36.7	24.2	42.4
ვერ იშოვა შესაფერისი სამუშაო	11	6	9	8	9	25	13	0.9	11.6	13	11.5	-	-	-	-	-	0.9	-
ვერ იშოვა ვერანაირი სამუშაო	4	3	4	4	5	28	4	8.5	12.3	9	10.1	50	12.7	32.1	20	25.2	-	22
ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა	1	3	6	3	2	-	1	1.7	-	1	1.2	2.8	2.5	-	--	1.9	0.9	1.7
იქ ცხოვრობენ მისი უახლოესი ნათესავები	7	4	3	5	5	-	8	12.8	4.7	1	5.2	-	2.5	-	-	1.2	5.8	-
მიანტერესებდა საზღვარგარეთ	5	19	18	14	12	5	13	11.9	20.2	2	11.3	-	44.3	-	20	23.9	42.3	19.5

ცხოვრება და მუშაობა, განათლება, ენის შესწავლა																			
იქორწინა უცხოელზე	2	2	1	1	1	5	1	-	2.3	-	1.5	-	5.1	-	-	2.5	3.8	1.7	
მიიღო სპეციალური მიწვევა იქაური ფირმიდან	3-	8	9	7	4	-	1	-	-	-	1.7	-	5.1	-	-	2.5	-	-	
სხვა	-	3	-	1	1	-	1	1.7	-	3	1.2	-	-	-	-	-	21.2	4.2	
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	

\* ახალგაზრდა რესპონდენტებმა ემიგრირების მიზეზად მიუთითეს «სამშობლოში უპერსპექტივობა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობა», პასუხის აღნიშნული ვარიანტი 2005 წლამდე ჩატარებული კვლევების ანკეტაში არ შედიოდა.

## ცხრილი 2

შრომითი ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახების განაწილება თვიური შემოსავლების (გზავნილების გარეშე) სიდიდის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

საკვლევი რეგიონი შემოსავალი, ლარი	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ფუგდიდის და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ქ. ტყეზული	ახალქალაქის რაიონი	სულ	ინტერნეტის საშუალებით გამოკითხული ახალგაზრდა შრომითი მიგრანტები
	გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ								
არ აქვს შემოსავალი	27	19	10	19	20	21	13	-	19	30	17.4	-
15 ლარამდე	15	5	7	9	19	23	-	-	25	23	14.1	-
16-30	15	11	10	12	19	25	6	3.8	15	17	12.3	-
31-50	6	10	10	9	12	20	22	65.3	12	8	21.2	16.7
51-100	13	15	13	14	15	8	24	17.4	19	7	11.5	21.1
101-150	5	5	6	5	6	2	7	11.1	8	4	9.6	12.1
151-300	16	21	26	21	9	1	21	2.4	2	8	9.2	10.6

301-500	2	9	10	7	-	-	4	-	-	3	2.6	10.6
501-800	1	1	3	2	-	-	1	-	-	-	0.9	13.8
801-1000	1	3	3	2	-	-	-	-	1	-	0.9	7.0
1000 ლარზე მეტი	-	1	3	1	-	-	-	-	-	-	0.3	8.1
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

\* ინტერნეტის საშუალებით ახალგაზრდების გამოკითხვა, ხოლო სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში გამოკვლევა ჩატარდა 2005 წელს, როცა პენსია ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 28 ლარს;

\*\* ამბროლაურის რაიონში გამოკითხვა ჩატარდა 1999 წლის შემოდგომაზე, რომელიც განახლდა და დაზუსტდა 2003 წელს

შემაშფოთებელია, როცა «ოჯახის ფიზიკური გადარჩენა» ხდება შრომითი ემიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი. მასზე მოდის შემცველი რესპონდენტების პასუხთა 9,5%, მიმღებ ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტების პასუხთა\_ 6,1%, ხოლო დაბრუნებულების პასუხების\_ 8,5%. მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი ამოდრავებთ ემიგრანტთა თითქმის ნახევარს. ამიტომაც, რომ ემიგრირებისათვის საჭირო მთლიანი თანხის წყარო ემიგრანტთა 41,3%-ისთვის ოჯახის დანაზოგია (ცხრილი 3). მიგრაციის ორგანიზებისთვის თანხის სესხება კი დასჭირდა ოჯახთა 25,5%-ს, რომელთა 78,6%-მა ვალის გასტუმრება უკვე მოახერხა.

გამოკვლევით დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის შრომით ემიგრაციას, მიუხედავად თანმხლები სოციალური პრობლემებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკულ ვითარებაში მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მითუმეტეს როცა, შრომითი მიგრანტების აქ დარჩენილი ოჯახების უმეტესობას (58%) ყოველთვიურად მხოლოდ 100 ლარამდე შემოსავალი აქვს, 17,4%-ს კი საერთოდ არ აქვს. სავარაუდოა, რომ ეკონომიკური აღმავლობის დაწყების კვალობაზე შრომითი მიგრაციის ინტენსივობა შესუსტდება, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტი უფრო ეფექტიანი გახდება.

განხილული გამოკვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ შრომით-მიგრაციული ნაკადები, ძირითადად, 4 ქვეყნისაკენაა მიმართული: რუსეთშია გასული მთლიანი ნაკადის 52,6%, საბერძნეთში\_ 11,2%, გერმანიაში\_ 11% და აშშ-ში\_ 8,2% (ცხრილი 4). შედარებისთვის მოვიყვანთ USAID-ისა და Save the Children-ის ერთობლივი კვლევის შედეგებს. აღნიშნული გამოკვლევის მონაცემებითაც ძირითადი მიმართულების ქვეყნებზე პროცენტული განაწილება ასეთია: რუსეთი (54,5%), საბერძნეთი (15,6%), გერმანია (11,1%), აშშ (10,9%)<sup>57</sup>.

როგორც ვხედავთ, ემიგრანტების საერთო რიცხვში რუსეთში მყოფი მიგრანტები მაღალი წილით გამოირჩევიან. ეს განაპირობა ისტორიულად ფორმირებულმა ხალხთაშორისმა კავშირმა, რუსული ენის შედარებით უკეთესმა ცოდნამ, ნათესავების სიმრავლემ, ინფორმაციული თვალსაზრისითაც უფრო ხელმისაწვდომობამ და ტერიტორიულმა სიახლოვემ.

საქართველოს «პროვინციული» რეგიონებიდან უმთავრესად რუსეთში გადაადგილდებიან სწორედ ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო. სენაკიდან და ზუგდიდიდან ემიგრირებულთა უმრავლესობა აფხაზეთიდან ლტოლვილია, ენის უკეთესმა ცოდნამ და ნათესაურმა კავშირმა განაპირობა მათი მასიური გადასვლა რუსეთის სხვადასხვა ოლქებში.

სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის შრომითიმიგრაციულ კავშირებს რუსეთთან ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც, თავისთავად, განსაზღვრავს სომეხი მოსახლეობის მიგრაციის ვექტორს.

რაჭიდან უფროსი ასაკის მოსახლეობა ემიგრირდა, მათთვის რუსეთი შედარებით ნაცნობი გარემოა, ევროპის სრულიად განსხვავებულ ცხოვრების პირობებთან კი ადაპტირება ძალზედ გაუჭირდებოდათ.

<sup>57</sup> Migration Within Georgia and Abroad, §II. The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.48.

შესაბამისად უცხო ენის უკეთესი ცოდნა, შრომის ბაზარსა და ემიგრირების ორგანიზებაზე მეტი ინფორმირებულობა თბილისის მოსახლეობას უფრო უადვილებს დასავლეთის ქვეყნებში გამგზავრებას. დედაქალაქის მკვიდრთ მეტი პრეტენზია გააჩნიათ შემოსავლების სიდიდეზე, იზიდავთ დასავლური ცხოვრების სტილი, ახალგაზრდებს განათლების მიღება სურთ, ნაკლებპასუხისმგებლობას გრძნობენ ოჯახის შენახვაზე, ამიტომ ისინი ამერიკისა და ევროპისკენ მიემართებიან. აქედან გამომდინარე, თბილისის მოსახლეობის მიგრაციის მიმართულების ქვეყნებს შორის რუსეთი მეოთხე ადგილზეა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩამოსულები მთლიანად დედაქალაქში გამოიკითხა. თითქოს, რაც უფრო ცოტაა წასული, ჩამოსულიც ნაკლები უნდა იყოს, მაგრამ ასე არაა. რუსეთიდან დაბრუნებული 17%-ია და თუ მეტი არაა, არც ჩამორჩება სხვა ქვეყნებიდან დაბრუნებულთა წილს. აღნიშნულ გამოკვლევას 1 წლით უსწრებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა. თუ ერთი წლის წინ ემიგრაციის პუნქტად მიგრაციული აქტის ადვილად რეალიზაციის გამო ირჩევდნენ რუსეთს, სავიზო რეჟიმის შემოღების მერე კი, ვისაც შესაძლებლობა აღმოაჩნდა, დაბრუნდა რუსეთიდან და დასავლეთისკენ გაემართა.

ცხრილი 3

შრომით ემიგრანტთა განაწილება ემიგრირებისათვის საჭირო მთლიანი თანხის წყაროების მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

საკვლევი რეგიონი გამგზავრების თანხის წყარო	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ზუგდიდისა და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ქ. ტყეზული	ახალქალაქის რაიონი	სულ	ინტერნეტის საშუალებით გამოკითხული ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტები
	გლდან ის რაიონი	ნამალა დევის რაიონი	ვაკე- საბურთ ალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ								
საკუთარი დანაზოგი	11	7	14	11	11	8	4	2.3	3	33	10.3	2.8
ოჯახის დანაზოგი	30	35	42	36	22	38	65	52.2	37	39	41.3	63.4
ბინის გაყიდვა	10	9	7	9	7	2	-	-	1	-	2.7	-
ბინის დაგირავება	3	8	3	5	3	-	-	11.4	-	1	2.9	-
სესხება	20	28	17	22	36	29	24	27.3	28	12	25.5	21.1
ძვირფასეულობის გაყიდვა	6	3	7	5	13	-	5	4.5	5	11	6.2	-
გამოუგზავნა ადრე წასულმა ოჯახის წევრმა	15	4	3	7	7	23	2	2.3	19	2	8.9	-
სპონსორის დაფინანსებით, საზღვარგარეთის ორგანიზაცია	3	6	6	5	-	-	-	-	3	-	1.9	12.7
სხვა	1	1	1	1	1	-	-	-	5	1	0.3	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100



ცხრილი 4

შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყნების მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

საკვლევი რეგიონი  ძირითადი იმიგრაციული ქვეყნები	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ზუგდიდისა და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ქ. ტყიბული	ახალქალაქის რაიონი	სულ	ინტერნეტის საშ.-ით გამოკითხული ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტები	ემიგრაციიდან დაბრუნებულები  თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ									
რუსეთის ფედერაცია	19	11	16	15	21	74	75	29.3	61	95	52.6	27.3	17
საბერძნეთი	25	14	14	18	22	12	3	14.5	9	-	11.2	3.0	17
გერმანია	4	28	19	17	19	2	2	23.7	13	-	11	19.7	28
აშშ	21	19	23	21	11	3	1	11.3	10	-	8.2	18.2	14
ისრაელი	5	1	1	2	1	1	-	-	-	-	0.6	-	2
ინგლისი	3	7	11	8	-	-	2	2.4	-	-	1.8	13.6	8
ბელგია	4	2	3	3	-	-	1	2.4	1	-	1.1	3.0	-
ევროპის სხვა ქვეყნები	13	13	10	11	9	2	4	11.4	4	-	6	15.1	9
აზერბაიჯანი	2	-	-	1	7	-	-	2.1	-	-	1.4	-	-
სომხეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	4	0.6	-	-
დსთ-ს სხვა ქვეყნები	2	2	1	1	7	-	7	0.9	1	1	2.6	-	1
სხვა არაევროპული ქვეყნები	3	3	2	3	3	6(თურქეთი)	5(თურქეთი)	2.0	1	-	2.9	-	4 (თურქეთი)
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

რუსეთში შრომითი ემიგრანტების ადგილზე გამოკითხვისა და პირობებთან მათი ადაპტაციის გაანალიზების შემდეგ სრული საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ რუსეთის შრომის ბაზარი მომავალში იქნება საქართველოს შრომითი რესურსების დასაქმების ადგილი. დსთ იძულებითი მიგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი ჟ. ზაიონჩკოვსკაია აცხადებს, რომ მიგრაციული და დემოგრაფიული კლების მიმდინარე ტემპების პირობებში ნახევარ საუკუნეში რუსეთის ფედერაციის მოსახლეობა ორჯერ შემცირდება; იმ შემთხვევაშიც კი, თუ რფ-ში იმიგრანტთა ნაკადი ყოველწლიურად ნახევარმილიონს მიაღწევს, მაინც რუსეთის მოსახლეობა 2026 წელს 137 მლნ-მდე დაიკლებს<sup>58</sup>. გაეროს შეფასებით 2050 წლისთვის ეს ციფრი იქნება 100 მლნ. იმიგრაციული ზრდა დღესდღეისობით მხოლოდ 10,5%-ით აკომპენსირებს მოსახლეობის რიცხოვრვ დანაკლისს. ამ ფონზე, ცხადია, რუსეთის ფედერაცია განიცდის შრომითი რესურსების გამოუვალ ნაკლებობას. მეორე მხრივ, მისი უდიდესი ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალი აყენებს მზარდ მოთხოვნას სამუშაო ადგილების შევსებაზე, რასაც მეზობელი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის იმიგრაციითაა შესაძლებელი. ყოვლივე აქედან გამომდინარე, შემუშავდა «რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი. კანონპროექტის განხილვა სახელმწიფო სათათბიროს მიერ სავარაუდოდ 2006 წელს მოხდება. პროექტის მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებიდან ჩამოსული პოტენციური შრომითი მიგრანტებისთვის გამარტივდება შრომითი საქმიანობის უფლებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის მიღების პროცედურები, კერძოდ, მიგრანტი მუშაობაზე ნებართვის მიღებას შეძლებს როგორც რუსეთში, ასევე საკუთარ სამშობლოში (ფედერალურ მიგრაციულ სამსახურში პასპორტის ასლის, მუშაობის სურვილის შესახებ განცხადებისა და მოსარგებლე-მეწარმის მოთხოვნის წარდგენით); ექსპერიმენტის სახით დაწესდება ამნისტია იმ მიგრანტთათვის, რომლებიც უკვე იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე; გადაისინჯა დეპორტირების პროცედურაც, რადგან დეპორტირებულთა უმრავლესობა მოგვიანებით უკან ბრუნდება და გამოდის, რომ რუსეთის ფედერაცია ანაზღაურებს არალეგალთა მიერ ოჯახის მონახულების ხარჯებს. ექსპერტთა აზრით, კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში რუსეთი მიიღებს მსოფლიოში ყველაზე ლიბერალურ მიგრაციულ კანონმდებლობას, რომელიც მიგრანტებს შეუქმნის ყველა პირობას საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. თუმცა ამ ცვლილებებისადმი პარტია «როდინას» ლიდერის დ. როგოზინის მხრიდან მკვეთრად საწინააღმდეგო პოზიცია დაფიქსირდა: «რუსეთის ხელისუფლება თუ გონს არ მოეგება და მართლაც გადაწყვეტს არალეგალური მიგრანტების მიმართ ამნისტიის ჩატარებას, რუსეთს იგივე მოუვა, რაც საფრანგეთს!»<sup>59</sup>

ცხადი ხდება, რომ რამდენადაც მიმზიდველი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის შემოთავაზებული შრომის პირობები (ანაზღაურება, ადგილმდებარეობა, სამუშაოს სიმძიმე და ა.შ.), იმდენად შეიცვლება საქართველოდან რუსეთისკენ მიგრაციული ნაკადის დღეს არსებული მოცულობა.

საბერძნეთისაკენ მიმართული ნაკადის საკმაო სიდიდეს ამ ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკა განაპირობებს: აქ შრომის მეორადი ბაზარი

<sup>58</sup> Ионцев В. Через 15 лет в России некому будет работать. Газ. "Аргументы и факты", 15.06.2005.

<sup>59</sup> საინფორმაციო-ანალიტიკური ცნობა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოდან. Прадировский С. Смена геостратегической парадигмы – от собирания земель к собиранию народов. В кн: Политика иммиграции и натурализации в России. Москва, 2005. с.221-225.

დიდ მოთხოვნას აყენებს მომვლელ ქალებზე მაღალი ანაზღაურების პირობით. ემიგრაციიდან დაბრუნებულთა შორისაც საბერძნეთიდან ჩამოსულები მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან (17%). ემიგრანტები კმაყოფილნი არიან შემოსავლებითა და დანაზოგებით და უკვე რამდენიმე წლის მერე ბრუნდებიან სამშობლოში, ოჯახთან. მაგრამ მსო-ის მიერ 2000 წლის სექტემბერში მომზადებული ანგარიშის თანახმად, ბერძნული და ებრაული წარმოშობის ადამიანებზე ყოველწლიურად გაიციმა საიმიგრაციო ვიზების საკმაოდ დიდი რაოდენობა, შესაბამისად, საბერძნეთსა და ისრაელში მათი მუდმივი ცხოვრების მიზნით. საიდუმლოებას აღარავისთვის წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური კრიზისისგან თავდაღწევის გამო ქართველი ოჯახები გადადიან ბერძენი ან ებრაელი დედის (ან ბების) გვარზე და როგორც ბერძნული ან ებრაული წარმოშობის ადამიანები «უბრუნდებიან მშობლიურ მიწას»<sup>60</sup>.

გერმანიისკენ მიგრანტთა ნაკადის მაღალი ხვედრითი წილია როგორც დაბრუნებულებსა და შემცვლელი რესპონდენტების ანკეტირებით მიღებულ მაჩვენებლებში, ისე მიმდებ ქვეყნებში შევსებულ კითხვართა რიცხოვნობაში. ეს აიხსნება წასული კონტინგენტის მრავალფეროვნებით. გერმანია ძალიან მიმზიდველი ქვეყანაა ყველა კატეგორიის ქართველი მიგრანტისათვის: ეს შეიძლება იყოს ბიზნესმენი, რომელსაც სურს გერმანიაში მანქანის ყიდვა და საქართველოში საკუთარი მანქანით დაბრუნება; სტუდენტი, რომელიც მიდის სასწავლებლად; ან თავშესაფრისა თუ ბედის მამიებელი, რომელსაც ამ ქვეყნის კეთილდღეობა იზიდავს. გერმანიის ვიზებზე განაცხადების დიდი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ბევრი ქართველი შენგენის ტერიტორიაზე ფრანქფურტის აეროპორტით (ისევე, როგორც ვენის აეროპორტით) შედის და შემდეგ სხვადასხვა სახის ტრანსპორტითა და ხერხით მიემგზავრება შენგენის სხვა ქვეყნებში. მიუხედავად გერმანიის საიმიგრაციო პოლიტიკის სიმკაცრისა, იგი თავიანთ სამშობლოში საქართველოდან წარმოშობით გერმანელებს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელებს დაბრუნებისა და დაფუძნების საშუალებას აძლევს.

90-იანი წლების დასაწყისიდან შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა თურქეთისკენ მაღალი იყო, რადგან ამ პერიოდში ემიგრანტებს არჩევანის ნაკლები საშუალება ჰქონდათ, თანაც თურქეთთან მიმოსვლა შედარებით იაფი და ორგანიზაციულად ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთისკენ შრომით მიგრანტთა ნაკადი შესუსტდა სამუშაო ძალის დაბალი ანაზღაურების გამო. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონიდან (აჭარა, გურია), აგრეთვე, ენობრივ-კონფესიურად თურქებთან ახლო მდგომ აზერბაიჯანელთა თურქეთისკენ გადაადგილება. აზერბაიჯანელთა მეტი აქტივობა თურქეთში სამუშაოდ გასვლისას ქვემო ქართლის მოსახლეობის გამოკვლევებშიც გამოვლინდა.<sup>61</sup> თურქეთიდან დაბრუნებულების გამოკითხვით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს კატეგორია არის თურქეთში სეზონურად მომუშავენი და ვაჭრობა-ბიზნესით დაკავებულნი, რაც უნდა ავხსნათ ამ ორ ქვეყანას შორის ინტენსიური კომერციული კონტაქტებითა და თურქეთის ნაკლებად მკაცრი სავიზო რეჟიმით. შრომითი ემიგრანტები ყოველწლიურად (მათ არაერთგზის განუხორციელებიათ

<sup>60</sup> არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა. msო მიერ მომზადებული ანგარიში. თბ., 2000წ. IX. გვ.9

<sup>61</sup> ტუხაშვილი მ., მაჭარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. ჟ. სოციალური ეკონომიკა, №4, 2000. გვ.30-39.

სეზონური ემიგრაციები) სამი-ხუთი თვით გადიან თურქეთში. უკვე იციან თუ სად და როგორ მოიძიონ კაფე-ბარებში, სასტუმროებსა თუ მაღაზიებში მრეცხავის, დამლაგებლის, მიმტანის სამუშაო ადგილები. ანაზღაურება შეადგენს თვეში 300 აშშ დოლარს. აღნიშნული დროებით ჩამოსული ემიგრანტები ჯერ ვერ ბედავენ თურქეთში მიმოსვლის შეწყვეტასა და ახალი გეგმების დასახვას რუსეთისა თუ დასავლეთის მიმართულებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაჩნდა მიგრაციული ნაკადების მიზიდვის ახალი კერები, თუმცა ჯერ-ჯერობით მცირე წილით: კანადა, ეგვიპტე, ავსტრალია, ლათინური ამერიკა. რუსეთის ტურისტული სააგენტოების დახმარებით გასული ემიგრანტები ხვდებიან ირლანდიასა და პოლონეთში. ბელგიის, ესპანეთისა და ინგლისის მიმართულებით კი მიგრაციული აქტები საკმაოდ გაიზარდა.

თუკი საქართველოს მოსახლეობას შორის 30 წელზე გადაცილებულთათვის ემიგრაციის ძირითადი მიმართულების ქვეყნებს რუსეთი, საბერძნეთი, გერმანია და აშშ წარმოადგენენ, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველია უმაღლესი განათლების მისაღებად ხელსაყრელი ქვეყნები: რუსეთი (27,3%), გერმანია (19,7%), აშშ (18,2%), ინგლისი (13,6%) (ცხრილი 4). უფროსი ასაკის მიგრანტებისაგან განსხვავებით ახალგაზრდები სტუდენტური ვიზის საშუალებით გადიან საზღვარგარეთ (54,6%) (ცხრილი 5) და უცხო ქვეყანაში ყოფნაზე კანონიერ უფლებასაც მუშაობასთან პარალელურად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დამამტკიცებელი დოკუმენტაციით ინარჩუნებენ (61,4%) (გრაფიკი 1).

1999 წელს ინგლისში წასულ ქართველთა 35%-ს სტუდენტები შეადგენდნენ. ინგლისის საელჩოს თანამშრომლების შეფასებით ყოველ წელს გაიცემა 700 ვიზამდე ქვეყანაში ხანმოკლე ვიზიტისათვის,<sup>62</sup> მაგრამ ეს «ხანმოკლე ვიზიტი» ემიგრაციიდან დროებით ჩამოსულმა ასე აღწერა: *«თუკი ინგლისის თუნდაც იაფფასიან კოლეჯში ერთი სემესტრის სასწავლო თანხას გადაგზავნის მსურველი, მიიღებს მოწვევას, რითაც ვიზის აღება ადვილდება. ინგლისში სტუდენტს კვირაში 20 საათის მუშაობის უფლება აქვს (გერმანიაში კი – წელიწადში 90 დღის), თუმცა, ვინაიდან ის უკვე კანონიერი მიგრანტია და არა არალეგალი, 20სთ-ზე მეტხანს ახერხებს ფარულად მუშაობას. სწავლის პროცესს, რა თქმა უნდა, რაც შესაძლებელია ახანგრძლივებს, მაგრამ ინდოელების მიერ ინგლისშიც იხსნება მეტად იაფფასიანი სასწავლებლები, რომელთა ხელმძღვანელობა წინასწარ, 2-3 თვით ადრე აიღებს საფასურს, მერე კი იკარგება და საერთოდაც ქრება. ასეთი არასაიმედოობის მიუხედავად, სტუდენტური ვიზის მოპოვების სურვილით ბევრი უცხოელი ახალგაზრდა მიდის ასეთ რისკზე და მაინც უკავშირდება მსგავს სასწავლებლებს».*

ცხრილი 5


**ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების განაწილება ვიზის სახეობის მიხედვით, რითაც განახორციელეს ემიგრირება (პროცენტობით ჯამთან)**

<sup>62</sup> არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა. msო მიერ მომზადებული ანგარიში. თბ., 2000წ. IX. გვ.10.

რესპონდენტები ვიზის ტიპები	შრომით ემიგრანტთა მთლიანი ნაკადი	ინტერნეტის საშ.-ით გამოკითხული ახალგაზრდები
სამუშაო	0.3	5.1
საქმიანი	4.8	9.1
ტურისტული	53.3	22.7
სტუდენტური	11.4	58.6
სასტუმრო (კერძო მიწვევა)	14.3	1.5
ოჯახთან გაერთიანების	7.1	1.5
ტრანზიტული	-	-
კომერციული	4.5	-
სავიზო რეჟიმის გარეშე	4.3	1.5
სულ	100	100

გრაფიკი 1

ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება  
კითხვაზე – «როგორ ახერხებთ იმიგრაციის ქვეყანაში ყოფნაზე კანონიერი უფლების შენარჩუნებას?» –  
პასუხების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)



სწრაფად მზარდ ტურიზმის სექტორში დასაქმების მიმზიდველი პირობებით უფრო და უფრო იწევს წინ ესპანეთი. ნაკადთა დენადობით ისრაელმა უკან დაიხია. თბილისში ისრაელის საელჩოს ინფორმაციით საქართველოში ცხოვრობს 10000-დან 12000-მდე ებრაელი. ისინი არიან ძირითადად ხანდაზმული ადამიანები, რომლებმაც

საეჭვოა, რომ ისრაელში ემიგრაცია არჩიონ.<sup>63</sup> ისრაელის სავიზო პოლიტიკის კიდევ ერთი ასპექტია ის, რომ ისრაელში ტურისტული ვიზით ჩასულ ქართველებს უპრობლემოდ შეუძლიათ ვიზის რამდენჯერმე განახლება ისრაელშივე და პრაქტიკულად ისრაელში დარჩენა ერთი წლით ან უფრო ხანგრძლივად განახლებადი მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე. აღნიშნულის გამო ნაკლებად უნდა მოველოდეთ მუდმივ ემიგრაციას ისრაელში როგორც ქართველების, ისე ებრაელების მხრიდან. შრომითი მიგრაციების ხანგრძლივობაც მოკლე პერიოდებით გაგრძელდება.

ამრიგად, 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოდან შრომითი მიგრაციის მიმართულებში მოხდა ცვლილებები: პერიოდის დასაწყისში მიგრანტთა გადაადგილების ვექტორი უმთავრესად რუსეთისა და თურქეთისკენ იყო მიმართული. პირველ მასობრივ ნაკადს შეადგენდა: ა) ეთნიკური ჯგუფები, რომელთა საბოლოო განზრახვა თავიანთ ტერიტორიებზე დაბრუნება იყო [ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, საბერძნეთი, ისრაელი]; ბ) დღეისთვის ყველაზე წარმატებულად მისაჩნვეი უკვე სტაციონარული მიგრანტები, რომელთა ძირითადი ნაწილი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მათ ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს, აქვთ სტაბილური სამსახური (პროფესიის შესაბამისი კი) და რუსეთში საპენსიო ასაკამდე დარჩენას ხსნიან მათი მეორე თაობისთვის უკეთესი ცხოვრების პირობების (ეს იქნება საქართველოში თუ სხვაგან) შექმნით; გ) კომერციული და შრომითი მიგრანტები თურქეთის მიმართულებით, რომელთა შორის ჭარბობდა ქალთა კონტინგენტი.

შემდეგში მიგრაციული ნაკადების მიმართულება თანდათან შეიცვალა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ, რაც კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმის შემოღებამ. დასავლეთისკენ მიმართული ნაკადის შემადგენლობას ძირითადად წარმოადგენს «შრომითი-განათლებლური» მიზნით ემიგრირებული ახალგაზრდობა; დასავლეთის შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, 45 წლამდე ასაკის ქალები და «ბედის ანაბარად» წასული მამაკაცები.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის ინტენსიური პროცესი იწვევს საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების არა მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას, არამედ ამ პროცესის ხასიათის თვისობრივ ცვლილებასაც. 1990-იანი წლებიდან მიგრაციულ ნაკადებში თანდათან გაიზარდა «ელიტის», ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წილი. ე.წ. «ელიტის» მიგრაციას «ჩრდილოეთი\_ჩრდილოეთი» და «ჩრდილოეთი\_სამხრეთი» მიმართულებით ახასიათებს უპირატესად დადებითი შტრიხები, რადგან ეს მიგრანტები არსებითად წარმოადგენენ ღარიბი ქვეყნების მოდერნიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის აგენტებს, «სამხრეთი\_ჩრდილოეთი» ღერძით ასეთი მიგრაცია კი საბოლოო ჯამში, იწვევს «ტვინების გადინებას», რომლის უკონტროლობა მესამე მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო ჩამორჩენას კიდევ უფრო გააძლიერებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაზრდის ღარიბი და უღარიბესი ქვეყნებიდან საერთაშორისო უკანონო მიგრაციას. ასეთი საშიშროების წინაშე დგას საქართველოც. ამიტომ ჩვენი ქვეყნიდან შრომითი ემიგრაციის რეგულირებისა და ლეგალიზების მიზნით უპირველესად ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს

<sup>63</sup> არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა. მსო მიერ მომზადებული ანგარიში. თბ., 2000წ. IX. გვ.11

ემიგრაციის ძირითადი მიმართულების ქვეყნებთან ნაკადების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის გათვალისწინებით.

განსხვავებულია ემიგრირების ორგანიზაციული ფორმები იმიგრაციის ქვეყნების მიხედვით (ცხრილი 6; 7). ნაკადთა მნიშვნელოვანი წილი, როგორც გაირკვა, რუსეთისკენაა მიმართული, ამიტომ მიგრაციული აქტის განხორციელებას ემიგრანტები რუსეთთან ენობრივი ბარიერის არარსებობის, მსგავსი ცხოვრების პირობების, მენტალიტეტის, ტრადიციებისა და ტერიტორიული სიახლოვის გამო ნაცნობ-მეგობრების დახმარებით ახერხებენ. რუსეთში გამოკითხული შრომითი ემიგრანტების 74,2%-მა აღნიშნა, რომ ემიგრირდნენ ნათესავ-მეგობრების დახმარებით, იგივე მიუთითა შემცველი რესპონდენტების 68,7%-მა და დაბრუნებულთა 46%-მა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით აიხსნება ასევე რუსეთში მიმავალ ემიგრანტებში ბედის ანაბარად წასულთა მაღალი ხვედრითი წილიც.

ცხრილი 6

ემიგრირების ორგანიზაციული ფორმები ქვეყნების მიხედვით  
(კვლევის შედეგებით, პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლევული რეგიონი ემიგრირების ფორმა	შემცველ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით	იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ.-ით გამოკითხული ახალგაზრდები	თბილისი
ნათესავი	30	45.2	14.3	32	45	28.8	12.2	16
მეგობარი	14	29	30.2	16	10	24.5	13.5	22
აქაური ნაცნობი	5						8.1	-
იქაური ნაცნობი	9	6.5	1.6	4	10	4.3	4	8
სათვისტომო	1	-	-	12	-	2.2	2.7	1
დასაქმების სახელმწიფო სამსახური	-	-	-	-	-	-	-	-
დასაქმების კერძო სააგენტო	2	-	17.5	8	-	9.4	4.1	16
ტურისტული ფირმა	8	-	3.2	8	10	4.3	5.4	8
კერძო პირი	9	-	4.8	-	-	2.2	5.4	-
წავიდა ბედის ანაზარა	5	19.4	4.8	20	5	10.8	8.1	4
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით, საწარმოს მიერ გამოცხადებული კონკურსით	7	-	17.5	-	20	10.8	31.1	11
მანამდე წასული იყო ოჯახის წევრი	8	-	6.3	-	-	2.9	4.1	8
სხვა	2 (ქორწინება)	-	-	-	-	-	1.3(ქორწინება)	6
სულ	100	100	100	100	100	100		100



დასავლეთისკენ ემიგრირების განხორციელებისათვისაც ინფორმაციის მიწოდებაში დიდი როლი აქვს ნათესავებსა და ნაცნობებს. მათი დახმარებით ემიგრანტები ერკვევიან, თუ როგორ შეძლებენ შედარებით კანონიერ ფარგლებში და უმოკლესი გზით საზღვარგარეთ მოხვედრას. ინფორმირების შემდეგ კი რჩევის მიხედვით მიმართავენ კერძო პირებს, დასაქმების კერძო სააგენტოებს, ტურისტულ ფირმებს, ეცნობიან სხვადასხვა სახის გაცვლით პროგრამებს.

**ცხრილი 7**

**ემიგრირების ორგანიზაციული ფორმები ქვეყნების მიხედვით, (კვლევის შედეგებით, პროცენტობით ჯამთან)**

მიმღები ქვეყანა	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით									
	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	ისრაელი	ბელგია	ფროანის სხვა	აზერბაიჯანი	სომხეთი	სხვა ქვეყნები
ემიგრირების ფორმა										
დაეხმარა ნათესავი	35.7	22.0	14.0	10.3	25.0	20.0	16.7	44.5	14.0	12.0
მეგობარი	14.3	8.8	22.1	11.5	-	-	12.5	22.2	22.1	12.0
აქაური ნაცნობი	3.3	3.3	2.3	10.3	-	10.0	2.8	-	2.3	4
იქაური ნაცნობი	7.0	7.7	2.3	8.1	25.0	10.0	6.9	-	2.3	16.0
სათვისტომო	0.8	2.2	-	-	25.0	-	-	-	-	-
დასაქმების სახელმწიფო სამსახური	-	2.2	-	-	-	-	1.4	11.1	2.3	-
დასაქმების კერძო სააგენტო	3.2	4.4	20.9	12.6	-	-	9.7	-	18.6	4.0
ტურისტული ფირმა	0.4	7.7	3.5	10.4	12.5	-	12.5	-	3.5	8.0
კერძო პირი	1.6	9.9	8.1	6.9	-	10.0	9.7	-	8.1	4.0
წავიდა ბედის ანაზარა	23.4	8.8	4.7	8.0	12.5	20.0	18.1	22.2	4.7	8.0
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით, საწარმოს მიერ გამოცხადებული კონკურსით	2.5	1.1	11.6	11.5	-	-	2.8	-	11.6	12.0
მანამდე წასული იყო ოჯახის წევრი	7.0	20.9	8.2	9.2	-	30.0	6.9	-	8.2	16.0
სხვა	0.8	1.0	2.3	1.2	-	-	4.0	-	2.3	4.0
სულ	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

ახალგაზრდები ცდილობენ, გამონახონ შენიღბვის კანონიერი მეთოდი სასურველ ქვეყანაში მოსახვედრად და მიმართავენ კერძო სააგენტოებს, რომლებიც ახორციელებენ

AuPayr-ის (სწავლა და მუშაობა), Work&Travel-ის (მუშაობა და მოგზაურობა) და სხვა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს (ძირითადად, გერმანია, აშშ, ინგლისი), მაგრამ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად მიმართავს კერძო სააგენტოებსა და ტურისტულ კომპანიებს ემიგრირების ორგანიზების მიზნით (პასუხების 9,5%). უმაღლესი საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საერთაშორისო პროგრამების საშუალებით ემიგრირების რეალიზება მოახერხა მხოლოდ 31,1%-მა, თუმცა საბოლოოდ ემიგრანტთა ეს კატეგორია ნდობას მაინც უპირატესად მეგობრებსა და ახლობლებს უცხადებს (41,9%) (ცხრილი 6). ემიგრანტთა მთლიანი ნაკადის 20%-სთვის (მათ შორის ახალგაზრდა რესპონდენტთა 28,8%-ისთვის) კი, რომლებმაც განმეორებით განახორციელეს ემიგრაცია, აშშ-ში ეს პროცედურა უცხო არ არის და თვითონვე იკვლევენ გზას.

აშშ-ში ემიგრაციის ორგანიზება უპირატესად ტურისტული ფირმების მეშვეობით ხდება. ტურისტული ფირმა ემიგრანტებს აგზავნის ტურისტული და სასტუმრო ვიზით, რომელთა ვადის გასვლის შემდეგ მიგრანტები არალეგალები ხდებიან. უკეთეს მდგომარეობაში არიან მიწვევებითა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით წასული მიგრანტები. ემიგრირების ეს ხერხი მიუთითა უშუალოდ აშშ-ში გამოკითხული შრომითი მიგრანტების 20%-მა და შემცვლელი რესპონდენტების კი\_7%-მა.

საბერძნეთში წასულთა უმრავლესობაც ეყრდნობა ნათესავებისა და მეგობრების (ხშირია მანამდე წასული ოჯახების წევრების მიერ დანარჩენების წაყვანა) დახმარებას, თუმცა წასვლის ორგანიზება მაინც ტურისტულ ფირმებსა (7,7%) და კერძო სააგენტოებზე (14,3%) გავლით ხდება სასტუმრო და ტურისტული ვიზების საშუალებით. კერძო პირები და სააგენტოები ემიგრაციის მსურველებს აცნობენ ემიგრირების საშუალებებს: თავშესაფრის მოთხოვნა, ბერძენი ეროვნების მშობლების გვარზე გადასვლა და ამით საბერძნეთის მოქალაქეობის მოპოვება, სამსახურებრივი მივლინებები, ფიქტიური გათხოვება დამქირავებელზე - სინამდვილეში კი ოჯახის ავადმყოფი ან მოხუცი წევრის მოვლა იგულისხმება, და ა.შ.

ისრაელში ემიგრაციის საშუალებების სპეციფიკაც ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობიდან გამომდინარეობს.

დაბრუნებულთა გამოკითხვამაც ემიგრაციის განხორციელებაში ნათესავ-მეგობრების დახმარება (46%) უჩვენა. სწავლის მიზნით წასული ყოფილა 14%. მუშახელის შემკრები ორგანიზაციებით ანუ დასაქმების კერძო სააგენტოებით ემიგრირდა 16%; მათი ასეთი დიდი წილი დაბრუნებულებში აიხსნება სწორედ იმით, რომ მუშახელის შემკრებ ორგანიზაციას სამუშაო ძალა მიჰყავს განსაზღვრული სამუშაოსთვის განსაზღვრული ვადით, რომლის დასრულების შემდეგ ემიგრანტთა ჯგუფს უჭირს ერთიანად სამუშაოს მოძებნა, გარემოსთან ადაპტაცია და ნაწილი იძულებული ხდება, უკან დაბრუნდეს. დაბრუნებულთა 35%-ის ემიგრაციის ხანგრძლივობა 1 წელიწადია, თუმცა 10%-სთვის ემიგრაციულმა პერიოდმა 5 წელი და მეტი ხანი გასტანა (ცხრილი 8).

ახალგაზრდა რესპონდენტთა მესამედისთვისაც მიმღებ ქვეყანაში იმიგრაციული ცხოვრება ერთწლამდე პერიოდით შემოიფარგლება, 1-3 წელი იმყოფება ემიგრაციაში ახალგაზრდების 28,1%. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოდან ემიგრაცია ძირითადად არალეგალური ხასიათისაა, მისი ბუნებიდან გამომდინარე კი, საკმაოდ რთულია სამშობლოში უკან დაბრუნების პროცესიც, რის გამოც არალეგალურ ემიგრანტთა დიდი ნაწილი განუსაზღვრელი ხნით რჩება საზღვარგარეთ. გარკვეული ვადით სამუშაო ძალის

ორგანიზებულად გაყვანის შემთხვევაში კი მათი უკან დაბრუნების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია (93%). აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ემიგრირების ორგანიზების ფორმების სახელმწიფოს მხრიდან ლეგალიზების აუცილებლობა.

საერთოდ, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნათესავებისა და მეგობრების დახმარება მათი ინფორმაციის ნდობაში გამოიხატება. პოტენციური ემიგრანტები სამშობლოდან წასვლას წყვეტენ მათ მიერ სამუშაო ადგილის წინასწარ მოძიებასა და თავდაპირველ მოწყობაში მხარდაჭერის იმედით. ემიგრაციის ორგანიზებას კი კვლავ დასაქმების საშუალოაღლო სააგენტოებს, კერძო პირებსა და ტურისტულ ფირმებს ანდობენ. მიმღებ ქვეყანაში მოხვედრიდან იწყება ყველა იმ ხერხისა და საშუალებების მოძიება, რომელიც მათ ადგილობრივი სამართლადამცავი ორგანოებისგან დაიცავთ და დამალავთ. მაგალითად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 1990-2004 წელს თავშესაფარზე მოთხოვნა განაცხადა საქართველოს 56152 მოქალაქემ<sup>64</sup>. მათ შორის ყველაზე მეტი განაცხადი გერმანიაზე მოდის, შემდეგ საფრანგეთზე, ავსტრიაზე, ბელგიასა და შვეიცარიაზე (დანართი 3). ევროპის თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელია თავშესაფრის მიცემის საკუთარი პოლიტიკა, რის მიხედვითაც განმცხადებელთა განსაზღვრული რაოდენობა იღებს თავშესაფრის მქონის სტატუსს, ზოგიც მეორადი ჰუმანიტარული სტატუსითაც კმაყოფილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უარი ეთქვათ თავშესაფარზე, მაგრამ უფლება აქვთ, დარჩნენ ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარების მიღების მიზნით. თუმცა ეს მათ საბოლოოდ არ აძლევთ ლტოლვილის სტატუსის მიღების გარანტიას. მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ზოგი მიუღებელ ხერხებსაც იყენებს, რაზედაც თვითონაც მწარე ირონიით საუბრობს. *ერთ-ერთი დაბრუნებულის მონათხრობით, თუ აქედან ჩასული შრომითი ემიგრანტი ნორვეგიაში დაქორწინდება ადგილობრივ მოსახლეზე (აღნიშნული ფაქტი თურმე არცთუ ისე იშვიათია, მაგრამ მეუღლეობის პრეტენდენტები უმეტესწილად ლოთები და უსაქმურები არიან, რომლებსაც მეუღლისაგან რჩენა სჭირდებათ), შეუღლებიდან ერთი წლის მერე ეძლევა ქვეყანაში დარჩენისა და მუშაობის უფლება. ერთი წლის შემდეგ კი გაეყრებიან, რაშიც სასამართლო ერევა, მაგრამ ემიგრირებული ნაცნობ-მეგობრების გამოცდილების წყალობით, ადვილად ართმევენ თავს და განქორწინების შემდეგ უკვე თვითონაც მონაწილეობს მუშაობის უფლების მიღების ანალოგიურ წესში. მას საქართველოდან მიყავს ახლობლები, თუნდაც იგივე სქესის პიროვნება, «ოჯახის შექმნის» მიზნით და ასე გრძელდება პროცედურები, ემიგრაციის მსურველი ახლობლების ამოწურვამდე.*

<sup>64</sup> მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში «არალეგალური მიგრაციის მასშტაბები საქართველოდან». 2005. [www.iom.ge](http://www.iom.ge)

შრომით ემიგრანტთა განაწილება მიმღებ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლეული რეგიონი ემიგრაციის ხანგრძლივობა	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით								ემიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	თბილისი საშუალოდ	ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყიბული	ზუგდიდისა და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშუალოდ გამოკითხული ემიგრანტები	თბილისი
3 თვემდე	-	-	-	-	-	-	1	0.0	-	-	-	-	-	-	-
3-6 თვემდე	-	-	3	4	2	-	2	1.9	3.2	15.9	8	-	9.4	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	21	18	15	16	7	38.1	16	18.7	16.1	34.9	20	5	23.6	16.7	35
1-2 წელი	19	32	34	31	23	33.3	25	28.2	22.6	23.8	24	5	20.9	16.7	28
2-3 წელი	15	17	21	14	16	7.1	21	16.1	9.7	9.5	8	50	15.1	28.8	15
3-4 წელი	13	13	11	12	12	4.8	14	11.4	9.7	9.5	4	30	11.5	16.7	4
4-5 წელი	14	12	10	9	19	9.5	13	12.4	19.4	6.3	32	5	13.7	15.2	8
5-ზე მეტი წელი	15	8	6	14	21	7.2	8	11.3	19.4	-	4	5	5.8	6.1	10
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

არალეგალური მიგრაციის მასშტაბები საქართველოდან ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის ძიების რაოდენობრივი მაჩვენებლები<sup>65</sup>

წლები	ალბანეთი	აგსტრია	ბელგია	ბულგარეთი	კანადა	კვიპროსი	ჩეხეთი	დანია	ფინეთი	საფრანგეთი	საბერძნეთი	დიდი	გერ	უნგრეთი	ირლანდია	იტალია	ლუქსემბურ	ჰოლანდია	ნორვეგია	პოლონეთი	პორტუგალ	რუმინეთი	სლოვაკეთი	ესპანეთი	სლოვენია	შვედეთი	შვეიცარია	აშშ	სულ
1991	-	-	0	-	-	0	8	-	0	-	0	-	0	-	0	-	-	0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	8
1992	-	-	18	-	-	0	12	-	0	-	0	-	295	-	0	-	-	25	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	350
1993	-	0	76	0	-	0	15	0	1	13	0	-	147 0	0	0	0	0	169	2	0	2	-	-	1	-	15	10	-	177 4
1994	-	0	18 0	0	-	0	27	38	13	33	0	-	897	0	5	3	0	123 8	4	26	0	-	-	40	-	0	0	-	250 4
1995	-	0	25 1	0	-	0	7	2	10	22	0	-	242 1	0	0	0	2	344	1	23	1	-	-	53	0	13	0	-	315 0
1996	-	0	250	0	-	0	14	22	1	74	0	-	244 1	5	0	0	0	188	1	25	0	-	-	17	0	4	57	-	309 9
1997	-	0	207	0	-	0	2	20	0	11 0	0	-	332 8	3	0	0	8	291	5	25	1	-	-	96	-	9	300	-	440 5
1998	-	25	490	1	-	0	34	60	2	12 7	0	-	197 9	1	5	18	9	290	4	20	8	-	-	21 1	0	11	81 3	-	410 8
1999	-	30	890	10	-	0	20	50	0	18 0	0	-	110 0	0	47	36	6	320	70	40	1	-	-	270	0	40	320	-	343 0
2000	16	34	121 7	6	11 4	0	102	142	-	359	-	-	800	27	55	17	-	291	70	71	1	0	0	135	0	59	181	207	390 4
2001	8	596	481	6	76	0	1288	46	7	1060	0	-	121 8	29	97	21	5	298	205	93	0	-	25	94	0	166	271	173	626 4
2002	-	1919	313	15	36	0	641	44	11	153 8	8	18 5	1494	91	103	9	7	219	284	39	4	7	55	71	12	439	386	192	842 2
2003	0	1520	302	4	52	0	320	29	26	1365	44	179	112 6	205	133	-	44	116	180	30	6	0	578	54	68	537	750	155	782 3

<sup>65</sup> მონაცემები მოგვარდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM თბილისის მისია)

2004	-	135 7	168	-	18	291	18 5	25	61	1346	488	10 5	624	210	106	-	-	53	75	31	-	-	750	35	33	297	585	78	692 1
593	24	5481	4843	42	296	291	2675	478	132	6217	540	469	19193	571	551	104	81	3842	901	423	23	7	1408	1077	113	1590	3974	805	56152

შრომითი მიგრაციიდან მიღებული სარგებელი გარკვეულწილად დამოკიდებულია მიგრაციის ორგანიზების ხარისხზე. დაურეგულირებელი სტატუსის გამო ემიგრანტთა უმრავლესობისთვის შეუძლებელია დამქირავებელთან წერილობითი კონტრაქტის დადება (ცხრილი 9, დანართი 4). თუმცა ეს გარიგებაც ძირითადად ეხება მხოლოდ დაქირავების ხანგრძლივობასა (პასუხების 30%) და ხელფასის ოდენობას (პასუხების 33,6%).

ცხრილი 9

**შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება კითხვაზე –  
«გააფორმეთ თუ არა შრომითი ხელშეკრულება?»  
(პროცენტობით ჯამთან)**

გამოკვლეული რეგიონი	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით	იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებული
	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშუალებებით გამოკითხულ	თბილისი
არა	63	54.8	27	72	7	49	24.2	66
დიახ, გარიგება მოხდა წერილობით უშუალოდ დამქირავებელთან	10	13.2	9	2	7	7.8	48.5	7
დიახ, გარიგება მოხდა სიტყვიერად უშუალოდ დამქირავებელთან	17	32	18	10	18	19.5	19.7	6
დიახ, საქართველოში არსებული სტრუქტურის შუამავლობით	-	-	3.2	-	-	1.4	-	2
თავი შეიკავა	10	-	42.9	16	-	22.3	7.6 (მხოლოდ სწავლობს)	19
სულ	100	100	100	100	100	100	100	100

მიმღებ ქვეყნებში ემიგრანტთა გამოკითხვით დადგინდა, რომ შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული მხოლოდ უცხოური დაწესებულებების მიწვევით წასულ ემიგრანტებს, რაც 9,2%-ს შეადგენს, და სტუდენტობას – კანონმდებლობით დაშვებული სამუშაო დღეების ოდენობით (48,5%); დანარჩენი კი ცხოვრობენ და მუშაობენ არალეგალურად. საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ორგანიზების საშუალებების შესწავლით დასტურდება, რომ შრომითი ემიგრაცია მასიურად არალეგალურ ხასიათს ატარებს. მათი დიდი ნაწილი იყენებს ნათესავებისა და ტურისტული ფირმების მომსახურებას. მიმღებ ქვეყანაში კი ჩვენი მოქალაქეების

ნახევარი სრულიად დაუცველი რჩება და, ბუნებრივია, აწყდება უამრავ ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს. პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში მათ მხოლოდ ნაცნობ-მეგობრების, სათვისტომოსი და საკუთარი თავის იმედი აქვთ (შესაბამისად\_ 50%, 3%, 21%). უკეთეს პირობებში არიან სტუდენტური ვიზით წასული ახალგაზრდები მიუხედავად იმისა, რომ მათ მხოლოდ განსაზღვრული დროით მუშაობის უფლება აქვთ, მათი ინტერესების დარღვევისას თავისუფლად შეუძლიათ მიმართონ სახელისუფლო დაწესებულებებს, თუმცა საჭირო შემთხვევაში ასეთი ხერხი მხოლოდ 11%-მა გამოიყენა.

ამ ფონზე კიდევ უფრო იზრდება ლიცენზირებული დასაქმების კერძო თუ სახელმწიფო სააგენტოების როლი, რომლებიც ბუფერის როლს შეასრულებენ პოტენციურ მიგრანტებსა და საზღვარგარეთელ სამუშაოს მიმცემთა შორის. ასეთი კომპანიები ვალდებულნი არიან, თავის თავზე აიღონ არამარტო ემიგრაციის ორგანიზების რეგულირების სიძნელეები, არამედ ხელი შეუწყონ შრომითი ემიგრანტების სამუშაო ადგილზე ადაპტირებასა და პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში დაიცვან სამშობლოსგან შორს მყოფი მოსახლეობის ინტერესები.



დასაქმების ლეგალურობა და ემიგრაციის ხელშეწყობის სახე  
(პროცენტობით ჯამთან)

ლეგალურობასთან დამოკიდებულება	გააფორმა თუ არა შრომითი ხელშეკრულება				
	არა	დიახ, უშუალოდ დამ- ქირავებელთ ან	დიახ, საქარ- თველოში არსე- ბული სტრუქ- ტურის შუამავლ- ობით	თავი შეიკავა	სულ
ემიგრირდა					
ნათესავის დახმარებით	73.7	25.7	0.6	-	100
მეგობრის დახმარებით	53.6	41.7	4.7	-	100
აქაური ნაცნობის დახმარებით	66.7	20.8	12.5	-	100
იქაური ნაცნობის დახმარებით	40.9	59.1	-	-	100
სათვისტომოს დახმარებით	50.0	50.0	-	-	100
სახელმწიფო სამსახურის დახმარებით	-	66.7	33.3	-	100
დასაქმების კერძო სააგენტოს დახმარებით	34.0	57.5	8.5	-	100
ტურისტული ფირმა	67.7	25.8	6.5	-	100
კერძო პირი	74.3	22.9	2.8	-	100
წავიდა ბედის ანაზარა	74.8	23.2	2.0	-	100
სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით, საწარმოს მიერ გამოცხადებული კონკურსით	46.9	53.1	-	-	100
მანამდე წასული იყო ოჯახის წევრი	69.8	28.6	1.6	-	100
სხვა	71.4	28.6	-	-	100

რუსეთის ფედერაციაში 300-მდე ლიცენზირებული შრომითიმოწყობის სააგენტოა. მოსკოვის რეგიონში 150-ზე მეტი ფირმა მოღვაწეობს (1999წლის მონაცემებით), მაგრამ აქედან მცირე ნაწილია რეალურად დაკავებული შრომითი მოწყობით.<sup>66</sup> ჩვენთან კი – მხოლოდ 14 სააგენტოა რეგისტრირებული, რომელთა ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გართულებულია.

ამრიგად, შრომითი ემიგრაციის ორგანიზების ფორმების ანალიზით დადგინდა, რომ შრომით მიგრანტთა უმრავლესობა ეყრდნობა ნათესავ-მეგობრების (60%) დახმარებას. ნაცნობების იმედზე წასვლის მსურველები ემიგრირების ორგანიზებას [ტრანსპორტირებას] ტურისტული სააგენტოების მეშვეობით აგვარებენ და

<sup>66</sup> Российская газета. №34, 28. 07. 2000.; Газ. Экономика и жизнь. №52, 02. 10. 2000.

მიემგზავრებიან ძირითადად სასტუმრო და ტურისტული ტიპის ვიზებით, რომელთა მოქმედების ვადა უმეტეს შემთხვევაში სამ თვემდეა. აქედან გამომდინარე, მიგრანტთა 70% საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება და, თავისთავად, დასაქმებულებს არალეგალურადაა. მათ უმრავლესობას სამუშაო კონტრაქტი დამქირავებელთან წერილობით არ გაუფორმებიათ, რის შედეგადაც აშკარად სოციალურად დაუცველნი რჩებიან.

სულ უფრო იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა, რაც საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს მეტად აძლევს ემიგრირებულის ყურადღების არეალში ყოლის შესაძლებლობას. გამოვლინდა ისიც, რომ გარკვეული ვადით სამუშაო ძალის ორგანიზებულად გაყვანის შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეების უკან დაბრუნების მაჩვენებელიც ბევრად უფრო მაღალია (93%). აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ემიგრირების ორგანიზების ფორმების სახელმწიფოს მხრიდან ლეგალიზების უპირატესობა და აუცილებლობა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ემიგრირების ორგანიზებაზე სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფომ უნდა შეძლოს საშუამავლო ფორმების დაინტერესება დარეგისტრირებაში, ხელი შეუწყოს სააგენტოების საქმიანობის ლეგალიზაციას, უზრუნველყოს შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება.

## II.2. ემიგრაციულ ნაკადთა დემოგრაფიული, პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა და საზღვარგარეთ დასაქმების პირობები

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია მეტად ამძიმებს ისედაც კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებას, რაც კიდევ უფრო ართულებს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას.

გაეროს შეფასებით, თუ გაგრძელდა არსებული დემოგრაფიული ტენდენციები, 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს. ევროპაში ასეთი დონის შემცირება ნავარაუდევია მხოლოდ ბულგარეთის, უკრაინისა და ესტონეთისათვის.<sup>67</sup>

შრომით ემიგრანტთა ნაკადის ნახევარზე ცოტა ნაკლები მდებრობითი სქესის წარმომადგენელია (ცხრილი 10).

პროგნოზით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მიგრაციული ტენდენციები განპირობებული იქნება ქალი მიგრანტების რაოდენობის ზრდით – საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებზე გლობალიზაციის გავლენით ყალიბდება უახლოესი 20 წლის მიგრაციული ტენდენციები: მიგრაციის გლობალიზაცია, ინტენსიფიკაცია, სტრატეფიკაცია, ფემინიზაცია, პოლიტიზაცია, «ელიტა» მიგრაცია.<sup>68</sup> მიგრაციის ფემინიზაციას მიიჩნევენ შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად და გენდერულ თანასწორობაში მიღწევად თვლიან.

საერთაშორისო მიგრაციულ ინდუსტრიაში ქალი მიგრანტები დიდი ხანია ასრულებენ სხვადასხვა დამამცირებელ სამუშაოებს სექსუალურ და გასართობ სექტორში. ექსპერტთა შეფასებით ევროპაში «შრომობს» ნახევარი მილიონი საზღვარგარეთელი მეძავი. გერმანიაში და იტალიაში ყოველი 4 მეძავიდან 3 ჩასულია დსთ-ს ქვეყნებიდან.<sup>69</sup> ქალებით ვაჭრობა ძალზედ მომგებიანია, თანაც ნაკლები რისკია ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობასთან შედარებით (მთლიანად ადამიანებით მსოფლიო ვაჭრობა შეფასებულია 7 მლრდ-დან 12 მლრდ დოლარამდე წელიწადში).<sup>70</sup>

ადამიანებით ვაჭრობა იდენტური არ არის არალეგალური მიგრაციის ცნებისა. ის უშვებს ლეგალური არხების გამოყენებას, რასაც არცთუ იშვიათად იყენებენ კრიმინალური დაჯგუფებები. იგი გლობალური პროცესია და ეხება არა მარტო ქალებს, არამედ ბავშვებსა და მამაკაცებსაც, მაგრამ ქალების ექსპლუატაციის მასშტაბი გაცილებით მეტია. ქალების ტრეფიკინგი, რაც გაიგივებულია იძულებით თუ ნებაყოფლობით პროსტიტუციასთან, ორგანულადაა დაკავშირებული შრომით მიგრაციასთან და მის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

ქართველი ხალხის მენტალიტეტიდან გამომდინარე, საქართველოში ქალების საშოვარზე სიარული ბოლო დრომდე საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ათიოდე წლის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შრომით ემიგრაციაში ქალების

<sup>67</sup> შრომითი მიგრაცია საქართველოდან. IOM. 2003. გვ.39.

<sup>68</sup> Mittelman James H. The Globalization Syndrome: transformation and Resistance. – Princeton University, New Jersey, 2000, p. 5; Stephen Castles, Mark J. Miller. The Age of Migration. – Great – Britain, 1998, p. 87; საერთაშორისო მიგრაცია, მიმოხილვა 2001. საქართველოს გაეროს ასოციაციის მიგრაციის რესურსცენტრი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა. 2001

<sup>69</sup> Тюрюканова Е.В., Международная трудовая миграция на рубеже XX-XXI веков. 2003. [http://Crime.vl.ru/docs/Koofs/vlad\\_migration.htm](http://Crime.vl.ru/docs/Koofs/vlad_migration.htm).

<sup>70</sup> Тюрюканова Е.В., Глобализация Международной миграции: роль женщин// Гендер и экономика: мировой опыт и экспертиза российской практики. М.: Русская панорама, 2002. С. 71-87.

წილი 40% იქნებოდა. გამოკვლევით გამოვლინდა ქალი ემიგრანტების წილის დიდი ვარიაციული განსხვავება რეგიონების მიხედვით. ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის შრომით ემიგრანტთა შორის ქალთა უმნიშვნელო წილი არ ნიშნავს, რომ სომეხი ქალები მიგრაციაში არ მონაწილეობენ, უბრალოდ, მათი მცირერიცხოვნობა განაპირობა სამცხე-ჯავახეთისთვის უკვე კარგად ნაცნობმა მიგრაციულმა ტრადიციებმა. ამ რეგიონისთვის მიგრაცია არაა ახალი მოვლენა და ამიტომაც მიგრაციულმა ნაკადმა შეინარჩუნა ძველი სტრუქტურა და მიმართულება.

რაჭაში ახალგაზრდა ოჯახები ნაკლებადაა, თავისთავად, მიგრაციაშიც ძირითადად 31-50 წლის ასაკის მოსახლეობა მონაწილეობს (ემიგრანტთა 75%), რომელთათვისაც ქალის საშოვარზე წასვლა ჯერ კიდევ მიუღებელია (რაჭიდან ემიგრირებულებიდან ქალი 13%-ია).

შრომით ემიგრანტთა განაწილება სქესის, ეროვნებისა და ასაკის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოვლელი რეგიონი მაჩვენებლები	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყიბული	ზუგდიდისა და სენაკის	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ.ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაბახტევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ														
<b>სქესი</b>																		
მდედრობითი	57	52	46	51	54	13	33	42	40.5	3	33.8	22.6	77.9	84	45	61.9	31.8	40
მამრობითი	43	48	54	49	46	87	67	58	59.5	97	66.2	77.4	22.2	16	55	38.1	68.2	60
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>
<b>ეროვნება</b>																		
ქართველი	83	94	94	91	83	100	96	98	95.2	-	80.3	93.5	96.8	96	100	96.4	100	91
სომეხი	9	-	2	4	6	-	-	-	2.4	100	16.1	6.5	3.2	4	-	3.6	-	4
ბერძენი	3	4	2	3	3	-	2	-	-	-	1.1	-	-	-	-	-	-	-
ებრაელი	2	-	-	1	-	-	-	-	2.4	-	0.3	-	-	-	-	-	-	2
ოსი	1	-	2	-	4	-	-	-	-	-	0.6	-	-	-	-	-	-	-
რუსი	1	1	-	1	2	-	2	2	-	-	1	-	-	-	-	-	-	3
აზერბაიჯანელი	-	-	-	0	2	-	-	-	-	-	0.3	-	-	-	-	-	-	-
სხვა	1	1	-	-	-	-	-	-	-	-	0.3	-	-	-	-	-	-	-
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>
<b>ასაკი</b>																		
16 წლამდე	-	1	-	0	-	-	-	1	-	-	0.1	-	-	-	-	-	-	-
16-20	7	2	8	6	12	3	8	5	12.5	2	6.9	6.5	15.9	-	5	9.4	7.6	6
21-24	8	29	21	19	13	7	15	11	27.5	17	16	12.9	47.6	-	10	25.4	42.4	37
25-30	19	25	24	22	19	12	20	16	19.5	34	20.3	-	22.2	8	5	12.2	50	18
31-40	16	14	25	18	17	48	28	31	21.4	23	26.7	19.6	1.6	48	35	22.3	-	20
41-50	42	19	15	25	28	27	20	23	19.1	21	23.3	41.9	11.1	28	40	25.2	-	16
51-60	9	9	7	8	9	3	7	8	-	3	5.4	3.2	1.6	16	5	5	-	2

61-65	-	1	1	1	2	-	1	2	-	-	0.9	-	-	-	-	-		1
65-ზე მეტი	-	-	-	-	-	-	-	3	-	-	0.4	-	-	-	-	-		-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

ქალების უმეტესობა მიემართება იმიგრაციის ძირითადი ქვეყნებისკენ შემდეგი თანმიმდევრობით: საბერძნეთის, გერმანიის, აშშ-სა და რუსეთისაკენ, მაგრამ აქაც დიდი სხვაობა იჩენს თავს: დედაქალაქის ქალი მოსახლეობა ემიგრირდება გერმანიასა (განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონები) და აშშ-ში, მაშინ როცა სხვა ადმინისტრაციული რაიონებიდან გადაადგილდებიან საბერძნეთსა და რუსეთის ფედერაციისკენ, სადაც შრომის ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასაკოვანი ქალების მომსახურებაზეა მოთხოვნა (მომვლელები, დამლაგებლები, სოფლისა და ფერმერულ მეურნეობაში დამხმარე ძალა).

აღსანიშნავია ვაჭრობა-ბიზნესით დასაქმებული ქალი ემიგრანტების მომრავლება საქართველოში. ჩვენში მიგრაციის ეს ფორმა გამოკვლეული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების გახსნის დროიდანვე საქმიანობის ამ სახეს აქტიურად აუწყო ფეხი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ, მასზე მაინც არ მახვილდება ყურადღება. არადა ბევრმა თურქეთში, რუსეთში, ინდოეთსა თუ პაკისტანში კომერციული საქმიანობით გაიტანა თავი 90-იანი წლების ძნელბედობის ჟამს და მნიშვნელოვანი კაპიტალიც დააგროვა. შრომითი რესურსების მიგრაციის ამ სახეს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან აქ უფრო ნათლად იკვეთება ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობის როლი საზოგადოებაში, მითუმეტეს, როცა კვლევებმაც აჩვენა, რომ ქალი შრომითი მიგრანტები თავიანთ ოჯახებს უფრო მეტად ეხმარებიან, ვიდრე მამაკაცი ემიგრანტები. თვითრად საშუალოდ უგზავნიან ოჯახს თავიანთი გამომუშავების 28,9%-ს და საშუალოდ თვეში 40 აშშ დოლარით მეტს, ვიდრე მამაკაცები, ხოლო ადგილზეც მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ თანხას ხარჯავენ.<sup>71</sup>

გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ემიგრაციისთვის ქალები უფრო მეტ წინასწარ მომზადებას გადიან, ვიდრე მამაკაცები პროფესიული ან ენის შემსწავლელი კურსების სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ოჯახები განსაკუთრებით მძიმედ განიცდიან ქალების საზღვარგარეთ მუშაობას, რადგან მათ გასვლას ოჯახიდან მთელი რიგი სოციალური პრობლემებისა მოსდევს: ირღვევა ოჯახური ურთიერთობები, უარესდება ბავშვების აღზრდის პირობები, ქვეყნიდან გადის ფერტილური ასაკის ახალგაზრდობა. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო უჭირთ სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება, რითაც აიხსნება მათი უფრო ხშირი კავშირი აქ დარჩენილ ოჯახის წევრებთან და დიდი წილიც დაბრუნებულთა შორის.

შრომით ემიგრანტთა ნახევარზე მეტი დაოჯახებულია (57,3%) (ცხრილი 11), მესამედზე მეტი კი (35,1%) ქორწინებაში არასდროს მყოფი კონტინგენტი. ეს კატეგორია განსაკუთრებით მეტი წილითაა წარმოდგენილი ახალგაზრდებსა და თბილისის «პრესტიჟულ» რაიონებში (შესაბამისად, ნაკადების 71,2% და 45%). ქართველი ახალგაზრდები შედარებით მოკლევადიანი პერიოდით ემიგრირდებიან, ვიდრე უფროსი თაობის მოსახლეობა. ამას განაპირობებს: 1. თავშეკავება არალეგალური გზით საზღვარგარეთ გამგზავრებისგან; 2. ნაკლები პასუხისმგებლობა ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაზე; 3. მცირე დროით ემიგრაციაზე ოჯახის მხრიდან ნაკლები შეზღუდვა; 4. მცდელობა, გამონახონ შენიღბვის კანონიერი მეთოდი სასურველ ქვეყანაში მოსახვედრად, რისთვისაც მიმართავენ გაცვლით, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა ხანგრძლივობა შეზღუდული და

<sup>71</sup> ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. თბ., «ცოდნის წყარო». 2000. გვ.24

კონტროლირებადია. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა შრომითი ემიგრანტების 78,9% ბოლო 3-5 წლის მანძილზე საზღვარგარეთ წასული, 21,1% კი 6-7 წელი (ცხრილი 8). ამ უკანასკნელთა შორის ახალგაზრდების შრომითი ემიგრაციის სტაციონარულ მიგრაციაში გადაზრდის ალბათობა ძლიერ დიდია.

ასაკობრივ სტრუქტურაში საქართველოს რეგიონების მიხედვით მკვეთრი სხვაობა არ შეინიშნება. თავისთავად, მაღალი მობილობის ხარისხით გამოირჩევა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდობა, განსაკუთრებით თბილისის ცენტრალური უბნებისა (ცხრილი 10).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემიგრირების მიზნები და მიმღები ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნა განაპირობებს მისკენ მიმართული ნაკადის ასაკობრივ თავისებურებებს. ქვეყნების მიხედვით მიგრანტთა დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად გამოკვეთილია. ყველაზე ახალგაზრდაა გერმანიაში წასული ნაკადი, ხოლო ყველაზე ხანდაზმულია საბერძნეთში მიგრირებული მოსახლეობა, სადაც 40 წელზე უფროსი ასაკის პირები შეადგენენ მთელი ნაკადის ნახევარზე მეტს. გერმანიისკენ მიემართება ახალგაზრდობა არა მარტო სამუშაოდ, არამედ სასწავლებლად და, საერთოდ, უცხოეთში, დასავლურ გარემოში ყოფნის სურვილითაც, ხოლო საბერძნეთში ძირითადად საოჯახო მომსახურებაში დასასაქმებლად. მართლაც, 25 წლამდე ასაკის კონტინგენტის თითქმის ნახევრის (42%) შრომითი ემიგრაციის მთავარი მოტივია საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუშაობის ინტერესი.

გამოკვლევულ შრომით ემიგრანტთა 80% ქართველია (ცხრილი 10). რუსთავისა და ახალქალაქის მიგრანტებს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენი რეგიონებიდან წასულ ნაკადში ამჟამად 95%-ზე მეტი ეროვნებით ქართველია. რაც, ნაწილობრივ, აიხსნება არაქართველი მოსახლეობის 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ინტენსიური შრომითი ემიგრაციის სტაციონარულში გადაზრდისა და, საბოლოოდ, მუდმივ საცხოვრებლად საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე გადასვლით. გამონაკლისია სომხები: სომეხთა უმეტესობა (95%) სამუშაოდ ან მუდმივად გადაადგილდება რუსეთის ფედერაციაში და არა თავის სამშობლოში – სომხეთში.

საქართველოდან შრომით ემიგრანტთა ნაკადი გამოირჩევა მეტად მაღალი განათლების დონითა და კვალიფიციური შედგენილობით.

შრომით ემიგრანტთა შორის უმაღლესდამთავრებულთა წილი შემცველი რესპონდენტების პასუხების თანახმად ნაკადში 41,6%-ს აღემატება (მათ შორის 1% მეცნიერებათა კანდიდატია) (ცხრილი 11). იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხულთა შორის უმაღლესი განათლების მქონე აღმოჩნდა 48% (2,2% მეცნიერებათა კანდიდტი). დაბრუნებულთა შორისაც ჭარბობს აღნიშნული კონტინგენტი (57%). უმაღლესი განათლების მქონე შრომით ემიგრანტთა შედარებით უკეთესი შრომის პირობების მიუხედავად, მიგრანტები გამომუშავებული თანხით მაინც სამშობლოში დამკვიდრებას ცდილობენ. საკმაოდ მაღალია იმათი წილიც, ვისაც დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საშუალებით დაკავშირებულ ახალგაზრდა რესპონდენტებს შორის უმაღლესი განათლება აქვს 66,7%-ს, რაც ხაზს უსვამს ქართულ ოჯახურ ტრადიციებს – ქართველი ახალგაზრდობა, სანამ უცხო ქვეყანაში სწავლისა და მუშაობის პრობლემებს შეექმედებოდეს, ცდილობს, უმაღლესი სასწავლებლის ერთი საფეხური მაინც დაასრულოს და ბაკალავრის დიპლომის აღებას საქართველოში ელოდება.



განათლების დონით ყველაზე მეტად აშშ-სკენ მიმართული შრომითი ნაკადები გამოირჩევა. ამ ქვეყანაში სამუშაოდ გასულთა 65,1% უმაღლესი განათლების მქონე დიპლომიანი სპეციალისტია, რასაც, ნაწილობრივ, განაპირობებს აშშ-ს მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებული კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები. ყველაზე ნაკლებია უმაღლესდამთავრებულთა წილი საბერძნეთსა და რუსეთში სამუშაოდ წასულ კონტინგენტში.

დაუმთავრებელი უმაღლესი (უმთავრესად სტუდენტობა) განათლების მქონეთა მაღალი წილი გერმანიაში წასულ შრომით ემიგრანტთა შორის აღინიშნება (36,5%). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველი მოსახლეობის გერმანიაში ემიგრირების მიზნებს: – განათლების მიღება და სტუდენტური ვიზით ქვეყანაში შედარებით იოლად შეღწევა.

გამოკვლევული კონტინგენტის პროფესიული შემადგენლობა ადეკვატურია საქართველოში არსებული განათლების სისტემისა (ცხრილი 12). ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი ინჟინრები და ეკონომისტები, რომლებიც საქართველოში ყველაზე გავრცელებული პროფესიებია. პოპულარული პროფესიაა იურისტობა და შედეგიც სახეზეა: ახალგაზრდა ემიგრანტთა შორის 15% პროფესიით იურისტია. ტყიბულის შრომით ემიგრანტთა ნაკადში 21%-ით ინჟინრებია წარმოდგენილი, ახალქალაქის ემიგრანტებში ინჟინრები, ხელოსნები და მძღოლები ჭარბობენ.

შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, პროფესია არ აქვს შრომით ემიგრანტთა 24,8%-ს, იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხულთა 12,2%-ს და დაბრუნებულთა 13%-ს.

ჩვენს მიერ განხორციელებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების დეტალური ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება დიდ სტიმულს აძლევს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. კონტინგენტი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და განათლების დონით. მათი დაუბრუნებლობის შემთხვევაში ქვეყანა განიცდის პირდაპირ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ დანაკარგს, რომელიც აისახება ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის შემცირებაში.

შრომით ემიგრანტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობისა და განათლების დონის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლეული რეგიონი მაჩვენებლები	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები					ემიგრაციიდან დაბრუნებულები	
	თბილისი				ქ. რუსთავი	აჭრულაურის რაიონი	ქ. ტყიბული	ზუგდიდისა და სენაკის	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ.ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ														
<b>ოჯახური მდგომარეობა</b>																		
ქორწინებაში არასდროს მყოფი	21	45	45	37	33	28	37	38	44.6	28	35.1	32.3	77.8	20	30	50.4	71.2	51
დაოჯახებული	63	49	42	51	54	70	62	51	43.2	70	57.3	67.7	19	48	65	41.7	24.3	42
ქვრივი	4	4	4	4	1	1	-	4	2.4	1	1.9	-	-	8	-	1.4	-	2
განქორწინებული	12	2	8	7	11	1	1	2	4.9	1	4.7	-	1.6	24	5	5.8	4.5	5
მარტოხელა დედა	1	-	2	1	1	-	-	-	4.9	-	1	-	1.6	5	-	0.7	-	-
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>
<b>განათლება</b>																		
დაწყებითი	1	-	-	0	-	-	-	-	-	-	0	-	-	-	-	-	-	-
არასრული საშუალო	1	1	-	1	1	-	1	2	-	7	1.7	-	-	-	-	-	-	-
საშუალო ზოგადი	32	13	6	17	25	38	31	23	-	50	26.3	25.8	7.9	12	20	14.4	-	9
პროფ-ტექნიკური	4	4	8	5	6	17	4	4	7.1	8	7.3	-	-	-	-	-	-	-
საშუალო სპეციალური	10	16	8	11	22	12	15	26	19.1	8	13.2	19.4	4.8	40	20	16.5	10.6	4
დაუმთავრებელი უმაღლესი	5	19	11	12	9	4	12	12	38.1	3	11.9	12.9	36.5	-	5	20.1	22.7	22

უმაღლესი	47	46	64	53	37	29	37	33	35.7	25	39.7	41.9	47.6	44	55	46.8	60.6	57
მეცნიერებათა კანდიდატი	-	1	4	2	-	-	-	-	-	-	0.9	-	3.2	4	-	2.2	6.1	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

შრომით ემიგრანტთა განაწილება პროფესიების მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლეული რეგიონი პროფესია	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											ემიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყეზული	ზუგდიდისა და სინაჰის თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ. -ით გამოკითხული ახალგაზრდები	თბილისი	
	გლდანის რაიონი	ნაბჟაღაძევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საბუჯლოდ														
პროფესია არ აქვს	28	20	7	18	35	29	26	27	2.9	34	24.8	19.4	6.3	16	15	12.2	4	13
მასწავლებელი	7	13	16	12	5	5	9	5	7.1	3	6.6	29	14.3	16	5	11.5	1.5	16
ექიმი	3	2	7	4	7	1	3	5	11.9	2	4.8	-	4.8	8	5	4.3	16.7	4
ინჟინერი	15	10	11	12	8	21	21	13	16.7	14	15.1	32.3	9.5	16	15	16.5	3	21
ეკონომისტი	8	13	25	16	11	4	12	10	16.7	8	11.1	12.9	23.8	16	25	20.1	38.2	21
ექთანი	7	2	1	3	5	2	1	6	-	1	2.6	-	1.6	4	10	2.9	-	-
მძღოლი	4	2	3	3	3	10	7	2	-	23	6.9	12.9	-	-	-	2.9	-	3
ხელოსანი	4	3	3	3	3	23	3	12	4.1	10	8.3	12.9	3.2	4	-	5	-	5
ელ.-მექანიკოსი	1	2	2	2	9	-	2	5	7.1	3	4	-	-	-	-	-	-	-
ხელოვნების მუშაკი	4	11	8	7	-	2	1	2	14.3	-	3.8	3.2	3.2	4	5	3.6	4.5	-
ბუღალტერი	1	2	-	1	-	-	2	4	3.9	-	1.6	-	1.6	16	-	3.6	-	-
უცხოენების სპეციალისტი	4	7	7	6	2	3	2	1	3.1	-	2.4	-	28.6	-	10	14.4	7.2	13
პროგრამისტი	3	1	-	1	1	-	-	-	-	-	0.3	-	3.2	-	5	2.2	3.2	-

სპორტსმენი	1	2	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	5	0.7	6.7	-
სხვა	11	10	11	11	11	-	11	8	9(იურისტი)	4	7.7	-	-	-	-	-	15(იურისტი)	4
სულ	100	100	100	100	100	10	10	10	100	100	100	100	100	10	10	100	100	100
						0	0	0						0	0			

საზღვარგარეთ საქმიანობასთან და ყოფით გარემოსთან შეგუების ხარისხი, ემიგრაციის ეფექტიანობა, ემიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ემიგრაციის მოტივებზე, დემოგრაფიულ და პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურაზე, ემიგრირების გზებსა და ხერხებზე, მის ორგანიზაციულ ფორმებზე.

შრომით მიგრანტთა უმრავლესობა განიცდის მეტ-ნაკლებ დისკრიმინაციას, რაც არალეგალური მიგრაციის დროს კიდევ უფრო იზრდება. ისინი, ძირითადად, კარგავენ თავიანთ ადრინდელ სოციალურ სტატუსს და თავისი უნარის, განათლების და სპეციალობის მიხედვით დასაქმების შესაძლებლობასთან სრულიად შეუსაბამო საქმიანობას ეწევიან (ცხრილი 13, 13<sup>ა</sup>; 13<sup>ბ</sup>).

როგორც წესი, ემიგრანტთა დასაქმების სპექტრი სამუშაო ძალაზე მიმდები ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. რესპონდენტები პროფესიასა და რისიფიენტ ქვეყანაში დასაქმებას შორის სრულ შეუსაბამობას აღნიშნავენ. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტთა 52,5%<sup>ა</sup> უმაღლესი განათლებითაა, საშუალოდ მათი მხოლოდ 10% მუშაობს პროფესიისა და განათლების შესაბამისად. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ არც საქართველოში იმყოფებოდნენ უკეთეს მდგომარეობაში: გამგზავრებამდე ემიგრანტთა 47,6% უმუშევარი იყო, 13,4% მუშაობდა დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე.

შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, მიმღებ ქვეყანაში მიგრანტთა 18,9% მუშაობს მომსახურების სექტორში (სასტუმრო, რესტორანი, ბარი, სამორინე, სალონი, მაღაზია), მომვლელად (12%), ძიძად (5,3%), ხელოსნად (3%), სოფლის მეურნეობაში (2,3%), დამხმარე მუშის დაბალკვალიფიციურ სამუშაოებში ჩაბმულია თითქმის მესამედი. თუკი ბევრი ქვეყანა შრომითი ემიგრაციით ზრდის ადამიანურ კაპიტალს, ხელს უწყობს სამშობლოში მაღალკვალიფიციურ მუშათა სოციალური ჯგუფების ფორმირებას, რომელთა სამშობლოში დაბრუნება დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, საქართველოსთვის ამას მოსდევს სამუშაოდ გასული კონტინგენტის დეკვალიფიკაცია და ადამიანური კაპიტალის დევალვაცია. ემიგრირებულთა მხოლოდ ნაწილი თუ აიმაღლებს კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას.

გამოკითხული ახალგაზრდების 48,5% მხოლოდ მუშაობს, 43,9% სწავლას მუშაობასაც უთავსებს და 7,6% მხოლოდ სწავლობს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ნაკადის 13,6%-ის საზღვარგარეთ ცხოვრება და განათლების მიღება დაფინანსებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებით.

პროფესიის შესაბამისად მიმღებ ქვეყანაში მუშაობდა დაბრუნებულ ემიგრანტთა 16%. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ კონტინგენტში აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენები. თუკი თავიანთი პროფესიით მუშაობდნენ, მაშ რატომ დაბრუნდნენ?! კითხვაზე ასეთი პასუხი გაიცა: პროფესიით მომუშავენი უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამებით არიან წასულები, რომელთა ვადის დასრულებისთანავე ისინი ვალდებულნი არიან, დაბრუნდნენ სამშობლოში. გამორიცხული არაა, რომ თვითონვე ცდილობენ უცხო ენის უკეთ დაუფლების შემდეგ საკუთარ ქვეყანაში ძალების მოსინჯვას და თავს არიდებენ უცხო ქვეყანაში დისკრიმინაციის მსხვერპლად გახდომას, ასევე, ისინი ითვალისწინებენ ოჯახის სოციალური მდგომარეობის სტაბილურობას და შინ, მყუდრო გარემოში არჩევენ ყოფნას.

საკუთარი ბიზნესის წამოწყება უცხოეთში შეძლო 8,5%-მა. დაბრუნებულებმა (19,8%) დაბრუნების შემდეგ შეძლეს ჩამოტანილი თანხით მცირე ბიზნესის განხორციელება საქართველოში, რაშიც მომავლის ძირითად საარსებო წყაროს ხედავენ.

რა თქმა უნდა, იმიგრაციის ამა თუ იმ ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობები სხვადასხვაა. გერმანიაში დიდი მოთხოვნილებაა ძიძებზე, დამლაგებლებსა და მომსახურების სფეროში დასაქმებულებზე, ეს კონტინგენტი ახალგაზრდობაა, რომლებიც მუშაობას სწავლას უთავსებს. საბერძნეთი იმიგრანტებს სთავაზობს მომვლელების, სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და დამლაგებლების სამუშაო ადგილებს. აშშ-ც იგივე სახის სამუშაო ადგილებზე ასაქმებს უცხოელებს. თუმცა იქ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მიზიდვაც წარმოებს, რადგან ეს ქვეყანა ატარებს სელექციურ იმიგრაციულ პოლიტიკას.

შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყანაში საქმიანობის სახეების მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

გამოკვეთილი რეგიონი	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები						ემიგრაციიდან დაბრუნებულები
	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყეზული	ზუგდიდისა და სენაკის რაიონი	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ.-ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნამალაძევის რაიონი	ვაჟ-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ														
შრომითი ემიგრანტი მუშაობს იქ																		
მომვლელად, დამლაგებლად	20	19	21	20	18	10	11	0.9	23.8	-	12	-	7.9	52	10	14.4	-	10
ძიძად	3	7	1	4	9	3	4	4.3	11	-	5.3	3.2	46	28	16	22.4	13.6	8
ოფიცინტად, გამყიდველად	9	9	6	8	12	8	5	18.9	6.4	3	8.8	10.1	19	4	5	13.7	7.5	14
მომსახურების სფეროში (სასტუმრო, რესტორანი, სამორინე, სალონი)	17	20	13	17	7	5	5	21.8	11.1	-	10.1	6	22.2	-	11	10.1	18.2	10
დამხმარე მუშად	17	20	22	20	18	29	35	15.5	20.1	53	26.9	19.7	9.5	12	15	10.8	10.6	22
ავტომანქანის შემკეთებლად	4	2	1	2	2	5	3	4.3	2.4	2	3	19	-	-	3	7.9	-	8
სასოფლო-სამეურნეო ფერმაში სეზონურ მუშად	9	4	2	5	1	4	2	0.5	1.5	2	2.3	-	-	-	-	-	1.5	-
მძღოლად	3	4	2	3	7	6	5	0.5	-	13	4.9	12.9	1.6	4	5	5	-	3
ეწევა საკუთარ ბიზნესს	4	2	9	5	7	3	15	12.1	1.5	16	8.5	12.9	1.6	-	-	3.6	1.5	-
ექიმად	1	-	2	1	1	-	-	0.9	0.4	-	0.5	-	-	-	-	-	12.1	-
ექთნად	1	-	-	-	1	3	1	0.9	0.4	1	1	-	-	-	-	-	1.5	3



აქვს უმაღლესი განათლება და სპეციალობით მუშაობს	10	5	18	11	5	9	7	6.9	7.1	6	7.4	13	9.5	-	20	10.1	13.6	16
ვაჭრობს	-	-	1	-	1	9	3	5.2	10.3	1	4	-	-	-	-	-	7.6	-
დაწესებულების რიგითი თანამშრომელია	1	5	-	2	1	3	1	6.1	-	2	2.2	3.2	4.8	-	10	4.3	4.5	5
სპორტსმენია	1	1	-	1	-	3	-	-	-	-	0.0	-	-	-	5	0.7	1.5	-
სხვა	1	5	3	3	10		5	-	4	-	3	-	-	-	-	-	6.1	1
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

შრომით ემიგრანტთა განაწილება აქაური პროფესიისა და საზღვარგარეთ დასაქმების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

აქაური პროფესია	მასწავლებელი	ექიმი	ინჟინერი	ეკონომისტი	ექთანი	მძღოლი	ხელოსანი	ელემენტარული	სხვა	პროფესიარაქვს
საზღვარგარეთ მუშაობს										
მომვლელად	37,4	23,1	9,4	12,7	29,3	-	7,1	16,7	10,9	12,1
აღმზრდელად	5,4	-	2,4	4,7	5,9	-	-	-	1,6	6,6
ოფიციალტად	3,6	7,7	-	1,2	5,9	-	-	-	8,0	8,2
დამლაგებლად	8,9	3,9	3,5	1,2	5,9	-	-	-	4,7	4,8
დამხმარე მუშად	10,7	15,4	32,7	21	17,7	41,3	53,6	55,3	28,1	34,3
აგტომანქანის შემკეთებლად	-	-	1,2	3,4	-	-	17,9	16,7	15,0	1,8
სასოფლო-სამეურნეო ფერმაში სეზონურ მუშად	1,8	-	-	1,2	-	6,5	3,6	-	-	6,6
მძღოლად	1,8	3,9	5,9	1,2	-	39,1	7,1	-	3,1	3,6
გამყიდველად	5,4	-	1,2	9,3	5,8	-	-	-	4,7	5,6
ექიმად	-	15,4	-	-	-	-	-	-	-	-
ექთნად	-	-	-	-	17,7	-	-	-	-	-
ეწევა საკუთარ ბიზნესს	-	3,8	20,0	10,5	-	13,1	10,7	5,7	15,6	6,6
აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობს პეციალობით	10,7	11,5	16,5	11,6	-	-	-	-	-	-
სწავლობს	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,6
სწავლობს და მუშაობს	7,1	11,5	1,2	12,8	-	-	-	-	-	4,2
ვაჭრობს	1,8	-	-	1,1	11,8	-	-	-	8,3	0,6
დაწესებულების რიგითი თანამშრომელია	1,8	-	-	1,1	-	-	-	-	-	1,8
სპორტსმენია	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,6
სხვა	3,6	3,8	5,7	7,0	-	-	-	5,6	-	-
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

შრომით ემიგრანტთა განაწილება მიმღებ ქვეყანაში საქმიანობის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

ემიგრაციის ქვეყნები	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	სრაელი	ბელგია	ევროპის სხვა ქვეყნები	აზერბაიჯანი	სომხეთი	სხვა ქვეყნები
საზღვარგარეთ მუშაობს										
მომვლელად	1.2	34.4	17.8	31.1	37.5	-	9.2	-	17.8	11.5
აღმზრდელად	0.8	3.2	16.8	1.1	-	-	2.6	-	16.8	-
ოფიციალტად	0.8	6.4	2.0	5.6	-	-	4.0	33.3	2.0	7.7
დამლაგებლად	0.8	7.5	5.0	3.3	50.0	-	2.6	11.1	4.9	-

დამხმარე მუშად	40.8	16.1	11.9	20.0	-	50.0	31.6	11.1	1.9	26.9
ავტომანქანის შემკეთებლად	3.3	-	1.0	3.3	-	-	2.6	-	1.0	3.8
სასოფლო-სამეურნეო ფერმაში სეზონურ მუშად	1.6	11.8	1.0	-	-	-	4.0	11.1	1.0	3.8
მძღოლად	9.8	2.1	1.0	5.6	-	10.0	1.3	-	1.0	7.7
გამყიდველად	4.9	5.4	1.0	-	-	20.0	5.3	-	1.0	3.8
ეწევა საკუთარ ბიზნესს	18.0	2.1	1.0	4.4	-	10.0	3.9	-	1.0	11.5
ექიმად	0.8	1.1	-	1.1	-	-	-	-	-	-
ექთნად	1.2	1.0	-	-	-	-	-	-	-	-
აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობს სპეციალობით	7.3	3.2	9.9	12.2	12.5	-	9.2	11.1	9.9	15.4
სწავლობს	-	-	-	-	-	-	1.3	-	-	-
სწავლობს და მუშაობს	1.2	2.1	25.7	6.7	-	10.0	9.2	11.1	25.7	7.7
ვაჭრობს	1.6	-	-	-	-	-	1.3	11.1	-	-
დაწესებულებების რიგითი თანამშრომელია	0.8	-	1.9	2.2	-	-	4.0	-	2.0	-
სპორტსმენია	0.8	-	-	-	-	-	1.3	-	-	-
სხვა	4.1	3.2	4.0	3.3	-	-	6.6	-	-	-
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

რუსეთში ემიგრირებულთა დაახლოებით 1/3 დამხმარე მუშად მუშაობს, მაგრამ იქ საკმაოდ მაღალია იმათი წილიც, ვინც საკუთარი ბიზნესის წამოწყება შეძლო – 18%. საერთოდ, რუსეთში უფრო მეტად ხდება პიროვნული შრომითი პოტენციალის რეალიზაცია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც გასათვალისწინებელია საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის პროგნოზირებისას და რეგულირებისას. გამოკვლევიდან გამოვლინდა, რომ რუსეთის შრომის ბაზარს სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად სჭირდება მძღოლები, ავტოსერვისში დასაქმებულნი, ექიმები და ექთნები, ვაჭრობის დარგის მუშაკები, უმაღლესი განათლების სპეციალისტები.

ემიგრანტთა პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმება ახალ შრომით და ყოფით გარემოსთან ადაპტაციას ართულებს. რესპონდენტთა 45% კმაყოფილია განხორციელებული ემიგრაციით, მათი 50,6% კი შეეგუა იმიტომ, რომ მეტი გზა არ ქონდა – მათგან ოჯახი ფინანსურ მხარდაჭერას ელოდა. გადაჭრით უარყოფითი დამოკიდებულება შრომითი ემიგრაციისადმი გამოხატა მხოლოდ 2,7%-მა (ცხრილი 14, 15).

ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით სამუშაო გარემოსადმი შეფუების ხარისხი მკვეთრად განსხვავებული არაა, თუმცა ადაპტირების ხარისხი მაინც სხვადასხვაა. უფრო მეტად უჭირთ სამუშაო გარემოსთან შეგუება საბერძნეთსა და რუსეთში წასულ შრომით ემიგრანტებს სამუშაოს სიმძიმიდან გამომდინარე (ძირითადად მომვლელი ქალები და მშენებლობაზე დასაქმებულნი), თურქეთში დაბალანაზღაურებადი სამუშაოს გამო რთული შეგუებადი გარემოა, დაბრუნებულები აღნიშნავენ, რომ არა უსახსრობა, თურქეთში

სეზონურ მუშად წასვლაც არ ღირსო. ახალ შრომით გარემოსთან შეგუების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გერმანიასა და აშშ-ში მიგრირებულებს (ახალგაზრდობის წილი აქ მეტია), აგრეთვე, თავიანთ ისტორიულ-ეთნიკურ ქვეყნებში სამუშაოდ წასულ აზერბაიჯანელებსა და სომეხებს.

საცხოვრებელი პირობები პირდაპირ კავშირშია შრომითი მიგრანტის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან და აქედან გამომდინარე, ხელფასთან (ცხრილი 16, 17). მათი ძირითადი ნაწილი არახელსაყრელ საბინაო პირობებში ცხოვრობს. დამხმარე მუშები უმეტესად ცხოვრობენ მეგობრებთან ერთად დაქირავებულ იაფფასიან ბინებში ან საერთო საცხოვრებელში. მცირერიცხოვანია ის კატეგორია, რომელსაც დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრებთან ერთად (7,4%), რომ არა ოჯახის წევრები, სავარაუდოა, რომ ისინიც მეგობრებთან ან საერთო საცხოვრებელში მოთავსდებოდნენ. მომვლელები, დამლაგებლები, ძიძები (20%), როგორც წესი, სადაც მუშაობენ, იქ ცხოვრობენ. ეს მათ ეხმარება მეტი დანაზოგის მოგროვებაში. მიმღები ქვეყნების მიხედვით, შედარებით უკეთესი საბინაო პირობებია რუსეთში, სადაც ემიგრანტთა 12,7%-მა საკუთარი ბინის შეძენაც მოახერხა (ცხრილი 17).

გამოკვლევების შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი შრომითი ემიგრანტები ცდილობენ მეტი დაზოგონ, ნაკლები ხარჯი გაწიონ საცხოვრებელ პირობებზე, თუნდაც ემიგრაციის რამდენიმე წლის მანძილზე, ოღონდ კი სამშობლოში ჩამოტანილი ფულით დაეხმარონ ოჯახებს და მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ემიგრირებულთაგან საზღვარგარეთ სამუშაო გარემოსადმი შეგუების ხარისხში მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება. უცხოეთში უკეთესად ადაპტირდება საქართველოს დიდი ქალაქების მოსახლეობა.

ყველაზე კარგ შეგუებადობას ტყიბულიდან ემიგრირებულნი ამჟღავნებენ (კარგად შეეგუა მათი 67%). ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ამ რეგიონის მოსახლეობის მეტისმეტი ეკონომიკური გაჭირვებით უნდა ავსხნათ. ყველაზე ცუდი შეგუება დაფიქსირდა ახალქალაქის რაიონიდან ემიგრირებული სომეხი მოსახლეობისა, თუმცა ისინი ყველაზე ნაკლებად განიცდიან სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორებას.

შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყანაში ყოფით გარემოსთან შეგუების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოკვლევული რეგიონი	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები					ემიგრაციიდან დაბრუნებულები	
	თბილისი				ქ. რუსთავი	აშროლოურის რაიონი	ქ. ტყიბული	ზუგდიდისა და სენაკის	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ. -ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაბლავის რაიონი	ვაკო-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ														
კარგად შეეგუა იქაურ ყოფას	35	46	50	44	51	34	67	34	47.6	37	45	29.4	35.4	13.2	41.4	30.6	55.2	52
ვერ შეეგუა იქაური ცხოვრების წესსა და პირობებს	2	2	3	2	1	3	1	3	4.8	4	2.7	-	1.3	-	-	0.7	4.5	5
გაუჭირდა შეგუება, მეტი გზა არ იყო	15	12	9	12	21	23	4	26	35.7	45	23.8	26.5	10	31.6	17.2	18.9	10.4	20
შეეგუა, მაგრამ უჭირს სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება	48	40	37	42	27	38	28	30	11.9	11	26.8	44.1	53.2	55.2	41.3	49.8	28.9	23
სხვა	-	-	-	-	-	2	-	7	-	3	1.7	-	-	-	-	-	0.9	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

შრომით ემიგრანტთა განაწილება სხვადასხვა ქვეყნებში სოციალურ-საყოფაცხოვრებო გარემოსთან შეგუების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

მიმღები ქვეყანა  იმიგრაციის ქვეყნის ყოფით გარემოსთან შეგუება	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები				
	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	ისრაელი	ბელგია	ევროპის სხვა ქვეყნები	აზერბაიჯანი	სომხეთი	სხვა ქვეყნები	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ
კარგად შეეგუა იქაურ ყოფას	48.8	27.2	47.3	52.2	50.0	30.0	48.7	44.4	47.3	70.4	48	29.4	35.4	13.2	41.4	30.6
ვერ შეეგუა იქაურ ყოფას (ცხოვრების წესსა და პირობებს)	2.4	16.7	2.2	2.2	-	-	2.7	-	-	3.7	2	-	1.3	-	-	0.7
გაუჭირდა შეგუება, მეტი გზა არ იყო	26.2	35.1	13.2	9.8	37.5	-	12.2	22.2	13.2	11.1	18	26.5	10	31.6	17.2	18.9
შეეგუა, მაგრამ უჭირს სამშობლოსა და ნათესავებთან დაშორება	21.4	31	37.4	35.9	12.5	70.0	36.5	33.3	37.4	14.8	32	44.1	53.2	55.2	41.3	49.8
სხვა	1.2	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.0	-	-	-	-	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

შრომით ემიგრანტთა განაწილება საბინაო პირობების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

გამოცვლელი რეგიონი	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები					ემიგრაციიდან დაბრუნებულები	
	თბილისი				ქ. რუსთავი	ამბროლაურის რაიონი	ქ. ტყიბული	ზუგდიდისა და სენაკის	თელავის რაიონი	ახალქალაქის რაიონი	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშ. - ით გამოკითხული	თბილისი
	გლდანის რაიონი	ნაძალადევის რაიონი	ვაკე-საბურთალოს რაიონი	თბილისი საშუალოდ														
imigraciis qveynis yofasTan Segueba																		
ცხოვრობს იმ ოჯახში, სადაც მუშაობს	24	26	20	23	22	13	13	4	57.1	9	20	6.5	47.6	52	35	37.4	4.5	24
დაქირავებული აქვს ცალკე ბინა	15	18	31	21	19	23	21	16	2.4	22	17.7	3.2	17.5	16	25	15.1	13.6	21
დაქირავებული აქვს ბინა მეგობრებთან ერთად	12	20	15	16	27	29	22	7	7.1	21	18.4	9.7	6.6	8	20	10.3	22.7	13
ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში	4	12	13	10	10	19	23	12	14.3	27	16.5	9.7	15.9	4	15	12.9	33.7	31
ცხოვრობს ნათესავთან	9	5	5	6	11	6	6	25	4.8	7	9.4	6.5	4.8	4	5	5.0	4.5	2
აქვს საკუთარი ბინა	7	7	12	9	7	-	9	7	-	10	6	3.2	2	-	-	1.3	3	-
ცხოვრობს, სადაც მოუხერხდება	4	1	-	2	1	-	-	4	-	4	1.6	-	-	-	-	-	4.5	-
დაქირავებული	24	11	3	12	2	10	4	19	4.8	-	7.4	58	4.8	16	-	18	9	7

აქვს ბინა ოჯახის წევრებთან ერთად																		
არაა ინფორმაცია	-	-	-	-	-	-	-	-	4.7	-	0.7	-	-	-	-	-	1.5	-
სხვა	2	-	-	1	1	-	3	6'	4.8'	-	2.3	-	-	-	-	-	3'	2
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100		100

- მოცემული მაჩვენებელი შეესაბამება პასუხს «ვცხოვრობ მეუღლის ბინაში».



შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყნებში საბინაო პირობების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

მიმღები ქვეყანა	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით											იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები				
	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	ისრაელი	ბელგია	ევროპის სხვა ქვეყნები	აზერბაიჯანი	სომხეთი	სხვა ქვეყნები	სულ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ
საბინაო პირობები იმიგრაციის ქვეყანაში																
ცხოვრობს იმ ოჯახში, სადაც მუშაობს	5.3	36.4	35.3	31.0	37.5	-	11.1	-	35.5	8.0	19	6.5	47.6	52	35	37.4
დაქირავებული აქვს ცალკე ბინა	25.4	14.8	15.3	21.8	12.5	30.0	22.2	11.1	15.3	20.0	21	3.2	17.5	16	25	15.1
ცხოვრობს დაქირავებულ ბინაში ოჯახის წევრებთან ერთად	2.9	15.9	7.1	4.6	-	40.0	5.6	-	7.1	24.0	7	58	4.8	16	-	18
დაქირავებული აქვს ბინა მეგობრებთან ერთად	20.5	17.1	12.9	14.9	12.5	10.0	27.8	55.6	12.9	24.0	19	9.7	6.4	8	20	9.4
ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში	19.7	3.4	21.2	10.3	-	10.0	19.4	22.2	21.2	12.0	15	9.7	15.9	4	15	11.5
ცხოვრობს ნათესავთან	10.3	4.6	2.4	5.8	25.0	-	4.2	11.1	2.4	8.0	7	6.5	4.8	4	5	5.0
აქვს საკუთარი ბინა	12.7	4.6	5.9	9.2	12.5	-	5.6	-	5.9	4.0	9	3.2	3.2	-	-	2.2
ცხოვრობს, სადაც მოუხერხდება	2.5	2.3	-	-	-	-	2.8	-	-	-	2	-	-	-	-	-

არაა ცნობილი	0.4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	0.4	1.14	-	2.3	-	10.0	1.39	-	-	-	1	-	-	-	-	-
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 75,3% იქაურ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციას ასე თუ ისე ახერხებს და წინააღმდეგობებსაც ძლევს, მაინც მიუთითებენ მწვავე პრობლემებზე, რომლებიც მიმდებ ქვეყანაში ხვდებათ. ამის თაობაზე რესპონდენტების პასუხები ასეთია: 13,7%-ს გაუჭირდა სამუშაოზე მოწყობა, 7,3%\_ სხვადასხვა დოკუმენტაციის გაფორმება, 18,3%-მა მიუთითა შრომის ანაზღაურების პრობლემებზე, 5,9%-მა\_ სამართალდამცავ ორგანოებთან გართულებულ ურთიერთობაზე, 43,1%-მა კი \_ ძლიერ ნოსტალგიურ განწყობაზე.

ამრიგად, შრომითი ემიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი ამოცანა უნდა გახდეს საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებისა და საკუთარი შრომითი უნარის რეალიზაცია-განახლების ხელშეწყობა.

### II.3. შრომით ემიგრანტთა შემოსავლები და გზავნილები

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2005 წელს (ოქტომბრის ჩათვლით) განვითარებად ქვეყნებში შრომითმა მიგრანტებმა ოჯახებს 167 მლრდ აშშ დოლარი გადაუგზავნეს, რაც 2-ჯერ მეტია საერთაშორისო დახმარების მოცულობაზე<sup>72</sup>. მიგრანტთა ფულადი ტრანსფერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომ ითვლებიან განვითარებადი ქვეყნებისათვის დაფინანსების მეორე წყაროდ. თუმცა ეს გაანგარიშებები არ იძლევა სრულ წარმოდგენას ფულადი გზავნილების რეალურ მოცულობაზე, რადგან ძირითადად გადაგზავნა ხდება არაოფიციალური არხებით. ხოლო თუ ამ უკანასკნელს გავითვალისწინებთ, გზავნილთა ოფიციალური ციფრი შეიძლება გაიზარდოს სულ ცოტა 2-ჯერ.

მშპ-თან პროცენტული დამოკიდებულებით ფულადი გზავნილების მსხვილ მიმღებებად გვევლინებიან შედარებით პატარა ქვეყნები, როგორებიცაა ტონგა, მოლდოვა, ლესოტო და სხვა. ფულადი გზავნილების წყალობით ლესოტოში ღარიბი მოსახლეობის წილი შემცირდა 11; განაში \_ 5; ბანგლადეშში \_ 6 პროცენტული პუნქტით.

მსოფლიოში სწრაფად მზარდი მიგრანტების (თითქმის 200მლნ) მწარმოებლურობა და შემოსავლები წარმოადგენენ სიღარიბის დამლევის ძლიერ ფაქტორს.

თუმცა არ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მსხვილი ფულადი გზავნილების მიმღებ ქვეყნებს აქვთ უფრო მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, საქართველო ითვლება ემიგრაციის მაღალი დონის მქონე ქვეყნად, მაგრამ ამავე დროს მოსახლეობის ერთ სულზე უკიდურესად დაბალი შემოსავლების მქონეა<sup>73</sup>.

ფულადი გზავნილები, როგორც წესი, ზრდიან ემიგრაციული ქვეყნის ეროვნული ვალუტის ღირებულებას საგარეო ბაზარზე ანუ ზრდიან მის გაცვლით კურსს, ამით ისინი ამცირებენ ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობასა და ინვესტიციების მოზიდვას მრეწველობის დარგში, რომელიც ცვლის იმპორტს, რასაც მივყავართ «ჰოლანდიური ავადმყოფობის» სახესხვაობების წარმოშობამდე. მაგრამ მიგრაციის წარმომშობი ქვეყნების უმეტესობის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები დარწმუნებულნი არიან ფულადი გზავნილების მნიშვნელობის პოზიტიურობაში, მსხვილი სავაჭრო დეფიციტის დაფარვასა და საგარეო ვალის მომსახურებასთან მიმართებაში. ამასთან, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ფულადი გზავნილები გამოიყენება სესხების დამატებით უზრუნველსაყოფად, რაც ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, მაგალითად, ბრაზილიას, საშუალებას აძლევს, მიიღოს კრედიტები კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე მნიშვნელოვნად მომგებიან პირობებში, ვიდრე ასეთი უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში<sup>74</sup>.

<sup>72</sup> Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. Juri Dadush. 16 November, 2005.  
[http://publications.worldbank.org/e-commerce/catalog/product?item\\_id=5168974](http://publications.worldbank.org/e-commerce/catalog/product?item_id=5168974)

<sup>73</sup> За справедливый подход к трудящимся-мигрантам в глобальной экономике. Доклад VI. 92-я сессия, шестой пункт повестки дня. Таблица 2.3. МОТ, Женева, 2004. стр. 30.

<sup>74</sup> За справедливый подход к трудящимся-мигрантам в глобальной экономике. Доклад VI. 92-я сессия, шестой пункт повестки дня. МОТ, Женева, 2004. стр. 24.

მიგრანტთა ნაკადების ზრდა, რომელიც 2025 წლისთვის გაზრდის მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში სამუშაო ძალის რიცხოვნობას 3%-ით, მიგვიყვანს იქამდე, რომ გლობალური რეალური შემოსავლები გაიზრდება 0,6%-ით ანუ 356 მლრდ აშშ დოლარით<sup>75</sup>. ამ სარგებლის მასშტაბები შეიძლება შევადაროთ საქონლით ვაჭრობაში გლობალური რეფორმების შედეგად მიღებულ პოტენციურ მოგებას. ამასთან, კაპიტალის ნაკადისგან განსხვავებით მიგრანტთა ფულადი გზავნილების ოდენობა რყევას უფრო ნაკლებად განიცდის. პირიქით, ის უფრო იზრდება დონორი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად.

---

<sup>75</sup> Global Economic Prospects 2006: Economic Implications of Remittances and Migration. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. Juri Dadush. 16 November, 2005. p. 105. [http://publications.worldbank.org/e-commerce/catalog/product?item\\_id=5168974](http://publications.worldbank.org/e-commerce/catalog/product?item_id=5168974)

\*\*\*

ჩვენი გამოკვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ფულადი გზავნილების სიდიდისა და საქართველოს მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის საქმეში მისი როლის განსაზღვრა იყო.

კვლევის შედეგებით, შრომითი ემიგრანტების 80,2% თავიანთ ოჯახს ეხმარება ფულადი გზავნილებით, რასაც გაჭიანურებული ღრმა ეკონომიკური კრიზისის გამო დღევანდელი საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შრომით ემიგრანტთა მცირე ნაწილი გადმოგზავნასთან ერთად, იქაც აგროვებს ფულს და თვლის, რომ დაბრუნებისას ჩამოიტანს. შრომით ემიგრანტთა 14% ვერ ეხმარება ოჯახს, მათში დიდი ნაწილი მომუშავე სტუდენტობაა. ამიტომ გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებიდან იმათი წილი, რომლებიც ვერ ეხმარებიან ოჯახს, არცთუ მცირეა. იგი ძირითადად, ახალგაზრდობაა (ახალგაზრდების 34,8%), რომლებიც, მართალია, ვერ უწევს დახმარებას მშობლებს, მაგრამ თითონ ადგილზე აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახერხებს.

იმიგრაციის ქვეყნებიდან გზავნილების წილი შრომით ემიგრანტთა შემოსავალში ერთ მესამედზე მეტია, უფრო მეტია რუსეთიდან და საბერძნეთიდან, რასაც რუსეთში განაპირობებს სხვა ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების სიღატაკი, ხოლო საბერძნეთში\_ კი დაოჯახებული, უფროსი ასაკის ქალი ემიგრანტების სიმრავლე, რომლებიც პირად მოთხოვნილებებზე ნაკლებ ხარჯებს წევენ (ცხოვრობენ იქ, სადაც მუშაობენ).

საშუალოდ ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში შეადგენს 744 აშშ დოლარს, ხოლო გზავნილი თვეში \_ 178,5 აშშ დოლარს (ცხრილი 18).

ყველაზე ნაკლები შემოსავლები აქვთ დსთ ქვეყნებში ემიგრირებულებს, ხოლო აშკარად დიდი შემოსავლით გამოირჩევიან აშშ-ში მომუშავე ჩვენი თანამემამულენი.

გამოკვლევული რეგიონების მიხედვით, აშკარად მაღალი შემოსავლები აქვთ თბილისიდან ემიგრირებულებს მათი უპირატესად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ემიგრირების გამო.

**ცხრილი 18**

**შრომით ემიგრანტთა შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე, აშშ დოლარი**

გამოკვლევის რეგიონი		შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით								
		ქ. თბილისი	ქ. რუსთავი	ქ. ტყეშელაშვილი	ახალქალაქის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	აჭარის ა/რ	სენაკისა და ზუგდიდის რ-	თელავის რაიონი	სულ
რუსეთი	შემოსავალი	529	640,5	397,2	260	594,6	462,9	432	816,7	529,2
	გზავნილი	155,5	211	126,9	65	167	178,7	165	366,6	179,5
საბერძნეთი	შემოსავალი	711,6	781,8	540	-	566	503,7	780	575	646
	გზავნილი	150,4	141	102	-	206,3	222,2	574	237,5	204,2
გერმანია	შემოსავალი	658,7	652,4	475	-	700	2162	560	440	706
	გზავნილი	127	100	132,9	-	112,5	456	200	210	167,3
აშშ	შემოსავალი	2079	1764	1227	-	1233	2346	1840	2140	1467
	გზავნილი	404	272,7	254	-	258	552	662	675	397,3
ისრაელი	შემოსავალი	1071	800	-	-	700	1521	-	-	682,1

ი	გზავნილი	275,7	150	-	-	500	685	-	-	268,5
ბელგია	შემოსავალი	783	-	700	-	-	-	674	900	526,2
	გზავნილი	272	-	100	-	-	-	225	550	232,9
ევროპის სხვა ქვეყნები	შემოსავალი	791	812,5	466,6	300	-	858	735	907,6	683,8
	გზავნილი	150,3	221,3	66	50	-	294	156	320	157,2
თურქეთი	შემოსავალი	350	425	-	-	308	683,3	-	-	441,6
	გზავნილი	75	135	-	-	156	233,3	-	-	149,8
სომხეთი	შემოსავალი	-	-	-	90	-	189	-	-	132
	გზავნილი	-	-	-	19,6	-	52	-	-	29,8
აზერბაიჯანი	შემოსავალი	-	200	-	-	-	-	-	-	200
	გზავნილი	-	-	-	-	-	-	-	-	-
უკრაინა	შემოსავალი	-	-	208	-	-	-	412	-	310
	გზავნილი	-	-	112	-	-	-	117	-	115
სხვა ქვეყნები	შემოსავალი	2311	833	200	-	600	3066	618	-	1089
	გზავნილი	169,2	177	50	-	109,4	267	108	-	125,8
საშუალოდ	შემოსავალი	1053	813	506	252,9	614	1148,4	433	997	744
	გზავნილი	207	169,8	135	63	173,2	281,1	157,2	271,4	178,5

იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტების შემოსავლებისა და საქართველოში ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე, აშშ დოლარი

გამოკვლევის რეგიონი	იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები					
	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ	ინტერნეტის საშუალებით გამოკითხული ახალგაზრდები
შემოსავალი	427	500	538	2050	713.7	625.5
გზავნილი	177.4	150	194	294	149.5	151.5

შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულთა შემოსავლები მიმღებ ქვეყნებში საქართველოში ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე, აშშ დოლარი

იმიგრაციის ქვეყნები		რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	ისრაელი	თურქეთი	სხვა ქვეყნები	საშუალოდ
გამოკვლეული რეგიონი	თბილისში დაბრუნებული შრომითი ემიგრანტები	412.2	538.6	235	1327	840	280	770	698.3
	შემოსავალი	114.2	345	200.2	584	225	70	158.3	229.6
	გზავნილი								

იმიგრაციის ძირითადი ქვეყნების მიხედვით ფულადი გზავნილების საშუალო სიდიდე ვარირებს 150-660 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო საქართველოს რეგიონების მიხედვით 63-280 დოლარის დიაპაზონში. მეტი იგზავნება აშშ-დან (397,3\$) და საბერძნეთიდან (204,2\$), შედარებით ნაკლები \_ რუსეთიდან (179,5\$) და გერმანიიდან (167,3\$). ყველაზე მცირე გზავნილი საშუალოთვიურად შემოდის სომხეთიდან და თურქეთიდან.

რესპონდენტთა 53,3%-ის აზრით, მათი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყაროა, 38,7% კი მას შემოსავლის ნაწილობრივ

წყაროდ მიიჩნევა. ფულადი გზავნილები აქ დარჩენილი ოჯახების ბიუჯეტს საარსებო მინიმუმამდე ავსებს და აჭარბებს კიდევ, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შრომითი ემიგრანტი თვითონაც იკმაყოფილებს ადგილზე აუცილებელ მოთხოვნილებებს.

საინტერესოა, თუ რა პრობლემების გადაჭრა მოახერხა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ ემიგრაციის განხორციელებით. მიღებული სარგებლის სპექტრი საკმაოდ ფართოა: პასუხების 36,4% ნაწილდება სხვადასხვა ძვირადღირებული საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენაზე, მათ შორის ავტომანქანისა და ბინის შეძენაზე, 11,7% – შემოსავლის საკუთარი წყაროს გაჩენაზე, 3,6% – ოჯახის წევრების საქართველოში შემოსავლიან სამსახურში მოწყობაზე. 7,2%-მა ხაზგასმით აღნიშნა კმაყოფილება, რომ შეძლო დასავლური განათლების მიღება. ძირითადად მხოლოდ ოჯახის პირველადი მოთხოვნების უზრუნველყოფა მიუთითა გამოკითხულთა 28,7%-მა, რომელთა უმეტესობა დედაქალაქის მაცხოვრებელი არაა.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციის გამო თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება რესპონდენტებს არ მიუთითებიათ, თუმცა არცთუ მცირე რაოდენობაა, ვინც ანკეტაში დასახელებული ვერცერთი პრობლემის გადაჭრა ვერ მოახერხა (პასუხების 9,8%).

დაბრუნებულ შრომით მიგრანტთა შორის 19,8%-მა მოახერხა შემოსავლიანი საქმიანობის წამოწყება, 4%-მა სწავლის საფასურის გადახდა, მაგრამ ძირითადი ნაწილის (40%) დანაზოგი მაინც პიველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება, ვინაიდან დაბრუნების შემდეგაც ჭირს სამსახურის შოვნა და, აქედან გამომდინარე, მათი 37% კვლავ უმუშევარია (ცხრილი 19, 19<sup>ა</sup>).

საერთო ჯამში, მოსახლეობა შრომითი მიგრაციის განხორციელებით კმაყოფილები არიან და გადაწყვეტილებას ემიგრაციაზე უალტერნატივოდ მიიჩნევენ (გრაფიკი 2).

მიგრანტთა ოჯახების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა გვიბიძგებს, შრომითი მიგრაციის როლი საქართველოსთვის განვიხილოთ, როგორც საშუალო ფენის ფორმირების ძლიერი ინსტრუმენტი. მოსახლეობის საშუალო ფენისათვის სპეციფიკურია უძრავი ქონებისა და კაპიტალის ფლობა ეკონომიკურად დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. დანარჩენი ნიშნები, როგორცაა უმაღლესი განათლება და პროფესიონალიზმი, რაზეც სტაბილურ საზოგადოებაში პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული შემოსავალი, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ



*ცხრილი 19*

შრომითი ემიგრაციიდან თბილისში დაბრუნებული რესპონდენტების განაწილება ჩამოტანილი თანხის გამოყენების მიხედვით  
(პროცენტობით პასუხების ჯამთან)

წამოიწყო მცირე ბიზნესი	ნელ-ნელა ოჯახისთვის ხარჯავს	ვალი გაისტუმრა	იმდენად ცოტა ჩამოიტანა, უკვე დაიხარჯა	გადაიხადა სწავლის საფასური	სულ
19.8	39.6	12.3	24.5	3.8	100

*ცხრილი 19*


შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებული თბილისელი რესპონდენტების განაწილება ამჟამინდელი საქმიანობის მიხედვით  
(პროცენტობით ჯამთან)

უმუშევარი	სწავლობს	წამოიწყო მცირე ბიზნესი	გააგრძელა სპეციალობით მუშაობა	მუშაობს დაბალ-კვალიფიციურ სამუშაოზე	დროებითაა ჩამოსული	სულ
37	20	15	14	9	5	100

ქვეყანაში საშუალო კლასის ასახვისათვის არ გამოიყენება. (მკვლევარები თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით აღნიშნულ ფენას შეისწავლიან ასევე შემოსავლების სიდიდითა და მოსახლეობის თვითშეფასების მიხედვით, ან ამ ყველა კრიტერიუმს იყენებენ კომპლექსურად).

**გრაფიკი 2**

**შრომითი ემიგრანტების განაწილება კითხვაზე –  
«კმაყოფილი ხართ ემიგრაციით?» – პასუხების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)**



საშუალო კლასის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს არა მარტო შრომითი მიგრაცია, არამედ, და შეიძლება უფრო მეტი წონითი მნიშვნელობით, მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო მმართველობაში დასაქმება და რეპეტიტორობა. ხოლო თვით ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობის, გენერირების ერთ-ერთი წყარო სწორედ შრომითი მიგრაციაა (ფულადი გზავნილები, გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა). ეს მტკიცდება საერთაშორისო გამოცდილებითაც. მაგალითად, მექსიკაში მცირე საწარმოების კვლევამ აჩვენა, რომ მათი 60% ეკუთვნის აშშ-ში მყოფ ყოფილ შრომით მიგრანტებს.<sup>76</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი ემიგრანტების სამშობლოში ჩამოსვლებს შორის დიდი ინტერვალია, ფულად დახმარებას გზავნიან ძირითადად ბანკის საშუალებით (46,3%), ან ატანენ ახლობლებს (32,8%) და ავტობუსსაც (13%). ეს უკანასკნელი ფორმა ყველაზე მეტად გამოიყენება საბერძნეთიდან და აზერბაიჯანიდან ფულის გამოგზავნისას. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მეშვეობით (Western Union-ის ფულადი გზავნილებით ან ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციით) ფულის გადმოგზავნა საკმაოდ ძვირია, აშშ-დან ამ ხერხით ფულს გზავნის მიგრირებულთა 84%, ამავე დროს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თანხა არ დაიკარგება. აშშ-დან და სკანდინავიის ქვეყნებიდან გადმოგზავნისას ძირითადად სარგებლობენ Money Gram-ის საბანკო მომსახურებით.

გადმოგზავნის სიხშირე ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. რუსეთიდან და გერმანიიდან მიგრანტთა თითქმის ნახევარი რამდენიმე თვეში ერთხელ გზავნის ფულს.

<sup>76</sup> Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Вып. II. М. 2001. с.17

შრომით ემიგრანტთა მცირე ნაწილი (მეათედი) გადმოგზავნასთან ერთად იქ ფულს აგროვებს და თვლის, რომ დაბრუნებისას ჩამოიტანს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო სტრუქტურებმა და დასაქმების საშუაშვლო სააგენტოებმა სამოქმედო პროგრამაში უნდა ჩადონ შრომითი ემიგრანტების გზავნილების გადმოგზავნის ორგანიზების გაუმჯობესება, რათა ამ თანხის დიდი ნაწილი არ დარჩეს თვით უცხოეთის ბანკების სარგებელში. ყურადსაღებია, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ყველა ემიგრაციული ქვეყნის წინაშე დგას.

ფულადი გზავნილების არაოფიციალური გზით გადმოგზავნა ჯდება თანხის 10-15%, ასეთი დიდი ტარიფი მიგრანტთა დანაზოგს და სამშობლოში დარჩენილ ღარიბ ოჯახთათვის განკუთვნილ შემოსავლებს საგრძნობლად ამცირებს. საბანკო სისტემით ფულადი გზავნილების ხარჯების შემცირება კი გაზრდის ასეთ მომსახურებაზე მოთხოვნას, რაც უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან არაოფიციალური მომსახურების რეგულირების ცდები. თუმცა, ტერორიზმის დასაფინანსებელი თანხის მოძრაობის თავისუფლებაც არ უნდა დავუშვათ.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებას ფულადი გზავნილების დაბეგვრასთან დაკავშირებით, რადგან ეს თანხა მძიმე შრომითაა მოპოვებული და უმეტეს შემთხვევაში იგი საკმარისად დაბეგრილია. ამიტომ ეკონომიკური კრიზისის დამღევაში სახელმწიფომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს გზავნილებიდან ამოღებული გადასახადების როლს.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოდან გასულ 300-400 ათას შრომით ემიგრანტს, ჩვენს მიერ ამ გამოკვლევით მიღებული თვიური ფულადი გზავნილის (178,5 აშშ დოლარი) მთელ საქართველოს მოსახლეობაზე მიახლოებით გავრცელებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად ვალუტის სახით შემოდის 650-850 მლნ აშშ დოლარი, რაც საზღვარგარეთიდან პირდაპირი ტრანსფერების ოფიციალურ მონაცემებს 3-ჯერ აღემატება [საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2004 წელს წლიური ელექტრონული გზავნილების მოცულობა საზღვარგარეთიდან შეადგენს 251 მლნ აშშ დოლარს, გრაფიკი 3]<sup>77</sup>. ეს სხვაობა აიხსნება აღრიცხვიანობის ნაკლოვანებებითა და არაეფექტური, ძვირადღირებული საბანკო მომსახურებით. საქართველოს საბანკო სისტემა ვერ აღმოჩნდა მზად, უზრუნველყო საიმედო და ხელსაყრელი ტრანსფერული არხები მიგრანტთა გზავნილების დიდი ნაკადისთვის. გლობალურ ფინანსურ ბაზარზე ამჟამად დომინირებული საბანკო მომსახურება – Western Union, Money Gram, Aneilic, Gigante Express, Delivery, IRNet, Bancomer – ქართველ შრომით მიგრანტთათვის მიუღებელია. მიგრაციული პროცესების თითოეული სუბიექტი უნდა დაინტერესდეს სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სავალუტო შემოსავლების მიღების ეფექტიანი სისტემის ფორმირებით, ვინაიდან ამ გზით ბრუნვაში იმ დამატებითი სახსრების ჩართვას შეძლებენ, რომელიც დღეს ჩრდილოვან ეკონომიკაში მიედინება (გაეროს მონაცემებით ფულადი გზავნილების 40%-ზე მეტი<sup>78</sup>). ეს სარგებელს მოუტანს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ფინანსურ სექტორსა და განსაკუთრებით, თვით მიგრანტებს (გრაფიკი 3).

<sup>77</sup> saqarTvelos erovnuli banki. monetaruli da sabanko statistikis biuleteni. Tbilisi, # 4(70), 2004. gv.115.

<sup>78</sup> Глущенко Г.И., Пономарев В.А. Официальные системы денежных переводов. Журнал «Банковское Дело», №10. (<http://www.bankdelo.ru/06Pono1.htm>).

შრომით მიგრანტთა გზავნილების გაანგარიშებას 1999-2002 წლებში ჩატარებული კვლევებითაც შეეცადნენ: თ. გუგუშვილის გაანგარიშებით, რომელიც ეყრდნობა საზოგადოდ, შრომით მიგრანტთა საერთაშორისო გზავნილების საშუალო სიდიდეს, საქართველოში ყოველწლიური გზავნილი 720მლნ აშშ დოლარს უტოლდება<sup>79</sup>. რ. გაჩეჩილაძე აღნიშნულ სიდიდეს მინიმუმ 400 მლნ დოლარის ფარგლებში მიიჩნევს<sup>80</sup>. ადრინდელი ჩვენი გამოკვლევებით კი სამუშაო ძალის ექსპორტით შემოსულ თანხად 600-670მლნ დოლარი ვიანგარიშეთ<sup>81</sup>.

USAID და Save the Children-ის ერთობლივი კვლევა შრომითი მიგრანტების წლიური ფულადი გზავნილების გაანგარიშებისას ეყრდნობა ოფიციალურ საბანკო მონაცემებს, რომლის მიხედვითაც 2003 წელს საზღვარგარეთიდან წლიური ელექტრონული გზავნილების მოცულობა შეადგენს 196 მლნ აშშ დოლარს<sup>82</sup>. ასევე, კითხვარშიც, რომლითაც გამოკვლევისას სარგებლობდნენ, რესპონდენტებისგან ითხოვენ ერთი შინამეურნეობის თვიურ შემოსავალში საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მიერ საბანკო გზავნილების პროცენტული წილის მითითებას, რაც, რა თქმა უნდა, საერთო რეალური სიდიდისგან შორსაა. თითოეული შინამეურნეობის შემოსავლებში გზავნილების პროცენტული წილის მიხედვით ისინი 2004 წლისთვის საბანკო გზავნილების ნაკადს ვარაუდობენ 100,8 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში. აღნიშნული კვლევით გამოვლინდა, რომ საბანკო სისტემების საშუალებით თანხის გადმოგზავნაში დომინირებს რუსეთის ფედერაცია, მას მოსდევს აშშ. ხოლო საქართველოს რეგიონებს შორის საბანკო მომსახურებით გზავნილების მიღებაში ყველაზე აქტიურია სამეგრელო (6,8%), ქვემო ქართლი (6,4%) და რუსთავი (6,3%)<sup>83</sup>.

*გრაფიკი 3*

### საზღვარგარეთიდან წლიურად ელექტრონული საბანკო გზავნილების სიდიდე საქართველოში, აშშ დოლარი (მილიონი)<sup>84</sup>

<sup>79</sup> გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბ., 1998. გვ.52-53


<sup>80</sup> გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997. გვ.54-55

<sup>81</sup> ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თბ., 2000. გვ.32

<sup>82</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი (იანვარი-ოქტომბერი, 2005). გვ.118. [http://www.nbg.gov.ge/nbg\\_new\\_geo/Publications/sarch\\_last.htm](http://www.nbg.gov.ge/nbg_new_geo/Publications/sarch_last.htm); The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.17.

<sup>83</sup> The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. USAID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.15-22.

<sup>84</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [http://www.nbg.gov.ge/nbg\\_new\\_geo/Publications/sarch\\_last.htm](http://www.nbg.gov.ge/nbg_new_geo/Publications/sarch_last.htm)



ცხადია, რომ მიგრანტთა ფულადი გზავნილები გლობალური ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. სამწუხაროდ, მათი პოტენციალი თითქმის არცერთ ქვეყანაში სრულყოფილად არაა რეალიზებული. ეს განპირობებულია არა იმდენად მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების სამეწარმეო უნარის უკმარისობით, არამედ მთელი რიგი ინსტიტუციონალური, ინფრასტრუქტურული და პოლიტიკური წინააღმდეგობებით. გამომუშავებული თანხის დონორ ქვეყანაში ინვესტირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: პოლიტიკური რისკი, ქვეყანაში მაკროეკონომიკური სიტუაცია, მიგრანტთა ტრანსნაციონალური საზოგადოებების განვითარების დონე, საბანკო მომსახურების ხელსაყრელობა, შინამეურნეობების შემოსავლების სიდიდე, ვალუტის გაცვლის კურსი. აუცილებლად მიგვაჩნია ამ წინააღმდეგობების შესწავლა და გადალახვა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სიცოცხლისუნარიანი მოდელის ფორმირებას.

ამრიგად, შრომითი ემიგრაციის მეოხებით საქართველოში ასეულ ათასობით ოჯახი იღებს საარსებო სახსარს. ქვეყანა კი სამუშაო ძალის ექსპორტით იღებს მნიშვნელოვან ვალუტას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სავალუტო შემოსავლის მიღების სისტემის გაუმჯობესება და გამარტივება; ემიგრანტთა დაინტერესება საქართველოში მცირე ბიზნესში ფულადი გზავნილების დასაბანდებლად და სხვა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მოვიყვანთ თურქეთის მაგალითს. თურქეთს იმისათვის, რომ გაეზარდა შრომით მიგრანტთა დაინტერესება სამშობლოში დიდი რაოდენობით თანხის გადმოგზავნაში, მიმართავდა გარკვეულ სტიმულებს: ა) მუშა-მიგრანტებს ნება ეძლეოდათ სახელმწიფო ბანკებში გაეხსნათ ანგარიშები, რომლებიც შეღავათიანი კურსით უნაზღაურებდნენ მათ თანხას ადგილობრივი ვალუტით; ბ) შემოღებულ იქნა საბაჟო შეღავათები მიგრანტების მიერ შემოტანილ სამომხმარებლო საქონელზე; გ) ეროვნულ ეკონომიკაში ფულადი გზავნილების ინვესტირების სტიმულირებისათვის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა მუშათა საინვესტიციო ბანკი, რომელიც განათავსებდა თურქი მუშა-მიგრანტების სახსრებს სამრეწველო პროექტებში ე.წ. «მუშათა კომპანიების» საშუალებით. «მუშათა კომპანიების» აქციონერებს ამ კომპანიებში დასაქმება გარანტირებული ქონდათ მიგრაციიდან დაბრუნების შემდგომ.

#### II.4. მოსახლეობის ემიგრაციული განწყობა და რეემიგრაციული პოტენციალი

შრომითი ემიგრაცია, როგორც წესი, დროებითი ხასიათისაა, მაგრამ ადგილობრივ გარემოსთან შეჩვევა, ცხოვრების უკეთესი პირობები, ოჯახის შექმნა, სამშობლოში არსებული გაუთავებელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კრიმინალური პრობლემები, შრომით ემიგრაციას ხშირად მუდმივ ემიგრაციად აქცევს.

ჩვენი გამოკვლევების შედეგებით, სამშობლოში საერთოდ არ ჩამოსულა ამერიკაში წასულ შრომით ემიგრანტთა 70%. საბერძნეთში მომუშავეთა\_ 65%, გერმანიაში მომუშავეთა\_ 47%, ხოლო რუსეთში მომუშავეთა\_ 34%. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ გერმანიასთან მიმოსვლა უფრო რეგულარულია. ეს იმით აიხსნება, რომ გერმანიაში მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამებით არიან წასული, რის გამოც იძულებულნი ხდებიან, დაბრუნდნენ სამშობლოში და, შეძლებისამებრ, ვიზა განაახლონ.

ჩამოსულების გამოკითხვამაც იგივე სურათი მოგვცა. ემიგრაციის პერიოდში ჩამოსვლას ახერხებდა მხოლოდ 38%, ხოლო საბოლოო დაბრუნებამდე საერთოდ არ ჩამოსულა რესპონდენტთა 62%. თუმცა ოჯახთან სისტემატური კავშირი (ძირითადად სატელეფონო) აქვს მიგრანტთა 85%-ს, დანარჩენს კი\_ იშვიათად.

ჩამოუსვლელობის მიზეზად რესპონდენტები მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებსა (35%) და განმეორებითი ემიგრირების სირთულეს ასახელებენ (32%). საქართველოს მიგრანტთათვის იმიგრაციის ოთხი მთავარი ქვეყნიდან ყველაზე შეფერხებულია მისვლა-მოსვლა აშშ-თან. აღსანიშნავია უკან დაბრუნების სიძნელე რუსეთში მომუშავე შრომითი ემიგრანტებისათვისაც (38,9%). სავარაუდოა, რომ ეს დაკავშირებულია სავიზო რეჟიმის შემოღებასთან.

ყურადსაღებია, ჩამოუსვლელობის მიზეზად სურვილის არქონისა და საჭიროდ ჩაუთვლელობის დასახელება. საქართველოს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ვერ შეამცირებს მგზავრობის ხარჯებს, მაგრამ იმაზე კი უნდა იზრუნოს, რომ მიგრაციული პოლიტიკა გახდეს მოქნილი, ეცადოს შრომის უფლების პროგრამები გავრცელდეს საქართველოსთან მიმართებაშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახების ფაქტობრივად იძულებითი, ხანგრძლივი ტერიტორიული გაყოფა უარყოფითად იმოქმედებს მომავალი თაობის აღზრდაზე და ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა შრომით ემიგრანტთა რეემიგრაციული პოტენციალის ზოგად შეფასებას<sup>85</sup>. ჩვენი ხელმძღვანელობით 2005 წელს შესწავლილ იქნა საქართველოში მცხოვრები ოჯახებისა და მათი ემიგრირებული წევრების მიგრაციული განწყობა და ქცევა.

საქართველოში დაბრუნება მყარად აქვს გადაწყვეტილი შრომით მიგრანტთა დიდ უმრავლესობას (გრაფიკი 4). ყურადსაღებია, რომ თუ 2003 წლამდე გამოკვლევებში მოკლე დროში უკან დაბრუნებისგან თავშეკავება დააფიქსირა გამოკითხულთა მხოლოდ 20%-მა, ემიგრაციის პერიოდის გაზრდასთან და, შესაბამისად, ადაპტაციის გაუმჯობესებასთან ერთად მიგრანტთა დაბრუნება კიდევ უფრო სავარაუდო ხდება (31,3%).


<sup>85</sup> საერთოდ, პოტენციური მიგრაციის შეფასება ეყრდნობა ორ მეთოდს: პირველი იყენებს პროგნოზის მოდელირების თანამედროვე ტექნიკასა და ზოგად მონაცემებს, ხოლო მეორე \_ მოსახლეობის გამოკითხვას მათი მიგრაციული განზრახვისა და გეგმების შესახებ.

შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულთა კვლევის პროგრამით გათვალისწინებული იყო დაბრუნებულების რეემიგრირებისას მიმღებ ქვეყანაში მათი შესაძლო დარჩენის ალბათობის განსაზღვრა. გამოკითხულთა 9% იმიგრაციის ქვეყანაში მოხვედრისთანავე ეცდება სამუდამოდ იქ დარჩენას, 66%-ს საჭიროდ მიაჩნია ემიგრაცია მხოლოდ მატერიალური პირობების კვლავ დროებით გაუმჯობესებისათვის, რის შემდეგაც აუცილებლად დაბრუნდება უკან. ამასთან, გამოცდილებიდან გამომდინარე, თვლიან, რომ ემიგრაციის მეტ ეფექტიანობას მიაღწევენ. დარჩენილი 25% კი მიუთითებს იმას, რომ მოსახლეობას არ აქვს საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების იმედი, მათ ჯერ არ იციან, რას მოიმოქმედებენ საზღვარგარეთ კვლავ მოხვედრის შემდეგ (ცხრილი 20). როგორც ჩანს, დაბრუნებულებიდან უმეტესობას კვლავ წასვლის სურვილი აქვს, მათგან დროებით ჩამოსულია 28%, დანარჩენი (53%) კი, საჭიროებისამებრ, გამოიყენებს გამოცდილებას და შეეცდება უკეთესი პირობებით განახორციელონ ემიგრაციული აქტი. მხოლოდ 7% თვლის, რომ შრომითმა მიგრაციამ თავისი როლი შეასრულა და მომავლის საარსებო წყარო მისცა. მიმღებ ქვეყანაში არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდება თბილისში ჩამოსულთა 12% (სამწუხაროა, რომ მიზეზი ამისა არ დააფიქსირეს).

#### გრაფიკი 4

შრომითი ემიგრანტების განაწილება საქართველოში დაბრუნებაზე გადაწყვეტილების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

პასუხები კითხვაზე: «შრომითი ემიგრანტი აპირებს საქართველოში დაბრუნებას?»



როგორც ვხედავთ, შრომითი ემიგრაციის ინტენსიობის შესუსტებას უახლოეს დროში ნაკლებად უნდა ველოდეთ. შრომითი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას განაპირობებს ეკონომიკური ხასიათის წინაპირობები. სანამ ქვეყანაში ეკონომიკურად სტაბილური სიტუაცია არ შეიქმნება და ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდება, საქართველოს მოსახლეობა ეცდება საარსებო წყარო საზღვარგარეთ ოჯახის წევრის გაგზავნით მოიპოვოს.

ცნობილია ისიც, რომ ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნა, იქ მისი კეთილმოწყობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ემიგრაციულ განწყობაზეც. ეს აისახა ჩვენი კვლევის შედეგებშიც. კერძოდ, მათი



ემიგრაციული პოტენციალი საკმაოდ მაღალია და ემთხვევა ფაქტობრივი მიგრაციის მიმართულებათა სპექტრს.

მიმღებ ქვეყანაში გამოკითხულ ემიგრანტთა 26,6% ოჯახის წევრთან ერთად ცხოვრობს; 9,4% მთელი ოჯახითაა წასული, 28%\_ მეგობრებთან და ნაცნობებთან ერთად. ემიგრაციაში მარტოა შრომით მიგრანტთა 36%. თუმცა, შეძლებისთანავე, მათი 22,9% ეცდება ოჯახის წევრის თავისთან წაყვანას სამუშაოზე მოწყობის მიზნით.

პოტენციურ შრომით ემიგრანტთა საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზები კვლავ ეკონომიკური ხასიათისაა, რასაც ოჯახების გაერთიანებასაც უთავსებენ.

დიდი სხვაობაა მიმღები ქვეყნების მიხედვით ოჯახთან ერთად და ცალკე ემიგრირებული რესპონდენტების განაწილებაში. ყველაზე მცირე პროცენტული მაჩვენებელი შრომითი ემიგრანტებისა, რომლებიც ახლობლებთან ერთად არიან წასული, არის გერმანიაში. ახალგაზრდა კონტინგენტი გერმანიაში ძირითადად მარტო მიდის (65,8%). საბერძნეთშიც ანალოგიური სიტუაციაა დასაქმების სპეციფიკიდან გამომდინარე: მომვლელები და დამლაგებლები უმეტესად სადაც მუშაობენ, იქ ცხოვრობენ, ამიტომ ოჯახის წევრების წაყვანა შეუძლებელიცაა და თუკი მაინც მოახერხებენ, ეს მხოლოდ შრომითი მოწყობის მიზნით იქნება და ისიც უმეტესად ტერიტორიულად სხვა ადგილას. აშშ-ში წასულები კარგი ანაზღაურების გამო ცდილობენ, თავიანთი ახლობლებიც ჩართონ სარფიან ანაზღაურებად სამუშაოებში.



შრომით ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ძირითად ქვეყნებში სამუდამოდ დარჩენის გადაწყვეტის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

mimRebi qveyana	შემცვლელ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით				იმიგრაციის ქვეყნებში გამოკითხული შრომითი ემიგრანტები				
	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	რუსეთი	გერმანია	საბერძნეთი	აშშ	სულ
იმიგრაციის ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენაზე გადაწყვეტილება არ დავრჩები	65.8	77.7	79.3	80.2	58	50.8	48	60	53.2
შესაძლებელია	8.2	8.2	10.3	3.5	9.7	27.0	24	10	20.1
არ ვიცი	26	14.1	10.4	16.3	32.3	22.4	28	30	26.6
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100

ემიგრაციიდან დაბრუნებულების რეემიგრაციული პოტენციალი და სამუდამოდ დარჩენაზე მათი სავარაუდო გადაწყვეტილება (პროცენტობით ჯამთან)

პასუხები კითხვაზე_ აპირებთ ისევ წასვლას?	
გამოკვლეული რეგიონი	თბილისი
პასუხები	
არავითარ შემთხვევაში	12

გამოკვლეული რეგიონი	თბილისი
საზღვარგარეთ რეემიგრაციის შემთხვევაში სამუდამოდ დარჩენაზე გადაწყვეტილება არ დავრჩები	66

როგორც საჭიროება მოითხოვს	53
დიახ, დროებით ვარ ჩამოსული	28
არა, აღარაფერი მიჭირს	7
სულ	100

შესაძლებელია	9
არ ვიცი	25
სულ	100

რაც შეეხება რუსეთს, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ეს არის ქვეყანა, სადაც ემიგრანტები უფრო ნათესაურ გარემოცვაში იმყოფებიან. მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ წაიყვანონ ოჯახის წევრი არა მარტო სამუშაოდ და მუშაობის საფასურის შემომტანად (38,7%), არამედ იმ პრინციპით, რომ ოჯახის ერთად ყოფნა აუცილებელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მიგრაციული პერიოდი ხანგრძლივია (5-10 წელი), ამის გამო უფროსი ასაკის მიგრანტებმა რუსულ გარემოსთან ადაპტაცია და პროფესიის შესაბამისი დასაქმებაც უფრო მოახერხეს, ამიტომ ისინი საქართველოში დაბრუნებასა და შრომითი ცხოვრების ახლიდან დაწყებაზე თავს მეტად იკავებენ (30%).

დაბრუნებულები აღნიშნავენ, რომ რუსეთში არალეგალურ პირობებშიც კი შესაძლებელია ოჯახის წევრებისათვის საავადმყოფოს, სკოლის, სასწავლო წრეების და ა.შ. მომსახურებით სარგებლობა, თუკი სამართალდამცავ ორგანოებთან მიაღწევენ გარიგებას, რაც ასე თუ ისე ხერხდება.

საბერძნეთში გამოკითხულებმა კი დანაწევრებით აღნიშნეს, რომ არალეგალობისა და არასაკმარისი ფინანსური საშუალების გამო შვილებისათვის საშუალო განათლების მიცემა ვერ შეძლეს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოტენციურ მიგრაციულ ნაკადებში ახალგაზრდობის დიდი წილი, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის უპირატესად ახალგაზრდობის მოქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ შრომით ემიგრანტ ახალგაზრდებში აღწარმოების მაჩვენებლები უკიდურესად გაუარესებულია და ეს კონტინგენტი ფაქტობრივად ვეღარ ასრულებს თავის გენერაციულ ფუნქციას.

მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მეტისმეტი სიმწირის გამო, ახალგაზრდების ემიგრაციული განწყობის შესასწავლად 2005 წლის იანვარ-თებერვალში ჩვენს მიერ გამოკითხა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მეორე და მეოთხე კურსის სტუდენტები. გამოკვლევამ მოიცვა 550-ზე მეტი რესპონდენტი (მათგან 61% ემიგრაციის მსურველი აღმოჩნდა). შერჩევითი გამოკვლევის გზით შევეცადეთ, გაგვესაზღვრა სტუდენტთა შესაძლო მიგრაციის მიზეზები, ემიგრაციული განზრახვის რეალიზების ხელშემშლელი ფაქტორები, მიგრაციული გამოცდილება, მიმართულებები და შემდგომი გეგმები. კვლევა დაეყრდნო ანკეტური გამოკითხვის მეთოდით მიღებულ ინფორმაციას.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკმაოდ ძლიერია ახალგაზრდობის ემიგრაციული განწყობა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (ქ. თბილისი \_ 56%; ქ. ქუთაისი \_ 68%) ფსიქოლოგიურად მზადაა საზღვარგარეთ წასასვლელად და შესაბამისი პირობების დადგომისთანავე მოახდენს განზრახვის რეალიზებას. რესპონდენტთა შორის შედარებით მეტია ქალები (60,2%). როგორც ჩანს, ისინი შერჩევის დროს უფრო მეტ ინიციატივას იჩენდნენ ანკეტის შევსებაში. სავსებით ლოგიკურია, რომ ახალგაზრდობის ძლიერი მიგრაციული განწყობა იმითაცაა განპირობებული, რომ მათი უმეტესობა (ქ. თბილისში \_ 95,8%, ქ. ქუთაისში \_ 86%) დაუქორწინებელია.

საზღვარგარეთ მიგრირების თაობაზე ნათლად ჩამოყალიბებული არ იყო გამოკითხულთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (ქ. თბილისი \_ 7,3%; ქ. ქუთაისი \_ 21,6%), თუმცა მათი საგრძნობი წილი, შესაძლოა, წინა ჯგუფს მიემატოს და გაზარდოს პოტენციური მიგრანტების რაოდენობა. უახლოეს მომავალში გამგზავრება დაგეგმილი აქვს გამოკითხულთა 9,2%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების 7,3% პროფესიის

შესაბამისად მუშაობს საქართველოში, 10,1% კი სწავლას მუშაობასაც უთავსებს, ქვეყანაში სამუშაო ძალის დაბალი ფასის გამო ემიგრაციული განწყობა მათ შორისაც მაღალია.

ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს უცხო ქვეყანაში წასვლა სურს განათლების მიღებისა (პასუხთა 31,8%) და უცხო ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით (პასუხების 15,4%). ემიგრაციის მიზეზად სამშობლოში უპერსპექტივობასა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობას ასახელებს 8,8%, მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი და საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუშაობის სურვილი ამოდრავებს რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს (25,7%). რესპონდენტთა 14,1%-მა აღნიშნა ადრე წასული ოჯახის უფროს წევრებთან ჩასვლისა და მათთან ერთად მუშაობის სურვილი. პირველი-მეორე კურსის სტუდენტებისათვის უფრო მიმზიდველია განათლების მიღება და უცხო ენის ცოდნის დახვეწა. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკურად გაურკვეველი ვითარება მათთვის მშობლების ფინანსური მხარდაჭერის წყალობით ჯერ ნაკლებად საგრძნობია. ეკონომიკური სიდუხჭირე თბილისთან შედარებით ქუთაისელ სტუდენტობაში უფრო მეტად ჩანს.

მართალია, საქართველოს ახალგაზრდობის ემიგრაციული განწყობა ძლიერია, მაგრამ, როგორც ცნობილია, გამგზავრების სურვილის რეალიზება რიგ ფაქტორებთანაა დაკავშირებული<sup>86</sup>. ახალგაზრდების პოტენციურ ემიგრანტთა თითქმის ნახევარს (პასუხების 48,7%) ჯერ არავითარი ღონისძიებისთვის არ მიუმართავს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მნიშვნელოვანი ნაწილი კი (22,4%) წინასწარ უცხო ენის სწავლითაა დაკავებული. გარდა უცხო ენის ინტენსიური შესწავლისა და ინტერნეტით ინფორმაციის მოგროვებისა, რესპონდენტები მიმართავენ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სხვადასხვა ფონდებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მათი 4,4% აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში; ხოლო სისტემატურ კავშირშია უკვე წასულ ახლობელ ემიგრანტებთან და ეცნობა საქართველოდან ემიგრირების პირობებს პოტენციურ ემიგრანტთა 13%; გამგზავრებისათვის საჭირო თანხის შეგროვებას კი მათი მხოლოდ 6,5% ცდილობს.

ემიგრაციის განხორციელებისთვის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორებად ახალგაზრდები ასახელებენ სასწავლებლის დამთავრებისა და დიპლომის აღების აუცილებლობას (44,1%), გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ხელმიუწვდომლობას (40,9%), ოჯახიდან გარკვეული დაბრკოლება ხვდებათ გამოკითხულთა 11,4%-ს.

გამოკითხული ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობის (84,0%) აზრით, საზღვარგარეთ შესაძლო გამგზავრების შემდეგ ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში. 8,2% კი იქ ისწავლის და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას

<sup>86</sup> ჰ. ფასმანი და ჩ. ჰინტერმანი ერთმანეთისგან ანსხვავებენ საერთო მიგრაციულ პოტენციალს (მიგრაციული განზრახვა, რომელიც არამყარ განაცხადებს ეყრდნობა) და რეალურ მიგრაციულ პოტენციალს (პოტენციური მიგრანტები, რომლებმაც მოსამზადებელი ნაბიჯები გადადგეს). [Fassman H., Hinterman Ch. Migrationspotential Ostmitteleuropa. Struktur und Motivation potentieller Migranten aus Polen, der Slowakei, Tschechien und Ungarn. ISR-Forschungsbericht 15, Viena, 1997]. 2002 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებით, საერთო მიგრაციული პოტენციალი პოლონეთში უტოლდება მოსახლეობის 16,6%-ს, თითქმის 5 მლნ ადამიანს, მაშინ როცა რეალური მიგრაციული პოტენციალი შეფასდა 1,33%-ით ანუ 400ათასი ადამიანით. [Касмарчик П. Современные и будущие тенденции трудовой миграции за пределы польши в контексте расширения европейского союза. Трудовая миграция и защита прав Гастарбайтеров: практика пост коммунистических стран. Авт. редакторы: Зайончковская Ж.А., Мошняга В.А., Теоса В. Научное издание. Кишинев, 2003. ст.69-77.]

დაბრუნების შესახებ, მხოლოდ 2,8%-მა უკვე დაგეგმა, რომ წასვლის შემთხვევაში ისინი აღარასოდეს დაუბრუნდებიან სამშობლოს. საზღვარგარეთ სამუდამოდ დარჩენა გადაწყვეტილი აქვს ქუთაისიდან პოტენციურ ემიგრანტთა 3,7%-ს.

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების დეტალური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება დიდ სტიმულს აძლევს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ პოტენციურ მიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდობაა, ვინც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება.

### თავი III. შრომითი ემიგრაციის რეგულირების ძირითადი მიმართულებები

#### III.1. შრომითი ემიგრაციის ორგანიზაციული სრულყოფა

შრომითი ემიგრაციისადმი მიძღვნილ ნაშრომებში უფრო ხშირად განიხილება ან შრომით მიგრანტთა რეგისტრირებული დასაქმება (რაც ამ მოვლენის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია), ან ყურადღება კონცენტრირდება მიგრაციის მხოლოდ კრიმინალურ ასპექტებზე, როგორებიცაა ცოცხალი საქონლით ვაჭრობა, ნარკოტიკების გადაზიდვა და სხვა მსგავსი, არალეგალური შრომითი მიგრაციის კომპლექსური შესწავლა კი ყურადღების მიღმა რჩება.

როგორც ცნობილია, შრომითი მიგრაცია ხორციელდება როგორც კანონიერი, ასევე კანონსაწინააღმდეგო ფორმით. კანონიერ შრომით მიგრანტს უნდა ჰქონდეს შემდეგი უფლებები: ნებართვა ქვეყანაში შესვლაზე, განსაზღვრული ვადის განმავლობაში ყოფნასა და შრომაზე. თუკი რომელიმე მოთხოვნა დარღვეულია, მიგრანტი უკანონოდ ითვლება.

მიგრაციული კანონმდებლობის რეალობასთან შეუსაბამობა საწინდარია სამართალდარღვევებისა როგორც უცხოელთა, ასევე ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან: დამქირავებლები უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებენ კანონით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების დადებას. შრომითი ურთიერთობა ხორციელდება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სიტყვიერი მოლაპარაკებით და არა კონტრაქტის გაფორმებით. შედეგად არალეგალური მიგრანტი სამუშაოს იწყებს ჩრდილოვან ეკონომიკაში, რაც ევროკომისიის დაანგარიშებით იტალიაში შეადგენს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 27,2%-ს, ესპანეთში – 23%-ს და საფრანგეთში – 14,7%-ს<sup>87</sup> და ა.შ.

ნებისმიერი სახის მიგრაციული პოლიტიკა, კანონმდებლობა, ვიზებისა და ნებართვების გაცემა, არ მოიტანს სასურველ ეფექტს, სანამ შრომის ბაზარი ქაოსური და ჩრდილოვანი იქნება. მიგრანტების არალეგალური დასაქმების შესუსტება შეიძლება საბაზრო ურთიერთობებთან შესაბამისი შრომითი კანონმდებლობის შექმნით.

შრომით ბაზარზე წესრიგის დამყარება გაცილებით ძნელია, ვიდრე მიგრანტების კონტროლი. ამიტომ წინასწარ უნდა მოხდეს ქვეყანაში შემსვლელ მიგრანტთა კვოტირება კვალიფიკაციის, განათლების, გამოცდილების, შესასრულებელ სამუშაოსთან მისი პროფესიონალური მომზადების შესაბამისობის მიხედვით. მაგრამ ხშირად თვითონ მეწარმეები უწყობენ ხელს არალეგალურ დასაქმებას, ამასთან დაკავშირებით, პიტერ სკოტერი წერს: «იაპონიაში ბევრი მცირე საწარმო საკმაო ზარალს მიიღებდა, რომ არა არალეგალური იმიგრანტების შრომის გამოყენება». რუსეთშიც იგივე სიტუაციაა – ბევრი საწარმო გაკოტრდებოდა უკანონო სამუშაო ძალის გამოყენების გარეშე, რომელთა არცთუ ცოტა ნაწილია შრომითი იმიგრანტი.<sup>88</sup>

დღეისათვის სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს: თუ როგორია ჩრდილოვანი მიგრაციული პროცესების გავლენის ხარისხი სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და რამდენად შეიძლება ჩაითვალოს შრომის საერთაშორისო ბაზრის ჩრდილოვანი

<sup>87</sup> IOM, Migration News, issue №14, 10.07.2002.

<sup>88</sup> Миграция населения. Под ред. О.Д. Воробьевой. Выпуск II. М. 2001. с.8

სეგმენტის გაფართოების მაპროგნოზირებელ ფაქტორად უცხოური სამუშაო ძალის მიმართ მიმდები ქვეყნის დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოყენება (კვოტირების სისტემა, იმიგრაციული უპირატესობები და ა.შ.).

ერთი მხრივ, ჩრდილოვანი საერთაშორისო შრომის ბაზარი შეიძლება განვიხილოთ როგორც ავტონომიური, ჩაკეტილი სისტემა, რომელიც შედგება არალეგალური მიგრანტებისაგან, არალეგალურად დამქირავებლებისაგან და შესაბამისი შრომითი საშუალებად ინსტიტუტებისაგან (როგორც ლიცენზირებული, ისე არაკანონიერად ფუნქციონირებადი) და, რომელიც ვითარდება თავისი კანონებით ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩარჩოებში და ობიექტურად არაა დამოკიდებული დისკრიმინაციული მიგრაციული პოლიტიკისგან.

მეორე მხრივ, კვოტირების სისტემის გაფართოებას მოყვება ჩრდილოვან სექტორში იმ მუშაკთა გადასვლა, რომლებიც არ შეესაბამებიან მიმდები ქვეყნის მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ კვოტირება საკმაოდ არაეფექტანია არალეგალური მიგრაციის მოტივაციური ბაზის შესუსტების თვალსაზრისითაც.

შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის მხოლოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის კრიმინალურ სფეროში წარმოებული პროცესების ინტერნაციონალიზაცია, ხოლო არაკრიმინალურში, როგორც პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩრდილოვანი საერთაშორისო შრომის ბაზარი ატარებს «სოციალური ამორტიზატორისა და სტაბილიზაციის შემნარჩუნებლის» ფუნქციას.<sup>89</sup>

საქართველოდან შრომითი მიგრაცია ძირითადად არალეგალურია, რადგან ჩვენი ქვეყნიდან შრომითი მიგრაციის ლეგალური შესაძლებლობები ფაქტობრივად არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არარსებობის გამო. შრომით მიგრანტთათვის ერთადერთი გამოსავალია საზღვარგარეთ სხვადასხვა გზით მოხვედრა და ვიზის ვადის გასვლის შემდეგ არალეგალად დარჩენა. იმიგრაციული ქვეყნების შეზღუდული სავიზო პოლიტიკის გამო მიგრანტები დახმარებისათვის მიმართავენ სავიზო ბროკერებსა და საშუამავლო სააგენტოებს საზღვარგარეთ მათი გასვლის უზრუნველსაყოფად, რაც უმეტესად ხდება ყალბი დოკუმენტებისა და მოტყუების გზით.

არალეგალური მიგრაციის ორგანიზების სისტემა მიეკუთვნება სასაზღვრო დანაშაულებათა კატეგორიას. საქართველოში აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის სტანდარტული და გამოვლენილი ინსტრუმენტია:

\* ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადება და აღნიშნული დოკუმენტებით საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა;

\* შედარებით სუსტი სავიზო და საემიგრაციო რეჟიმის მქონე ქვეყნიდან საზღვარზე მოქალაქეთა ჯგუფების უკანონოდ გადაყვანა;

\* ტურისტული ფირმებისა და საშუამავლო სააგენტოების მხრიდან გაყალბებული დოკუმენტებითა და ფიქტიური შუამდგომლობით ვიზების მიღებაში მხარდაჭერა;

\* ვიზის მიღება უცხო ქვეყნების საელჩოებიდან კავშირების მქონე სხვადასხვა შუამავალი სტრუქტურების და კერძო პირების მეშვეობით ფიქტიური დოკუმენტების (ხელშეკრულებები, შუამდგომლობები, საბანკო ანგარიშები და სხვა) გამოყენების გზით. სავიზო ბროკერები ამყარებენ მჭიდრო ურთიერთობებს მთავრობის წარმომადგენლებთან, რომლებიც დაუსაბუთებელ წერილებს გასცემენ სამსახურებრივი

<sup>89</sup> Баушаев И.С., Меркулов В.Н. Нелегальная трудовая миграция и экономическая безопасность. Россия, 2001. <http://www.ln.mid.ru/ns-dgpch.nsf/aa259d77f08b8f4543256da40037b908/>

მივლინების შესახებ. მაგრამ სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შემდეგ, ჯგუფის რამდენიმე წევრი არ ბრუნდება სამშობლოში. რაც იმის საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ უკანონო გადაწყვენები მაღალი რანგის სახელისუფლო გზების და არხების საშუალებით ახერხებენ თავიანთი უკანონო ბიზნესის წარმართვას;

\* გასვლის მსურველთათვის ვიზის მიღება საზღვარგარეთ გამსვლელ ფოლკლორულ, სპორტულ და სხვა ჯგუფებში მათი ჩართვის გზით და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას, როგორც ჭიმკარს ევროპისაკენ, და უმეტეს მეზობელ ქვეყანასთან არსებულ ნაკლებად დაცულ საზღვარს, მოსალოდნელია, რომ იგი მიგრანტთა უკანონო გადაყვანის სატრანზიტო ქვეყნადაც მოგვევლინოს მათთვის, ვინც აზია-აფრიკიდან დასავლეთისკენ მიემართება, აგრეთვე იმათთვის, რომელთა ქვეყნებთანაც საქართველოს აქვს გამარტივებული მიმოსვლის რეჟიმი (თურქეთი, უკრაინა). ცნობილია საქართველოზე გამავალი არალეგალური მიგრაციის რამდენიმე არხი<sup>90</sup>:

\* პაკისტანი-ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო-ევროპა;

\* ერაყი-თურქეთი-საქართველო-ევროპა;

\* ინდოეთი-საქართველო-ევროპა.

მსო-ს დაკვირვებებმა აჩვენა, რომ თბილისში ტურისტულ ფირმათა უმრავლესობა მუშაობს მიგრანტთა კონტრაბანდაზე ევროპის ქვეყნებში, კანადაში, ახლო აღმოსავლეთსა და აშშ-ში. გამოვლენილია საქართველოს მოქალაქეთა ქვეყნიდან უკანონო გასვლის შემდეგი გზები:

\* შენგენის ქვეყნების მიმართულებით\_ საქართველო-უკრაინა-პოლონეთი-გერმანია;

\* საბერძნეთის მიმართულებით\_ საქართველო-თურქეთი-ბულგარეთი. ბულგარეთი-საბერძნეთის საზღვარზე გადასვლა ხდება ტყის მასივების საცალფეხო ბილიკებით;

\* ისრაელის მიმართულებით\_ საქართველო-თურქეთი-ეგვიპტე-ისრაელი; ეგვიპტე-ისრაელის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხორციელდება ნაკლებად კონტროლირებად უდაბნოს მონაკვეთზე თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეების ხელშეწყობით;

\* ამერიკის მიმართულებით\_ თბილისი-პრალა-მაიამი (ცენტრალური ამერიკის გავლით). მოქალაქე შედარებით ადვილად ღებულობდა ჩეხეთის საკონსულოში ვიზას პრალამდე, სადაც იღებდა ავიაბილეთებს ცენტრალური ამერიკის რომელიმე ქვეყნამდე (ძირითადად ჰონდურასი და ნიკარაგუა, სადაც მოქმედებს გამარტივებული სავიზო რეჟიმი) და მაიამის ტრანზიტულ აეროპორტში რჩებოდა. შემდეგ სარგებლობდა იურიდიული მომსახურებით და სხვადასხვა საბაბით (პოლიტიკური, სექსუალური უმცირესობის შევიწროება და სხვა) იღებდა თავშესაფარს. აღნიშნული მარშრუტი აღარ ფუნქციონირებს საქართველოს და აშშ-ს შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად.

დასაფიქრებელია, რომ ტურისტული ფირმებისა და საშუამავლო სააგენტოების სპეციალიზირებული საშუალებებით (ტურიზმი თავშესაფრის მიღების და გართობის ინდუსტრიაში ჩართვის მიზნით, «საცოლე მიმოწერით», სამივლინებო ვიზა) განხორციელებული მიგრაციული აქტები არ არის სპონტანური, არამედ შეგნებულად ორგანიზებულია და ლიცენზირებული ტურისტული ფირმების ხელმძღვანელობას ამოფარებული თაღლითების ძირითადი საქმიანობაა.

<sup>90</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით.



გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოდან არალეგალური მიგრაცია საკმაოდ დიდი მასშტაბისაა. დაბრუნებულ არალეგალურ მიგრანტთა შორის უმეტესობის გამოცდილების მიუხედავად, განმეორებითი მიგრაციის პოტენციალი, თუნდაც კვლავ არალეგალური გზით, საკმაოდ მაღალია. დაბრუნებული ქართველების უმრავლესობას უმწელობა სამშობლოში რეინტეგრაციის პროცესი, რაც ძირითადად სამუშაო ადგილების მოძიების სირთულითაა განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ ბევრ პოტენციურ მიგრანტს და მის ოჯახს ძალიან ფრაგმენტული ინფორმაცია გააჩნია იმ რეალური სიტუაციის შესახებ, რომლის წინაშეც ისინი საზღვარგარეთ აღმოჩნდებიან. ობიექტური ინფორმაცია არალეგალური მიგრაციის შედეგების, მასთან დაკავშირებული საფრთხის, საემიგრაციო შეზღუდვების, დანიშნულების ქვეყანაში არსებული რეალური ვითარებისა და კანონიერი მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ, გადამწყვეტ როლს ითამაშებს თითოეული პიროვნების მიერ მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. 2005 წლის გამოკვლევებში კითხვაზე «იცნობთ თუ არა მიმღებ ქვეყანაში იმიგრაციულ სიტუაციასა და პოლიტიკას ან საქართველოდან ოფიციალურად გასვლის შესაძლებლობებს?» უარყოფითი პასუხი მივიღეთ გამოკითხული ნაკადის 80%-ისგან. მათი უმრავლესობა ბრმად ენდობა და ჯერდება ნაცნობ-მეგობრებისგან გაგონილ ინფორმაციას.

ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ მიგრაციის მართვის სტრატეგიაში მიგრაციული პროცესების რეგულირების წარმატებული ფუნქციონირების მთავარ პირობად აღიარებულია პოლიტიკურ კონიუნქტურაზე სწრაფად რეაგირებადი ინფორმაციული ბაზისა და სტრუქტურის მომზადების საჭიროება, მაგრამ მრავალი სტატისტიკური და დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის, უბრალოდ არ მიდის დანიშნულების ადგილამდე ან მიდის დაგვიანებით. სხვადასხვა მიზეზებით მთავრობები არ უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას\_ ნაწილობრივ, გასაიდუმლოების მოსაზრებით, ნაწილობრივ კი, იმიტომ, რომ მონაცემთა ბაზა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ პირობებზეა აგებული და ურთიერთშედარება გაძნელებულია. ამასთან, აუცილებელია არა მარტო ინფორმაციის გაცვლა, არამედ მისი ოპერატიული ანალიზიც<sup>91</sup>.

ევროსაბჭოს მიგრაციული მართვის სტრატეგია დამყარებულია ოთხ პრინციპზე: ორგანიზებულობა; დაცვა; ინტეგრაცია; თანამშრომლობა. მისი წარმატებული განხორციელებისათვის პირველ რიგში, ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს კომპლექსური მიგრაციული პოლიტიკა, რომლის უმთავრესი მოთხოვნაა – იყოს ღია და გამჭვირვალე; მეორეც, პოლიტიკა უნდა იყოს კოორდინირებული თვით ქვეყნებს შორის; მესამეც, მიგრაციის საკითხებისადმი სტრატეგიული მიდგომა გულისხმობს ყველა სუბიექტის (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების) აქტიურ მონაწილეობას; და ბოლოს, ქვეყნების პოლიტიკა კოორდინირებული უნდა იყოს საერთაშორისო დონეზე.

XXI საუკუნის დასწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იწყება მიგრაციული პოლიტიკის ახალი ეტაპი. შობადობის მკვეთრმა ვარდნამ, საპენსიო სისტემის კრიზისმა, დასაქმების გარკვეულ სფეროებში სამუშაო ადგილების შეუვსებლობამ, ე.წ. «ახალი

<sup>91</sup> The Council of Europe a new strategy for Social Cohesion. Revised strategy for Social Cohesion, approved by the Committee of Ministers of the Council of Europe on 31 March 2004. CDCS. 2004.

К стратегии управления миграцией. Сборник договоров. Короткие содержание и тексты договоров. Совет Европы. Страсбург. Август, 2002.

უმცირესობების» მაღალმა წილმა, მზარდმა არალეგალურმა მიგრაციამ განაპირობა სახელმწიფო მოწყობის მონოეთნიკური მოდელიდან კანონმდებლობის დაცემა და იმიგრაციული მოდელის მაჩვენებლების შექმნა<sup>92</sup>, რამაც მოითხოვა ინტეგრაციული პროგრამების შემუშავება, რომელთა შემადგენელი ელემენტებია: \_ ნატურალიზაციის ვადების შემცირება (15 წლიდან 7-8 წლამდე); \_ წარმოშობის პრინციპის შეცვლა დაბადების ადგილისა და ცხოვრების ხანგრძლივობის განსაზღვრის პრინციპით; \_ კვოტების სისტემის ლიბერალიზაცია სპეციალობებისა და ქვეყნების მიხედვით; \_ ქსენოფობიისა და რასიზმის აღკვეთის მიზნით სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღება; \_ ქვეყანაში უკვე მომუშავე არალეგალური მიგრანტების ლეგალიზება ნატურალიზაციისა და მუდმივ საცხოვრებლად გადასვლაზე განაცხადის შეტანის უფლების გადავადებით; \_ ლტოლვილთა რიცხოვნობის შემცირების, თავშესაფრის მიცემისა და ინტეგრირების ღონისძიებები; \_ ოჯახთან გაერთიანების დაშვება; \_ უცხოელი სტუდენტების სამუშაოზე მიღება საგანმანათლებლო არხების მეშვეობით.

1990-იანი წლების მიგრაცია ევროპაში \_ ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ქვეყნების პოლარიზაციის შედეგი: ქვეყნების დაყოფა მიგრანტთა ტრანზიტულ, წარმომშობ, შენგენისა და ბუფერული ზონის (მათ შორის) ქვეყნებად. თითოეულს აქვს მიგრაციული პოლიტიკის პრიორიტეტები:

\* შენგენის ქვეყნები (დიდ ბრიტანეთთან და ირლანდიასთან ერთად)\_ 1. შრომის ბაზარზე მიგრანტთა შეღწევის მკაცრად შეზღუდვა; 2. მიგრაციაზე კონტროლის რეჟიმში მეზობელი (ბუფერული) ქვეყნების ჩართვა, თანამშრომლობის გაუმჯობესება.

\* ბუფერული ზონის ქვეყნები, EEC-ის კანდიდატები\_ 1. მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება და იმ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომლებიც დაკავშირებულია EEC-ში პოტენციური შესვლის შესაძლებლობასთან; 2. ბუფერულ და წარმომშობ ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმის გაძლიერება; 3. არალეგალურ მიგრაციასთან და დასაქმებასთან ბრძოლა, სანქციების დაწესება არალეგალთა დამქირავებლების მიმართ, იმ ვარაუდით, რომ ჯარიმას მაშინ აქვს ეფექტი, როცა ის ჭარბობს იმ ეკონომიას, რომელიც მიიღება სამუშაო ძალის არალეგალური დაქირავებით; 4. სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება.

\* ტრანზიტული ქვეყნები (ყოფილი სსრკ, თურქეთი და მალრიბის ქვეყნები)\_ 1. სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება, სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამუშაო ძალის კონტრაბანდაზე; 2. EEC-ის და ბუფერულ ქვეყნებთან კოოპერაცია ლტოლვილებისათვის თავშესაფრის მიცემის სისტემის ჩარჩოებში.

წარმომშობი და ტრანზიტული ქვეყნები დასავლეთ ევროპისგან საჭიროებენ: 1. მიგრანტების კონტროლის ორგანიზებაში დახმარებას; 2. ეკონომიკური წინსვლის მხარდასაჭერად სავაჭრო ინიციატივების განვითარებას; 3. მიგრანტთა დასაბრუნებლად წარმომშობ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებაში ხელშეწყობას; 4. მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მხარდაჭერას; 5. სამართლებრივი ბაზის მომზადებას.

<sup>92</sup> Молодикова И.Н. Основные этапы и методы управления трудовой миграцией в западно-европейских странах. Трудовая миграция в СНГ: социальные и экономические эффекты. Центр изучения проблем вынужденной миграции в СНГ, Независимый исследовательский совет по миграции стран СНГ и Балтии, Институт народнохозяйственного прогнозирования РАН. М., 2003. стр.271-285.

იმიგრაციული პროცესების დარეგულირებაში ძირითადად გამოიყოფა იმიგრაციული პოლიტიკის ორი ტიპი<sup>93</sup>: ა) ასიმილაციური მიგრაციული პოლიტიკა, რომლის საბოლოო მიზანია ერთიანი, ინტეგრირებული ნაციის შექმნა. იგი მიმართულია მუდმივი მიგრანტების შემოყვანაზე ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული და ტრადიციული ფასეულობების გათავისების მიზნით (აშშ, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა);

ბ) გამორჩენის პოლიტიკა (отходническая политика). ამ პოლიტიკის გამტარებელია ყველა ძირითადი იმიგრაციული ქვეყანა. ხოლო თუ მიგრანტთა შრომის გამოყენების მასშტაბი საკმარისად დიდია, გამორჩენის პოლიტიკა იხრება შემზღუდავი პოლიტიკისკენ (მაგალითად, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია, საუდის არაბეთი მიმართავენ მკაცრ ზომებს: სელექციური მიდგომა, კვოტირება, რეპატრაციის პროგრამები, რეადმისიული ხელშეკრულებები, დეპორტაცია), წინააღმდეგ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ლიბერალურ პოლიტიკას\_ არალეგალთა ამინისტია, დონორი ქვეყნების დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკაში ხელშეწყობა (შვეცია, დანია, კატარი და სხვა)<sup>94</sup>.

სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები კი მიგრაციულ პროცესებს პრაგმატულად უდგებიან. მათი მხრიდან მისი წახალისება თუ შეზღუდვა პირდაპირდამოკიდებულებაშია იმასთან, თუ საგადასახადო ბალანსის ფორმირებას რამდენად განსაზღვრავს მიგრანტთა სავალუტო გზავნილები. მაგალითად, ისეთი ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა, სადაც სამუშაო ძალის ექსპორტისგან მიღებული შემოსავალი საგადასახადო ბალანსის ძირითადი პუნქტებია, ითვალისწინებს, შესაბამისად, დროებითი შრომითი მიგრაციის სტიმულირებას და მას თვლის სახელმწიფო ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.

ხოლო ქვეყნები, რომლებიც ერთდროულად ითვლებიან შრომითი რესურსების ექსპორტიორ-იმპორტიორებად, ერთმანეთს უთანხმებენ მიგრაციული პოლიტიკის ორივე სახეს: ცდილობენ ერთნაირი წარმატებით წახალისონ უმუშევართა და დაბალკვალიფიციურ პირთა გადინება და იმავედროულად, მიიზიდონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მიგრაციის მართვის პროგრამებს, მათ შორის შრომაზე ნებართვებისა და სამუშაო ვიზის გაცემის სისტემებს, შეუძლიათ ნაწილობრივ მოაგვარონ არალეგალური მიგრანტების რიცხოვნობის ზრდასთან დაკავშირებული პრობლემები და ხელი შეუწყონ მუშახელის დროებით მიგრაციას. ასეთ პროგრამებში წინასწარ არის ჩადებული არაკვალიფიციური შრომითი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების სტიმულირების მექანიზმებიც. ამას გარდა დროებითი შრომითი მიგრაციის პროგრამებს იმიგრაციული ქვეყნებისთვის მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია: სოციალური დაწოლის შესუსტება; მიგრანტთა მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლაზე კონტროლის შესამცირებლობა; ასეთ მიგრანტთათვის გარანტირებული

<sup>93</sup> კრისტიანო კოდანონე სტატიაში «ვარაუდზე აგებული მიგრაციული პოლიტიკა» კიდევ ასახელებს მის რამოდენიმე მოდელს: მიგრაციული პოლიტიკის პლურალისტური მოდელი; კლასობრივი მოდელი; მარქსისტული, რეალისტური და ნეოკორპორაციული მოდელები.

<sup>94</sup> Кристиано Коданьоне. Миграционная политика как планирование наугад. Мировой опыт миграционной политики: ретроспектива и новейшие тенденции. Под редакцией Галины Витковской. МОМ, бюро МОМ в России, бюро МОМ в Казахстане. Москва, Алма-Аты. 2004. стр. 15-34.

შრომითიმოწყობის გამო მცირდება მიმღები ქვეყნის ბიუჯეტზე ზეწოლა და იზრდება სახელმწიფო შემოსავლები<sup>95</sup>.

«ლეგალური შრომითი იმიგრაციის გარეშე ევროპელები იძულებულნი იქნებიან მეტი იმუშაონ, პენსიაში გვიან გავიდნენ და შესაძლოა უარის თქმა მოუხდეთ სახელმწიფო პენსიის ნაწილზე და ჯანდაცვაზე, რადგან ნაკლები მუშახელი შესაბამისად ნაკლებ გადასახადს გადაიხდის» - განუცხადა როიტერს მსო-ს წარმომადგენელმა<sup>96</sup>.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განისაზღვროს მართვის ობიექტი, ანუ რისი მართვა გვსურს? მართვის სტრატეგია საჭიროა არა მხოლოდ მიგრანტთა ნაკადებისა და მათი ინტეგრაციისათვის მიმღები ქვეყნის საზოგადოებაში, არამედ დღეს მართვის საგანს წარმოადგენს **გლობალური მიგრაციული ბიზნესი**, რომელიც მოიცავს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, დასაქმების კერძო სააგენტოებს, ტურისტულ კომპანიებს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ქსელებს, იურიდიულ და კონსალტინგურ ფირმებს, პროფკავშირებს, დამქირავებელთა და მიგრანტთა გაერთიანებებს, სათვისტომოებს, დიასპორებს, სპეციალური დანაშაულებრივ საზოგადოებებს (მექსიკური «кайоты», «მენავეები», კონტრაბანდისტები, სარეკრუტინგო სააგენტოები შესაბამისი ლიცენზიების გარეშე, ან ვადაგასული ლიცენზიით). სრულიად ცხადია, რომ იგი შესაძლოა წარმართული იქნეს კანონიერი და უკანონო გზით.

---

<sup>95</sup> Remittances: Development Impact and Future Prospects. Edited by Samuel Munzele Maimbo , Dilip Ratha. World Bank. June, 2005. p. 398. [http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item\\_id=2434711](http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item_id=2434711)

<sup>96</sup> ლეგალურმა იმიგრაცია ევროპას შესაძლოა სარგებლობა მოუტანოს. Reuters, 29.04.2002.

### III.2. შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების გზები

საქართველოს მთავრობა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისადმი მისი ხედვიდან გამომდინარე, შეეცადა სამოქმედო გეგმაში კონცენტრირება მოეხდინა ეროვნულ პრიორიტეტებზე, რაც ევროკავშირთან მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობების დამყარების საფუძველს შექმნის, ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის წინაშე მდგარი ისეთი ძირითადი მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა: დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, თანამედროვე სავაჭრო, სატრანსფორტო და ენერგოინფრასტრუქტურის აშენების გზით ქმედითი ეკონომიკის განვითარება, გარე სამყაროსადმი ღია საზოგადოების ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობის განმტკიცება, განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობა.

შეთავაზებულ ეროვნულ პრიორიტეტთაგან მეტად მნიშვნელოვანია «ოთხი თავისუფლების» (ადამიანთა, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება) გავრცელების სფეროში თანამშრომლობა, განსაკუთრებით, ყურადღება გასამახვილებელია გლობალური მიგრაციული პროცესების ფონზე ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების სფეროში საქართველოს მოქალაქეთათვის ადგილის მოძიებაზე. აღნიშნულ სფეროში სამოქმედო გეგმამ მოიცვა შემდეგი ამოცანები: ა) რეადმისიისა და რეინტეგრაციის კონცეფციის შემუშავება; ბ) მიგრაციის მართვის თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბება; გ) საქართველოდან შრომითი მიგრანტებისათვის ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობების მოპოვება (სეზონური და არაკვალიფიციური მუშახელი, მოთხოვნილი და დეფიციტური პროფესიები, სტუდენტთა დასაქმება); დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზის სააპლიკაციო პროცედურების გამარტივება; ე) რეადმისიის შეთანხმების გაფორმება<sup>97</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არალეგალური მიგრაცია და ტრეფიკინგი ადამიანთა უფლებების დარღვევის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი ბაზა საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, შეფერხებულია ასევე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შესრულებისათვის მოლაპარაკებების წარმოება.

დღესდღეობით საქართველოში მიგრაციულ პროცესების მარეგულირებელ კანონთა ნუსხა ასეთია:

1. საქართველოს კანონი იმიგრაციის შესახებ\_ (1993 წ.);
2. საქართველოს კანონი ემიგრაციის შესახებ\_ (1993);
3. კანონი მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ\_ (1998);
4. კანონი მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ\_ (1998);
5. საქართველოს კანონი დასაქმების შესახებ\_ (2001);
6. საქართველოს კანონი «საქართველოში უცხოელი მოქალაქეების შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის წესების შესახებ»;

<sup>97</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №291 – «ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ». 11.07.2005. თბილისი.

7. საქართველოს კანონი «საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ»;

8. «ევროპის სოციალური ქარტია», მუხლი 19., «მიგრანტი მუშების და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე»\_ (2005).

საქართველოში უკვე დაწყებულია პროცედურა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №97 კონვენციისა და №118 რეკომენდაციის რატიფიკაციისათვის. სასურველია მათთან ერთად განხორციელდეს მსო-ის №143 კონვენციისა და №151 რეკომენდაციის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ. განხილვის პროცესშია საქართველოს კანონპროექტი «ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ»; ასევე, გაეროს საერთაშორისო კონვენცია «შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ».

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კონვენციები რატიფიცირდება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ძირითად ქვეყნებში და ეროვნული მიგრაციული კანონმდებლობა მოვა მათთან შესაბამისობაში, აღარ დაისმება მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრთა, არალეგალური მიგრაციის, ეროვნულ უსაფრთხოებაზე მიგრაციის გავლენის, უცხოელი სამუშაო ძალის დისკრიმინაციის პრობლემების საკითხები;

მთავრობას განსახილველად გადაცემული აქვს, ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი «შრომითი მიგრაციის შესახებ».

1990-იანი წლების დასაწყისიდანვე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურად არის ჩაბმული არალეგალური შრომითი მიგრაციის პრობლემების მოგვარებაში. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მსო-მ თავის თავზე აიღო დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა. 2001 წლის დასაწყისში მსო-ს ინიციატივით დაიწყო ე.წ. «კლასტერის» პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა ემიგრაციის ქვეყნებისა და დანიშნულების ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას მიგრაციასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში: 1. ინფორმაციის გაცვლა კლასტერის ქვეყნების საემიგრაციო დეპარტამენტებს შორის; 2. რეადმისის შესახებ ხელშეკრულებები; 3. ამიერკავკასიის მთავრობების ტექნიკური პოტენციალის მშენებლობა; 4. დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესი; 5. საინფორმაციო კამპანია არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ დონორ ქვეყნებში.<sup>98</sup>

ადამიანით ვაჭრობის, «XX საუკუნის მონობის» წინააღმდეგ ბრძოლა ჩადებულია მრავალი ორგანიზაციის მოქმედების პროგრამაში. 1994 წლიდან საქართველო რიგ საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს შეუერთდა. ამ უკანასკნელთა მოთხოვნების განხორციელების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანებულებით დამტკიცდა «ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა», სადაც მოქმედების შვიდი სხვადასხვა სფეროდან ერთ-ერთი უმთავრესია შრომითი მიგრაციის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის მასშტაბების შეფასება, პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის

<sup>98</sup> საინფორმაციო კამპანია საქართველოდან არალეგალური მიგრაციისა და ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ. მსო ანგარიში V. 2002, გვ. 5, 23

ამაღლება, მართვის ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა, არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

ინსტიტუციონალური სტრუქტურების კონტექსტში ძირითადი წინადადებული ნაბიჯი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში 2002 წელს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების შექმნა, რომელიც 2005 წლის 14 იანვარს გადაკეთდა ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოდ. ამავე დროს, უკანონო მიგრაცია მოიცავს ისეთ ფორმებსაც, რომლებიც სისხლის სამართლის დასჯად ქმედებებს არ წარმოადგენენ და, შესაბამისად, არ უნდა იყვნენ მოქცეულნი პოლიციური სტრუქტურების კომპეტენციაში ზოგადად «უკანონო მიგრაციის» სახით. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს მიგრაციის მართვის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებისას ფუნქცია-ამოცანათა გადანაწილების დროს. მაგალითად, სრულიად გაუგებარია არალეგალთა გამოვლენის შემთხვევაში სად და რა პირობებში უნდა განთავსდნენ ისინი, რომელმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს ამისათვის საჭირო თანხების გაღება, გაძევების ან სხვა გადაწყვეტილების შემდეგ როგორ და ვის ხარჯზე მოხდება დეპორტირება და ა.შ.

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტმა იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი «ტურიზმის რეესტრის შესახებ», რომელიც ლეგალური თუ არალეგალური სექს-ტურიზმითა და სხვა დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებულ სააგენტოთა გამჟღავნებასა და დასჯას შეუწყობს ხელს. მისი მიზანია ტურისტული ფირმების საქმიანობის რეგულირება. სააგენტოს უნდა გააჩნდეს საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ოფიციალური ლიცენზია. მან ოფიციალური კონტრაქტი უნდა გააფორმოს ყველა თავის კლიენტთან და ტურისტული ფირმების საქმიანობებით დაკავებულ შესაბამის სამთავრობო უწყებას წარუდგინოს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან საქმიანი შეთანხმებების ოფიციალური მტკიცებულება.

კულტურისა და სპორტის სამინისტროში შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც ახდენს საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ხელოვანთა ჯგუფებთან და სპორტსმენებთან გასაუბრებას, მათთან ერთად გარეშე პირების გამგზავრების თავიდან აცილებისა და თვით რომელიმე მათგანის საზღვარგარეთ დარჩენის გამორიცხვის მიზნით.

აუცილებლობიდან გამომდინარე, შესწორებები შეიტანეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. 2003 წლის ივნისში მიღებული კანონის თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი 143<sup>1</sup> – «ადამიანის ტრეფიკინგი» და 143<sup>2</sup> – «არასრულწლოვანის ტრეფიკინგი».

შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის უმთავრესი მნიშვნელობის აქტია «შრომითი მიგრაციის შესახებ» კანონი. იგი კანონპროექტის სახით დამუშავდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, თუმცა, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა მისი პროცესუალური წინსვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ «შრომითი მიგრაციის შესახებ» დღეს არსებული კანონპროექტი საერთოდ არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, მიგრაციის საკითხების მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმებს. კანონპროექტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენცია განისაზღვრება შრომითი მიგრანტების სოციალური, ეკონომიკური, შრომითი და სხვა უფლებების დაცვითა და მათი

საქმიანობის მონიტორინგით; აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს, დასაქმების კერძო ფორმების საქმიანობის კოორდინაციით შრომითი მიგრაციის სფეროში, მაგრამ განსაზღვრული არ არის მისი როლი და ვალდებულებები მიგრაციული პროცესების ორგანიზების საქმეში. აღნიშნული კანონპროექტით, სამინისტროს ეკისრება მხოლოდ მაკონტროლებლის ფუნქციები და ისიც საკმაოდ გაურკვეველი და მოუქნელი მექანიზმებით. ჩვენი აზრით კი, სწორედ მან უნდა შეასრულოს მთავარი როლი შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირებაში, განსაკუთრებით, თანამედროვე ეტაპზე. მან უნდა მოახდინოს ლეგალიზებული შრომითი მიგრაციის ორგანიზება ოფიციალური არხების მეშვეობით, მიიღოს მონაწილეობა მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების გაფორმებასა და სამუშაო ადგილების მოპოვების პროგრამების განხორციელებაში; მოახდინოს დასაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობის ნორმატივიზაცია; უზრუნველყოს შრომით ემიგრანტთა რეგისტრირება და აღრიცხვა; სამუშაო ძალის იმპორტ-ექსპორტზე ნებართვების გაცემა. ეს სისტემა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს პრაქტიკაშია უკვე კარგად აპრობირებული (მაგალითისათვის, საბერძნეთი, პოლონეთი, ბელორუსია, ტაჯიკეთი, პაკისტანი, ფილიპინები, ინდოეთი, ტაილანდი, შრი-ლანკა, მაროკო, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია და სხვ.) და მის აუცილებლობას მრავალი მოსაზრება განაპირობებს:

– სამუშაო ძალის იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვების გაცემით შესაძლებელი გახდება შრომითი რესურსების ეფექტური განაწილება და რეგულირება;

– სამუშაო ძალის იმპორტზე ნებართვა დაიცავს ეროვნული შრომის ბაზრის ინტერესებს;

– მხოლოდ «შრომითი მიგრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მიღების შემდეგ (უწინარეს ყოვლისა, სამუშაო ძალის იმპორტსა და ექსპორტზე ნებართვების გაცემის სისტემის საფუძველზე) გახდება შესაძლებელი შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება იმიგრაციულ ქვეყნებთან (ამ უკანასკნელთა პრინციპული მოთხოვნის გამო)<sup>99</sup>;

– იგი საშუალებას იძლევა სახელმწიფომ აწარმოოს ქვეყნიდან გასული და შემოსული შრომითი მიგრანტების შედარებით სრულფასოვანი აღრიცხვა, რადგან სამუშაოზე გაცემული ნებართვების რაოდენობა პირდაპირ თანაფარდობაშია შრომით მიგრანტთა რიცხოვნობასთან. სტატისტიკის სრულყოფილი წარმოება კი ქვეყნის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების საწინდარია;

– ნებართვა წარმოადგენს საქართველოდან ლეგალურად გასული შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი, შრომითი და სოციალური უფლებების დაცვის გარანტს;

---

<sup>99</sup> შრომითი მიგრაციის შემთხვევაში სავიზო მექანიზმი ასრულებს მეორად როლს – სამუშაო ვიზა გაიცემა მხოლოდ საზღვარგარეთ შრომაზე ნებართვის მიღების შემდგომ. Тюрюканова Е.Ю. Между Сциллой и Харибдой: политика трудовой иммиграции некоторых европейских стран (Великобритания, Ирландия, Норвегия, Греция). Мировой опыт миграционной политики: ретроспектива и новейшие тенденции. Под редакцией Галины Витковской. МОМ, бюро МОМ в России, бюро МОМ в Казахстане. Москва, Алма-Аты. 2004. стр. 174-218.



– ის ხელს შეუწყობს მიგრანტთა შრომისა და საცხოვრებელი ადგილის უკეთესი პირობების უზრუნველყოფას, ანაზღაურებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას; შექმნის პიროვნებისთვის ღირსეული სამუშაო ადგილის შეთავაზების მეტ შესაძლებლობებს;

– შემცირდება მიგრანტთაგან ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკი;

– მოწესრიგდება სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სავალუტო შემოსავლების მიღების სისტემა, გამარტივდება ფულადი გზავნილების საბანკო მომსახურება.

2001 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ჰქონდა საერთო მიგრაციული პროცესების მართვისა და მონაცემთა შეგროვება-სისტემატიზაციის მცდელობა, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შემოღებული იქნა ე.წ. «მიგრანტის ბარათი». მაგრამ აღნიშნული წამოწყება სრული მარცხით დამთავრდა იმის გამო, რომ ვერ იქნა გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული რეალური ვითარება და შესაძლებლობები (ინფრასტრუქტურის და ტექნიკურ შესაძლებლობათა არარსებობა, უწყებათა არაკოორდინირება და სხვა). ამასთან, «მიგრანტის ბარათმა» მიიღო უაღრესად კრიტიკული შეფასებები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის აშკარა ფორმამ.

არსებობს მოსაზრება, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე და საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით მიგრაციის მართვის სფეროში შემავალი ფუნქციები თავმოყრილი იყოს ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში – მიგრაციის სამსახურში. აღნიშნული ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო შესაძლებელია არსებობდეს დამოუკიდებელი სტრუქტურის სახით ან რომელიმე სამინისტროს (საქართველოს იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს) შემადგენლობაში<sup>100</sup>. ფუნქციები უნდა გადანაწილდეს შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სტრუქტურებში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), რომელთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნება მონაცემთა ცენტრალური ბანკი. მისი მეშვეობით მოხდება სტატისტიკის წარმოება საზღვრის კვეთის, საპასპორტო რეგისტრაციისა და გაძევების, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელ მიგრანტთა ეროვნულ შრომის ბაზარზე დასაქმების სფეროების, სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტზე გაცემული ნებართვების აღრიცხვის, დასაქმების კერძო სააგენტოების რეგისტრირების, სავიზო-საპასპორტო ჩანაწერების, მიგრანტთა ფულადი გზავნილების, იძულებით გადაადგილებულების და სხვა მონაცემების მიხედვით.

მიგრაციის მართვის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს საზღვარგარეთ ქართველთა დიასპორების პოტენციური შესაძლებლობების რეალური გამოყენებაც. საერთოდ, მიგრანტები თვით ქმნიან საინფორმაციო-კომუნიკაციურ ქსელებს, ინტელექტუალურ და პროფესიულ ასოციაციებს, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ორგანიზაციებს,

---

<sup>100</sup> მიგრაციის მართვის საინტერესო სტრუქტურა აქვს ნიდერლანდებს, რომელიც ევროპული და ამერიკული მოდელის ჰიბრიდს წარმოადგენს. აქ მოქმედებს ამერიკული მოდელის იერარქია: იუსტიციის სამინისტრო → იმიგრაციისა და ნატურალიზაციის დეპარტამენტი. საზღვარი ასევე, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. თუმცა იკვეთება ევროპული მოდელის შიგა სტრუქტურა: ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული სამსახურები, მათი მრავალსახეობა, შემადგენელ რგოლებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, ადგილობრივ მთავრობასთან ურთიერთობა. ორკოდაშვილი ნ. გარე შრომითი მიგრაციის მართვის სრულყოფის მიმართულებები. მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში. თსუ, მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2005. გვ.84-90.

კვალიფიციურ მიგრანტთა ადგილობრივ გაერთიანებებსა და ა.შ.<sup>101</sup>, რომლებიც წარმოშობის ქვეყნებისთვის წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ლოკომოტივებს. მაგრამ დიდ ბრიტანეთში არსებული საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარის თქმით, «უცხოეთში ქართველებს ჯერჯერობით უჭირთ ერთმანეთის გაგება და გაერთიანება»<sup>102</sup>.

---

<sup>101</sup> Meyer J.B., Brown M. Scientific diasporas: A new approach to the brain drain. Paris, UNESCO, UNESCO-MOST Discussion Paper No. 41, 2002. p.37-59.

<sup>102</sup> «საქართველოში ჩამოსვლა ყველას უნდა, მაგრამ ვჭირდებით ვინმეს?» //კვირის პალიტრა, №47(560), 21-27 ნოემბერი, 2005. გვ.31.

## დასკვნა

საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის მართვის პრობლემებზე მსჯელობისას პირველი რიგის ამოცანად აღნიშნული კონტინგენტის შემადგენლობის აღრიცხვა და შესწავლა უნდა დაისახოს. ამ მიზნით დისერტაციაში კრიტიკულადაა განხილული საერთაშორისო მიგრაციის შესწავლის ძირითადი საინფორმაციო წყაროები. კვლევისას გამოვლინდა, სასაზღვრო სტატისტიკა და ადმინისტრაციული წყაროები (მოსახლეობის რეგისტრი, მოსახლეობის აღწერა, ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე) ყოველთვის ვერ იძლევა საჭირო ინფორმაციას შრომით მიგრანტთა ზუსტ რაოდენობასა და მიგრაციის ხანგრძლივობაზე. ამ მხრივ შედარებით მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ადმინისტრაციული წყაროს ერთ-ერთ სახეს - სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემას, რაც ჩვენში ფაქტობრივად არ არსებობს. ამიტომ ინფორმაციის ოფიციალური წყაროების პარალელურად, აუცილებელი ხდება სპეციალურად ორგანიზებული სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება - ინფორმაციის მიღება და დამუშავება ინტერვიუთა გზით.

ემიგრაციული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე შრომითი მიგრაციის გავლენის შესაფასებლად შრომითი მიგრანტების რიცხოვნობისა და სტრუქტურის გამოვლენასთან ერთად აუცილებელია მათი ფულადი გზავნილების გაზომვა. ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ წარმოადგენს ყოველწლიური საგადასახადო ბალანსი, რომელიც ფულადი ნაკადების მართვისა და კონტროლის მეთოდოლოგიური საფუძველია, მაგრამ თავისი ხარისხით იგი არაა დამაკმაყოფილებელია და რეალურ სიდიდიდან საკმაოდ დაცილებული. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა მიენიჭა კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ანკეტათა შინაარსსა და ძირითადი კითხვების სწორად შერჩევას.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზითა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ შრომითი ემიგრაცია თავისი მასშტაბით, სტრუქტურითა და ინტენსივობით, ქვეყნის განვითარებაზე ზეგავლენით, მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური შედეგით, არალეგალური ხასიათითა და მართვის სირთულით თანამედროვე საქართველოს უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.

გამოკვლევის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება, მკვეთრად გაუარესებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსახლეობის ზრდა, უმუშევრობა, შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების შეუძლებლობა და არასტაბილურობა საქართველოდან მასშტაბური შრომითი ემიგრაციის ძლიერი სტიმულატორი აღმოჩნდა. 1990 წლიდან დაწყებული ეკონომიკური ნგრევა გამოიხატა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესებაში. 1990-1995 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2530 აშშ დოლარიდან 440 დოლარამდე დაეცა, ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1 მლნ-ზე მეტი კაცით შემცირდა. აქედან გამომდინარე, საქართველოდან საზღვარგარეთ საშოვარზე წასვლის მიზეზები უმთავრესად ეკონომიკური ხასიათისაა (80%) და წარმოქმნილი მწვავე სოციალური პრობლემების მიუხედავად, ემიგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკულ ვითარებაში მოსახლეობის საარსებო მინიმუმით

უზრუნველყოფისთვის. მითუმეტეს მაშინ, როცა შრომითი ემიგრანტების აქ დარჩენილი ოჯახების უმეტესობას (58%) ყოველთვიურად მხოლოდ 100 ლარამდე შემოსავალი აქვს, ხოლო 17,4%-ს კი საერთოდ არ აქვს. აღსანიშნავია, რომ უცხოეთში გამგზავრებამდე ემიგრანტთა 47,6% უმუშევარი იყო. გამოვლინდა, რომ ზოგადი სურათისგან ნაწილობრივ განსხვავდება ახალგაზრდა მიგრანტთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა. მათი ნახევრის თვიური შემოსავალი შეადგენს 150 ლარს და მეტს, რაც განაპირობებს ასეთი ოჯახების ახალგაზრდა თაობის საზღვარგარეთ გამგზავრებას სწავლის (შეთავსებით შრომასთან) მიზნით, რაც, საბოლოოდ, შემოსავლიან სამსახურში მოწყობით მთავრდება.

ღრმა კრიზისის გამო შრომითმა ემიგრაციამ მოიცვა მთელი საქართველო. თუმცა გარე მიგრაციულ პროცესებში მეტი აქტიურობით ქალაქის მოსახლეობა ჩაერთო, ხოლო სოფლის მოსახლეობა, ნაწილობრივ, შიგა შრომით მიგრაციაში (სოფლიდან\_ქალაქად) მონაწილეობს. ქვეყანაში ფაქტობრივად შეწყდა შიგა ქანქარისებური და ორგანიზებული მიგრაცია, შეფერხდა ურბანიზაციის პროცესი. მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნო-დემოგრაფიული სტრუქტურა მთლიანად საქართველოში და ასევე მის ცალკეულ რეგიონებშიც;

დადგინდა, რომ მიგრანტები სამუშაოდ მიემართებიან ძირითადად 4 ქვეყანაში: რუსეთში (შრომით ემიგრანტთა 52,6%), საბერძნეთში (11,2%), გერმანიაში (11%) და აშშ-ში (8,2%). ადმინისტრაციული სასოფლო რაიონებიდან შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიმართულებაა – რუსეთის ფედერაცია. ამ მიმართულების წილი მთლიან ნაკადში 50%-75%-ის დიაპაზონში ვარიირებს.

გამოვლინდა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოდან შრომითი მიგრაციის მიმართულება ცვლილებებს განიცდის: თავდაპირველად მიგრანტთა გადაადგილების ვექტორი ერთმნიშვნელოვნად რუსეთისა და თურქეთისკენ იყო მიმართული. შემდგომში იგი თანდათან შეიცვალა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ, რაც კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმის შემოღებამ. დასავლეთისკენ ნაკადის შემადგენლობაში ჭარბობს იქაური შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე 45 წლამდე ასაკის ქალები, «ბედის ანაბარად» წასული მამაკაცები და «შრომითი-საგანმანათლებლო» მიზნით ემიგრირებული ახალგაზრდობა.

მიგრაციულ ნაკადებში თანდათან იზრდება ე.წ. «ელიტის», ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია. «ტვინების გადინება», რაც საქართველოს ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებაში მნიშვნელოვან პრობლემებს შექმნის.

შრომითი ემიგრაციის ორგანიზების ფორმების ანალიზით დადგინდა, რომ შრომით მიგრანტთა უმრავლესობა ეყრდნობა ნათესავ-მეგობრების (60%) დახმარებას. ნაცნობების იმედზე წასვლის მსურველები ემიგრირების ორგანიზებას [ტრანსპორტირებას] ტურისტული სააგენტოების მეშვეობით აგვარებენ და მიემგზავრებიან ძირითადად სასტუმრო და ტურისტული ტიპის ვიზებით, რომელთა მოქმედების ვადა უმეტეს შემთხვევაში სამ თვემდეა. აქედან გამომდინარე, მიგრანტთა არანაკლებ 70% საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება და, თავისთავად, დასაქმებულები არალეგალურადაა. მათ უმრავლესობას (73%) სამუშაო კონტრაქტი დამქირავებელთან წერილობით არცა აქვთ გაფორმებული, რის შედეგადაც სოციალურად სრულიად დაუცველნი არიან.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ სულ უფრო იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა, რაც საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს უფრო მეტად აძლევს ემიგრირებულის რეგისტრაციის შესაძლებლობას. გამოვლინდა ისიც, რომ გარკვეული ვადით სამუშაო ძალის ორგანიზებულად გაყვანის შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეების უკან დაბრუნების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია (93%). აქედანაც ჩანს ემიგრირების ორგანიზების ფორმების ლეგალიზებისა და სახელმწიფო კონტროლის საჭიროება და უპირატესობა.

რაც შეეხება ემიგრაციული ცხოვრების ხანგრძლივობას, შრომით ემიგრანტთა 65% ბოლო 3 წლის მანძილზეა წასული საზღვარგარეთ, 8% კი ექვს წელზე მეტი ხანია ემიგრირებული. ამ უკანასკნელთა შრომითი ემიგრაციის სტაციონარულ მიგრაციაში გადაზრდის ალბათობა ძლიერ დიდია. დაბრუნებულთა გამოკითხვით კი გამოირკვა, რომ მათი 78%-ისთვის ემიგრაცია გაგრძელდა 1-დან 3 წლამდე.

გამოვლინდა, რომ შრომით ემიგრაციაში მონაწილეობს თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი:

– შრომით ემიგრანტთა ნაკადის 40% მდებარეობს სქესის წარმომადგენელია. ეს სრულიად ახალი სოციალური მოვლენაა საქართველოში. საერთოდ, ქალების საშოვარზე სიარული ბოლო დრომდე საზოგადოებრივი აზრისთვის სრულიად მიუღებელი იყო. გამოკვლევით გამოვლინდა ქალი ემიგრანტების წილის დიდი ვარიაციული განსხვავება საქართველოს რეგიონების მიხედვით. დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი) მიგრაციულ ნაკადებში ქალები უმეტესობას წარმოადგენენ (57%), ხოლო სხვა რეგიონებიდან მთლიან მიგრაციულ ნაკადში ქალთა წილი მხოლოდ 26%-ია. გლობალიზაციის პროცესში მიგრაციის ფემინიზაცია მიიჩნევა შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად და გენდერულ თანასწორობაში ერთ-ერთ მიღწევად, მაგრამ საქართველოს ოჯახები ქალების საზღვარგარეთ მუშაობას მძიმედ განიცდიან და გამოუვალი მდგომარეობით ხსნიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მოსახლეობისთვის შრომითი ემიგრაციის განსაკუთრებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას;

– საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან კონტინგენტი გამოირჩევა ასაკობრივი განაწილების მეტ-ნაკლები სითანაბრით. მხოლოდ თბილისის «პრესტიჟული» რაიონებიდან ემიგრაციაში იკვეთება ახალგაზრდათა დიდი წილი. რაც შეეხება იმიგრაციის ქვეყნებს, ყველაზე ახალგაზრდაა გერმანიაში წასული ნაკადი, ხოლო ყველაზე ხანდაზმულია საბერძნეთში ემიგრირებული მოსახლეობა;

– შრომით ემიგრანტთა ნახევარზე მეტი დაოჯახებულია (57,3%), მესამედზე მეტი კი (35,1%) ქორწინებაში არასდროს ყოფილა, განსაკუთრებით თბილისის «პრესტიჟულ» რაიონებში (45%);

– გამოკვლევულ შრომით ემიგრანტთა 80% ქართველია, მაგრამ რუსთავისა და ახალქალაქის მიგრანტებს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენი რეგიონებიდან წასულ ნაკადში ამჟამად 95%-ზე მეტი ქართველი მოსახლეობაა. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში დაწყებული არაქართველი მოსახლეობის ინტენსიური შრომითი ემიგრაცია სტაციონარულში გადაიზარდა და, საბოლოოდ, მუდმივ საცხოვრებლად საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე გადავიდა;

– შრომით ემიგრანტთა ნაკადი გამოირჩევა მეტად მაღალი განათლების დონით. უმაღლესი განათლებითაა მათი 52,5%, რომელთა ემიგრაციით მცირდება ქვეყნის ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალი. მიუხედავად შრომით ემიგრანტთა ნაკადის მაღალი კვალიფიკაციისა, ისინი დასაქმებული არიან უკიდურესად დაბალკვალიფიციურ

სამუშაოებზე დისკრიმინაციული ანაზღაურებით. ემიგრანტთა მხოლოდ 12% მუშაობს პროფესიისა და განათლების შესაბამისად;

– შრომით ემიგრანტთა არალეგალური დასაქმება კიდევ უფრო აუარესებს მათ შრომისა და ყოფის პირობებს. მიგრანტთა ძირითადი ნაწილი ცხოვრობს არახელსაყრელ საბინაო პირობებში, უმეტესწილად მეგობრებთან ერთად დაქირავებულ არაკომფორტულ ბინებში (27,8%), ან საერთო საცხოვრებელში (16,5%), ნაწილი კი (20%) თვით სამუშაო ადგილზე (მომვლელები, დამლაგებლები, ძიძები). როგორც გამოკვლევით გამოირკვა, შედარებით უკეთესი საბინაო პირობებია რუსეთში, აქ ემიგრანტთა 11%-მა საკუთარი ბინის შექმნაც მოახერხა;

– ემიგრანტთა პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმება, მითუმეტეს, არალეგალურ ვითარებაში, შრომით და ყოფით გარემოსთან შეგუებადობას მეტად ართულებს. ამკარად გამოიკვეთა, რომ უცხო პირობებში შედარებით ადვილად ადაპტირდება ახალგაზრდობა. საერთოდ კი, განხორციელებული შრომითი ემიგრაციით კმაყოფილია რესპონდენტთა 65%. ისინი შექმნილ რეალობაში ემიგრაციას უალტერნატივო გამოსავლად მიიჩნევენ;

ემიგრაციის მთავარი მიზანია აქ დარჩენილი ახლობლებისათვის ფულის გამოგზავნა. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. რესპონდენტთა 56,3%-ის აზრით, მათი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყაროა, 28,7% კი მას შემოსავლის ნაწილობრივ წყაროდ მიიჩნევენ.

თავიანთ ოჯახს ფულს უგზავნის შრომითი ემიგრანტების 80,2%. გამოკვლევით გამოვლინდა, რომ ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში საშუალოდ შეადგენს 744 აშშ დოლარს, ხოლო გზავნილი თვეში – 178,5 დოლარს. თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოდან გასულია 300-400 ათასი შრომითი ემიგრანტი, გამოვა, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად ვალუტის სახით შემოდის 650-850 მლნ აშშ დოლარი.

გამოკითხვის მიხედვით, საზღვარგარეთიდან მიღებული თანხა ძირითადად საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება, ამავე დროს დადგინდა, რომ შრომით ემიგრანტთა 17,2%-ისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს დასავლური განათლების მიღებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ემიგრაციის გამო თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება რესპონდენტებს არ მიუთითებიათ, თუმცა არცთუ მცირე რაოდენობაა, ვინც ანკეტაში დასახელებული ვერცერთი პრობლემის გადაჭრა ვერ მოახერხა (პასუხების 9,8%).

ამრიგად, დადგინდა ფულადი გზავნილების, როგორც საქართველოში სიღარიბის დაძლევის ფაქტორის დიდი მნიშვნელობა. შრომითი ემიგრაციის შედეგად შრომის ეროვნულ ბაზარზე ზეწოლა შესუსტდა, საქართველოში დამატებითი ვალუტა შემოვიდა, ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის დეფიციტი შემცირდა, მოსახლეობის დანა-ზოგები გაიზარდა.

გამოვლინდა, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება კვლავაც დიდ სტიმულს აძლევს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. ამიტომ შრომითი ემიგრაცია ჯერ კიდევ შეინარჩუნებს ინტენსიურ ხასიათს. დასტურდება სტუდენტი ახალგაზრდობის მაღალი ემიგრაციული განწყობა (61%); ეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ საფრთხეს ქმნის. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რეგულირების მოქნილი მექანიზმის ფორმირების შემთხვევაში ახალგაზრდობის

ზომიერ შრომით ემიგრაციას შეუძლია, ნაწილობრივ, დადებითი როლიც ითამაშოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. ფულადი გზავნილების გარდა, გასათვალისწინებელია დაბრუნებული ახალგაზრდობის მიერ მიღებული პროფესიული გამოცდილება და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისათვის საჭირო ჩვევები.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების მიგრაციულ განწყობას აძლიერებს ოჯახის ემიგრირებული წევრების უცხოეთში ყოფნა და იქ ადაპტაციის ხარისხი. ამიტომ ემიგრანტთა 20,3%-ს განზრახული აქვს ახლობლების საზღვარგარეთ სამუშაოდ წაყვანა. ამასთან, დაბრუნებულებს ხშირად უძნელდებათ რეინტეგრაციის პროცესი. მეტიც, უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, ბევრ მათგანს კვლავ სურს ხელმეორედ ემიგრაცია და თავის თანამემამულეებსაც მოუწოდებს (45%) გაჭირვებიდან თავდაღწევის საშუალება ეძებონ საზღვარგარეთ, თუნდაც არალეგალური ფორმით მუშაობაში.

დადგინდა, რომ საქართველოში დაბრუნება მყარად აქვს გადაწყვეტილი შრომით მიგრანტთა უმრავლესობას (56%). თუმცა ემიგრაციის პერიოდის გაზრდასთან და, შესაბამისად, ადაპტაციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად მიგრანტთა მესამედისთვის დაბრუნება საჭოჭმანო ხდება (31,3%). რესპონდენტები დაბრუნების უმთავრეს წინაპირობად ეკონომიკური ხასიათის მიზეზებს ასახელებენ (71%), ამიტომ რეემიგრაციული პოტენციალი ჯერჯერობით სუსტია.

შრომითი მიგრაციის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ბაზის ანალიზისას დადგინდა, რომ ამჟამად არსებული კანონმდებლობა არასრულყოფილი და სავსებით შეუსაბამოა საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესებისა. შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისთვის უმთავრესი მნიშვნელობის აქტი, კანონპროექტი «შრომითი მიგრაციის შესახებ», ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. სამწუხაროა, რომ ეს პროექტი ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და არ შეიცავს მიგრაციის მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმებს, მაშინ როცა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და ნორმატიულ აქტებთან ერთად, სწორედ, ის უნდა გახდეს შრომითი მიგრაციის ეფექტიანობის ამაღლების, ლეგალიზაციისა და რეგულირების ძირითადი ბერკეტი.

ამრიგად, არსებული ვითარება სახელმწიფოსგან მოითხოვს შესაბამისი მიგრაციული პოლიტიკის გატარებას. შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის შესამუშავებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გათვალისწინებული იქნეს შემდეგი წინადადებანი:

- აუცილებელია მეცნიერული კვლევების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის კონცეფციისა და ქვეყნის რეგიონული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი ემიგრაციის რეგულირებას, რომელიც ამჟამად ფაქტობრივად არალეგალური ხასიათისაა. ამ მხრივ უმთავრესია შრომითი მიგრაციის ლეგალიზაცია-რეგულირების ერთიანი სისტემის შექმნა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მიმღები ქვეყნის ყველა შესაბამის სტრუქტურასთან;

შრომითი მიგრაციის ლეგალიზაციის პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: ა) საინფორმაციო ცენტრების ქსელის შექმნის გზით (სახელმწიფო-თაშორის, ქვეყნის, მხარეების და რაიონულ დონეზე) საზღვარგარეთ სამუშაოდ მოწყობის

შესაძლებლობებზე ინფორმირების გაუმჯობესება; ბ) წარმატებით მომუშავე დასაქმების კერძო სააგენტოებისა და საერთაშორისო კულტურულ-გაცვლითი პროგრამების წახალისება; გ) პოტენციური მიგრანტების მომზადება-გადამზადების ცენტრების, უცხო ენის შემსწავლელი კურსების ჩამოყალიბება; დ) ახალგაზრდების (სტუდენტების) შრომითი მიგრაციის ოპტიმიზაციისათვის უმაღლეს და საშუალო პროფესიული სასწავლო დაწესებულებებთან როგორც სახელმწიფო, ისე ალტერნატიული ფორმების შექმნა და განვითარება; არდადეგების პერიოდში ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტების შრომითი კონტრაქტით საზღვარგარეთ წასვლისთვის მატერიალური დახმარების გაწევა, სესხების მიცემა და ა.შ.;

- შრომითი მიგრაციის ლეგალიზების მიზნით თანამშრომლობა პირველ რიგში იმ ქვეყნებთან უნდა გაძლიერდეს, საითაცაა მიმართული საქართველოდან შრომით ემიგრანტთა ძირითადი ნაკადები (რუსეთი, საბერძნეთი, გერმანია, აშშ.);

- მიღწეულ უნდა იქნეს შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთა-შორისი თანამშრომლობა \_ დროებითი დასაქმების მიზნით მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრებზე საქართველოს მოქალაქე-მიგრანტების დაშვებისათვის მათი პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის გათვალისწინებით;

- ხელშეკრულებებში უნდა აისახოს შრომით მიგრანტთა პროფესიის შესაბამისად დასაქმების უფლება, სოციალური დაცვისა და შრომის დისკრიმინაციული ანაზღაურების გამორიცხვის მოთხოვნები;

- ხელმისაწვდომი და უფრო დეტალური გახდეს ინფორმაცია მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრის ვითარებაზე \_ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ რაოდენობრივ და პროფესიულ ჭრილში;

- შემუშავდეს საქართველოს მოსახლეობისთვის საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამები მათი პროფესიული მომზადება-გადამზადების მიზნით;

- დაუახლოვდეს საქართველოში მიღებული განათლება კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების საერთაშორისო სტანდარტებს;

- «ტვინების გადინების» პრობლემის დაძლევის \_ აქ დარჩენილ მაღალკვალიფიციურებულთა დახმარების გაწევისა და სპეციალისტების სამშობლოში დაბრუნების მიზნით გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ღონისძიებების შემუშავება-რეალიზაცია: ა) ქვეყანაში შრომის პირობების გაუმჯობესება; ბ) სამეცნიერო კვლევებში ინვესტიციების გაზრდა; გ) ორმაგი მოქალაქეობის დაშვება; დ) სოციალური უზრუნველყოფის სხვა ქვეყანაში გადატანის შესაძლებლობა; ე) მეცნიერულ საფუძველზე პროგნოზების დამუშავება შესაძლო ინტელექტუალური მიგრაციის, მისი ინტენსიობის, სტრუქტურის, სამეცნიერო მიმართულებებისა და პროფესიების მიხედვით; ვ) ინტელექტუალური შრომითი რესურსების სოციალური სტატუსის ამაღლება «ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე» კანონის მიღებით; ზ) მოცემული ჯგუფების მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; თ) სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ინტელექტუალური ემიგრაციის შედეგად შედარებით უფრო დაზარალებული სამეცნიერო მიმართულებებისა და ორგანიზაციების განსაზღვრა მათი ფინანსური დახმარების მიზნით<sup>103</sup>;

<sup>103</sup> International Migration, Remittances, and the Brain Drain. Edited by Maurice Schiff, Çağlar Özden. World Bank. October, 2005. p. 288. [http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item\\_id=5084022](http://publications.worldbank.org/ecommerce/catalog/product?item_id=5084022)



უცხოეთში ქართველთა სათვისტომოსა და ემიგრანტებთან ურთიერთობის სამსახურის ურთიერთდახმარებით შესაძლებელია, შეიქმნას ქართველ ემიგრანტთა მონაცემთა ბაზა (საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი);

- დაინერგოს საბანკო კრედიტებით პროფესიული განათლების მიღების მსოფლიოში ფართოდ გამოყენებული ეფექტიანი სისტემა<sup>104</sup>;

- შემუშავდეს ახალგაზრდების რეემიგრაციის სტიმულირების პროგრამები, კერძოდ: ა) მიეცეს სხვადასხვა ეკონომიკური შეღავათები იმ ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც სტუდენტ-ახალგაზრდობას დაიქირავებს სამუშაოზე; ბ) მაქსიმალურად სტიმულირდეს ის სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ მოკლევადიანი პერიოდით ახალგაზრდების საზღვარგარეთ დასასაქმებლად კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებს, მოხდეს მათი სრული ლეგალიზაცია; გ) გაძლიერდეს თანამშრომლობა ახალგაზრდებთან მცირე ბიზნესის წამოწყებასა და წარმართვაში;

- მოწესრიგდეს სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სავალუტო შემოსავლის მიღების სისტემა, გაუმჯობესდეს და გამარტივდეს ოფიციალური საბანკო სისტემით ვალუტის გადმორიცხვა და შემცირდეს გადმორიცხვის ხარჯები;

- ხელი შეეწყოს ემიგრანტთა დაინტერესებას საქართველოს ბიზნესში ფულადი გზავნილების დასაბანდებლად;

- სრულყოფილ იქნეს მიგრაციის სტატისტიკა და გაიზარდოს სტატისტიკური სამსახურების პასუხისმგებლობა მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე;

- აუცილებელია საქართველოში ერთიანი მიგრაციული სამსახურის შექმნა, რომელიც დააკავშირებს სახელმწიფო სტრუქტურებში გაბნეულ მიგრაციის მაკონტროლებელ ორგანოებს;

- კრიტიკულად გადაისინჯოს ტურისტული ფირმებისა და დასაქმების კერძო სააგენტოების რეგისტრაციის, ლიცენზირების სისტემა და მსურველთა საზღვარგარეთ გაყვანის ორგანიზების ფორმები;

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დსთ ქვეყნებთან თანამშრომლობას მრავალდარგოვანი მაკონტროლებელი სტრუქტურების შექმნის გზით. გააქტიურდეს არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის გამოსავლინებლად ინფორმაციის გაცვლა და, საერთოდ, აღნიშნული პროცესების ერთობლივი მონიტორინგი.

- არალეგალური მიგრაციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა გაძლიერდეს საზოგადოების ინფორმირება და გათვინობიერება მიგრაციული პროცესების თაობაზე. პოტენციურ შრომით მიგრანტთათვის შეიქმნას სპეციალური ცენტრები, სადაც მიიღებენ კომპეტენტურ და უფასო საკონსულტაციო მომსახურებას;

- არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის ორგანიზატორთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) ქონების კონფისკაციის შედეგად მიღებული სახსრებით შეიქმნას არალეგალურ მიგრანტთა რეემიგრაციისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების ფონდი;

- უნდა შეიცვალოს პრაქტიკა, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკაში გადაამწყვეტია მიმღები ქვეყნების ინტერესების დაცვა. თანაბრად უნდა

<sup>104</sup> Использование образовательных кредитов за рубежом. Авторский коллектив. //Электронный журнал «Демоскоп», №189-190. [www.demoscope.ru](http://www.demoscope.ru).

გაითვალისწინონ სამუშაო ძალის როგორც მიმღები, ისე გამგზავნი ქვეყნების ინტერესები;

- დაჩქარდეს საქართველოს მიერთება გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ კონვენციებთან, რომლებიც ხელს უწყობენ შრომითი ემიგრაციის რეგულირებას. ეს ფაქტობრივად შექმნის საქართველოში შრომითი მიგრაციის რეგულირების საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას;

- დაჩქარდეს «შრომითი მიგრაციის შესახებ» კანონის მიღება, სადაც სრულყოფილად აისახება შრომითი მიგრაციის სახელმწიფოებრივი რეგულირების სტრატეგიული ამოცანები და მისი განხორციელების მექანიზმები, კერძოდ, სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტზე ნებართვების სისტემა.

ამრიგად, შრომით ემიგრაციას, მიუხედავად თანმხლები მწვავე სოციალური პრობლემებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის. მისი მართვა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ეკონომიკური აღმავლობის დაწყების კვალდაკვალ შრომითი მიგრაციის ინტენსივობა შესუსტდება, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტი უფრო ეფექტიანი გახდება.

## ТРУДОВАЯ ЭМИГРАЦИЯ ИЗ ПОСТСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

### резюме

Наблюдаемые после развала Советского Союза всеохватывающий кризис в Грузии, экономический коллапс, резкое падение уровня жизни, возникшая безработица, этноконфликты, бессилие тогдашнего правительства вызвали интенсивную трудовую эмиграцию населения страны.

Несмотря на некоторую стабильность экономической и политической ситуации, в настоящее время интенсивность трудовой эмиграции не снижается. Она стала одним из путей обеспечения прожиточного минимума для населения Грузии, при этом выявились основные страны эмиграции и главные потоки эмигрантов. Вместе с тем все более возрастает величина и значение денежных переводов трудовых эмигрантов на родину. Переводы наряду с удовлетворением бытовых потребностей населения, со временем превращаются и в капитал семей мигрантов для ведения малого бизнеса. Трудовая эмиграция с экономической точки зрения постепенно становится все более эффективной и целенаправленной. В то же время значительно обостряются проблемы, вызванные трудовой эмиграцией в аспекте социально-демографической, морально-нравственной и национальной безопасности.

Трудовая эмиграция населения Грузии в основном носит нелегальный характер, что во многом осложняет бытовые условия и затрудняет занятость эмигрантов за границей и в целом предопределяет снижение эффективности трудовой эмиграции. Поэтому необходимо активное участие государства в ее регулировании, организационном упорядочении, оптимизации миграционных потоков, что невозможно без ее научного изучения.

Научное исследование проблем трудовой миграции в Грузии ведется около 10 лет. Первая работа «Трудовая эмиграция населения Грузии» была опубликована автором в 2000 г. Широкое исследование осуществлено в 2003 г. в виде гранта Международной организации по миграции при участии проф. М. Тухашвили, проф. М. Гоциридзе, доц. Ц. Антадзе, доц. М. Шелия. Центром исследования миграции ТГУ изданы два сборника научных трудов по проблемам миграции, в которых главное внимание уделено изучению трудовой эмиграции.

В данной работе главным источником информации представляются материалы конкретных социологических исследований, осуществленных в 1999-2005 гг. с целью изучения трудовой эмиграции в различных регионах Грузии при непосредственном участии автора.

Автор разделяет мнение о том, что трудовая эмиграция является пересечением на определенное время (как правило, на 3 месяца и более) государственной границы с целью трудоустройства и получения дохода за границей. Она считается гибким социальным стабилизатором для преодоления экономического и политического кризиса, средством улучшения материального благосостояния, фактором формирования среднего слоя населения и рыночных отношений, способом обмена практическим опытом, профессиональными знаниями и культурой. Она оказывает огромное влияние на развитие домашнего хозяйства, на образ и качество жизни населения.

Мировой опыт свидетельствует, что в том случае, когда в условиях политико-экономического кризиса власть не регулирует рынки труда, начинает действовать

массовый процесс – трудовая эмиграция. По оценке экспертов, которую разделяет и автор, влияние трудовой миграции на мировую экономику позитивное. От трудовой миграции получают выгоду мигранты, наниматели, бюджет принимающей страны, оставшаяся в стране эмиграции рабочая сила и семьи эмигрантов. Несут убытки конкурирующие рабочие в принимающем государстве и предприниматели страны выбытия.

Теоретическое изучение трудовой миграции показало, что международная трудовая миграция является естественной частью глобальной экономической интеграции и, подобно основанному на получении двухсторонней выгоды капиталу и потокам товара, она требует максимизации прибыли как для отправляющей, так и принимающей страны и ориентации на минимизацию затрат.

Рассмотрение протекающих в Грузии миграционных процессов по какой-либо конкретной теории невозможно. Существующей миграционной ситуации в большей степени соответствует т.н. синтетическая модель.

При исследовании проблем управления трудовой миграцией населения Грузии первоочередной задачей следует считать изучение и учет состава мигрирующего контингента. По мнению автора, пограничная статистика и административные источники (регистр населения, перепись населения, разрешение на местожительство) не всегда предоставляют необходимую информацию о точной численности трудовых мигрантов и продолжительности миграции. В этом отношении сравнительно больше информации может дать один из видов административного источника – система разрешений на экспорт-импорт рабочей силы, фактически не существующая в нашей стране. Поэтому наряду с официальными источниками информации необходимо проведение специально организованных выборочных исследований – сбор информации путем интервьюирования, что является главным источником информации в представленном научном труде.

Как было отмечено, официальная статистическая информация о трудовой миграции населения Грузии не является полной. В такой ситуации, известные эксперты изучение трудовой миграции осуществляют путем опроса заменяющих респондентов, или членов семьи и родственников трудовых мигрантов. Проведенное автором этим методом исследование охватило 1132 заменяющих респондентов, а в более узком масштабе стало возможным анкетирование непосредственно трудовых эмигрантов. Опрос части из них (125 эмигрантов) произведен непосредственно в принимающих странах, также были исследованы вернувшиеся из трудовой эмиграции и приехавшие на время (150 респондентов). Кроме того, были изучены молодые трудовые мигранты через интернет путем их интервьюирования (96 респондентов).

Поскольку миграционные процессы играют большую роль в жизненной стратегии молодежи, была рассмотрена и потенциальная трудовая молодежная эмиграция (опрошено 500 лиц в возрасте 17-30 лет).

На основе материалов указанных исследований выявлено, что трудовая эмиграция по своим масштабам, структуре и интенсивности, влиянию на развитие страны, многосторонним социально-экономическим результатам, нелегальным характером и сложности управления представляет собой острейшую проблему для современной Грузии. Экономическое падение в 1990-х годах проявилось в ухудшении всех главных экономических показателей. В частности, в 1990-1995 гг. объем валового внутреннего продукта на душу населения снизился с 2530 до 440 долларов США. Численность занятых

в национальном хозяйстве сократилась более чем на 1 млн. человек. Безработица намного превысила известный в мировой практике предельный критический показатель.

Причины эмиграции из Грузии преимущественно экономического характера (80%) и, несмотря на вызванные ею острые социальные проблемы, она имеет важное значение для обеспечения прожиточного минимума населения в критической ситуации. Тем более в тех условиях, когда большинство (58%) оставшихся в стране семей трудовых эмигрантов ежемесячно получают доход менее 100 лари, а 17,4% вообще не имеют никакого дохода. Необходимо отметить, что до выезда за рубеж 47,6% эмигрантов были безработными.

Из-за глубокого кризиса трудовая эмиграция охватила всю Грузию. Однако во внешнемиграционных процессах городское население участвует более активно, а сельское население частично вовлечено во внутреннюю трудовую миграцию в направлении из села в город.

Установлено, что мигранты на работу выезжают в основном в 4 страны: в Россию (52,6% трудовых эмигрантов), в Грецию (11,2%), в Германию (11%) и в США (8,2%). Главное направление трудовой эмиграции из административных сельских районов – Российская Федерация. Доля этого направления в общем потоке колеблется в пределах 50-75%.

Материалами исследования выявлено, что в постсоветском периоде направление трудовой миграции из Грузии изменилось: первоначально вектор перемещения мигрантов однозначно был направлен в Россию и Турцию. В дальнейшем оно постепенно изменилось в сторону Западной Европы и США, особенно после введения Россией визового режима с Грузией. В составе потока в направлении на Запад преобладают, исходя из спроса тамошнего рынка труда, женщины в возрасте до 45 лет, выехавшие «наудачу» мужчины и эмигрировавшая с трудо-образовательной целью молодежь.

В миграционных потоках постепенно возрастает миграция т.н. «элиты», или высококвалифицированных специалистов. «Утечка мозгов», по мнению автора, обусловит значительные проблемы в экономическом и научно-технологическом развитии Грузии.

Анализом форм организации трудовой эмиграции установлено, что большинство мигрантов (60%) надеется на помощь родственников и друзей. Желающие выехать в надежде на помощь знакомых организацию эмигрирования (транспортирование) осуществляют через туристическое агентство и выезжают в основном по гостевым и туристическим визам, срок действия которых в большинстве случаев до 3-х месяцев. Ввиду этого не менее 70% мигрантов находятся за границей нелегально и соответственно работают нелегально. Их большинство (73%) не имеет письменно оформленного рабочего контракта с нанимателем, в результате чего они социально вовсе не защищены.

Исследование показало, что все более возрастает использование культурно-просветительных программ и программ обмена студентами, что в случае необходимости дает государству возможность вести регистрацию эмигрировавших. Выявлено и то, что при организованном вывозе рабочей силы на определенный срок намного выше (93%) показатель возвращения наших граждан на родину. Это также явствует о необходимости и преимуществе легализации и государственного контроля организационных форм эмигрирования.

Относительно продолжительности эмиграционной жизни следует отметить, что 65% трудовых эмигрантов выехали за рубеж за последние 3 года, а 8% эмигрировали более

шести лет тому назад. Вероятность превращения трудовой эмиграции последних в стационарную миграцию весьма высока. Опрос же вернувшихся показал, что для 78% из них эмиграция продолжилась от 1 года до 3 лет.

В то же время выяснилось, что в трудовой эмиграции участвуют почти все социально-демографические группы:

- в потоке трудовых эмигрантов 40% женщины. Это совершенно новое социальное явление для нашей страны. В Грузии в целом выезд женщин на работу до кризисного периода был неприемлем для общественного мнения. Исследованием установлено большое вариационное различие доли женщин-эмигрантов по региону Грузии. В миграционных потоках из крупных городов (Тбилиси, Рустави, Кутаиси, Батуми) большинство (57%) составляют женщины, а в миграционных потоках в целом из других регионов доля женщин равна лишь 26%. Феминизация миграции вызванная процессом глобализации, считается новым этапом развития трудовой миграции и одним из достижений в гендерном равновесии, однако совершенно другое положение наблюдается в Грузии. Исследование свидетельствует, что эмиграция женщин из Грузии обусловлена весьма сложным экономическим положением и создает острые социально-демографические проблемы;

- контингент эмигрантов почти из всех регионов Грузии равномерен по возрастному составу. Только среди эмигрантов из «престижных» районов Тбилиси наблюдается высокая доля молодежи. При этом наиболее молодым является поток выехавших в Германию, а наиболее старым – эмигрировавшее в Грецию население;

- более половины трудовых эмигрантов (57,3%) семейные, более трети (35,1%) никогда не состояли в браке, особенно в «престижных» районах Тбилиси (45%);

- среди опрошенных трудовых эмигрантов 80% грузины, однако за исключением мигрантов из Рустави и Ахалкалаки, в остальных выехавших из других регионов потоках в настоящее время более 95% составляет грузинское население. Интенсивная трудовая эмиграция негрузинского населения в первой половине 1990-х годов переросла в стационарную и оно окончательно на постоянное жительство переехало на собственную этническую территорию;

- поток трудовых эмигрантов характеризуется весьма высоким уровнем образования. Из них 45% имеют высшее образование, поэтому их эмиграция обуславливает снижение интеллектуального и трудового потенциала страны.

- несмотря на высокий уровень квалификации потоков трудовых эмигрантов, они трудоустроены на весьма низкоквалифицированных работах с дискриминационной оплатой. Только 17,6% эмигрантов работают по профессии и в соответствии с уровнем их образования (табл. 1).

Таблица 1

**Распределение трудовых эмигрантов по имеющейся на родине профессии и занятости за границей (в % к сумме)**

Профессия, по которой работал на родине	Учитель	Врач	Инженер	Экономист	Медсестра	Водитель	Ремесленник	Эл.механик	другое	Не имеет профессии

Сиделкой	37,4	23,1	9,4	12,7	29,3	-	7,1	16,7	10,9	12,1
Нянькой	5,4	-	2,4	4,7	5,9	-	-	-	1,6	6,6
Официантом (кой)	3,6	7,7	-	1,2	5,9	-	-	-	8,0	8,2
Уборщиком (цей)	8,9	3,9	3,5	1,2	5,9	-	-	-	4,7	4,8
Вспомогательным рабочим	10,7	15,4	32,7	21	17,7	41,3	53,6	55,3	28,1	34,3
Авторемонтником	-	-	1,2	3,4	-	-	17,9	16,7	15,0	1,8
На сельскохозяйственной ферме, сезонным рабочим	1,8	-	-	1,2	-	6,5	3,6	-	-	6,6
Водителем	1,8	3,9	5,9	1,2	-	39,1	7,1	-	3,1	3,6
Продавцом (щицей)	5,4	-	1,2	9,3	5,8	-	-	-	4,7	5,6
Врачом	-	15,4	-	-	-	-	-	-	-	-
Медсестрой	-	-	-	-	17,7	-	-	-	--	-
Имеет собственный бизнес	-	3,8	20,0	10,5	-	13,1	10,7	5,7	15,6	6,6
Имеет высшее образование и работает по специальности	10,7	11,5	16,5	11,6	-	-	-	-	-	-
Учится	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,6
Учится и работает	7,1	11,5	1,2	12,8	-	-	-	-	-	4,2
Торгует	1,8	-	-	1,1	11,8	-	-	-	8,3	0,6
Рядовой сотрудник учреждения	1,8	-	-	1,1	-	-	-	-	-	1,8
Спортсмен	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,6
Другое	3,6	3,8	5,7	7,0	-	-	-	5,6	-	-
Всего	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

- нелегальная занятость трудовых эмигрантов еще более ухудшает условия их труда и быта. Основная часть мигрантов проживает в неудовлетворительных жилищных условиях, преимущественно в нанятых совместно с друзьями дешевых некомфортных квартирах (27,8%) или в общежитиях (16,5%), а часть (20%) непосредственно на месте работы (сиделки, уборщицы, няни). Как выяснилось исследованием, сравнительно благоприятные жилищные условия эмигранты имеют в России, где 11% из них смогли приобрести собственную квартиру;

- занятость эмигрантов, не соответствующая их профессии и квалификации, тем более в нелегальной ситуации, весьма осложняет адаптацию к новым условиям труда и быта. Определено, что к чужой среде сравнительно легко адаптируется молодежь. В целом же осуществленной трудовой эмиграцией довольны 65% респондентов. Они в создавшейся ситуации эмиграцию считают безальтернативным выходом.

Главной целью эмиграции является пересылка денег оставшимся на родине родственникам. Это имеет решающее значение для удовлетворения потребностей первой необходимости. По мнению 56,3% респондентов, их переводы представляют собой основной источник доходов оставшихся на родине семей, 28,7% считают их частичным источником доходов.

Своим семьям высылают деньги 80,2% трудовых эмигрантов. Материалами исследования установлено, что месячный доход одного эмигранта в принимающей стране составляет в среднем 744 доллара США, а переводы в месяц – 178,5 доллара (табл. 2).

Если предположить, что из Грузии выехало 300-400 тыс. трудовых эмигрантов, то получается, что ежегодно в нашу страну из-за границы в виде валюты поступает 650-850 млн. долларов США.

В соответствии с материалами опроса высланная из-за рубежа сумма используется в основном на удовлетворение бытовых потребностей. В то же время установлено, что для 17,2% трудовых эмигрантов большое значение имеет получение европейского образования. Примечательно, что респонденты не отметили ухудшения их экономического положения в результате эмиграции, хотя существенно число тех, кто не смог решить ни одной приведенной в анкете проблемы (9,8% ответов).

Таблица 2

**Средний размер доходов трудовых эмигрантов и их денежных переводов в Грузию  
(доллары США)**

Регион исследования Страны иммиграции		По ответам заменяющих респондентов								
		г. Тбилиси	г. Рустави	г. Тквибули	Ахалкалакский район	Амбролаурский район	А/Р Аджария	Сенаки-Зугдидский р-н	Телавский район	В среднем
<b>Россия</b>	доходы	529	640,5	397,2	260	<b>594,6</b>	<b>462,9</b>	<b>432</b>	<b>816,7</b>	529,2
	переводы	155,5	211	126,9	65	<b>167</b>	<b>178,7</b>	<b>165</b>	<b>366,6</b>	179,5
<b>Греция</b>	доходы	711,6	781,8	540	-	<b>566</b>	<b>503,7</b>	<b>780</b>	<b>575</b>	646
	переводы	150,4	141	102	-	<b>206,3</b>	<b>222,2</b>	<b>574</b>	<b>237,5</b>	204,2
<b>Германия</b>	доходы	658,7	652,4	475	-	<b>700</b>	<b>2162</b>	<b>560</b>	<b>440</b>	706
	переводы	127	100	132,9	-	<b>112,5</b>	<b>456</b>	<b>200</b>	<b>210</b>	167,3
<b>США</b>	доходы	2079	1764	1227	-	<b>1233</b>	<b>2346</b>	<b>1840</b>	<b>2140</b>	1467
	переводы	404	272,7	254	-	<b>258</b>	<b>552</b>	<b>662</b>	<b>675</b>	397,3
<b>Израиль</b>	доходы	1071	800	-	-	<b>700</b>	<b>1521</b>	-	-	682,1
	переводы	275,7	150	-	-	<b>500</b>	<b>685</b>	-	-	268,5
<b>Бельгия</b>	доходы	783	-	700	-	-	-	<b>674</b>	<b>900</b>	526,2
	переводы	272	-	100	-	-	-	<b>225</b>	<b>550</b>	232,9
<b>Другие страны Европы</b>	доходы	791	812,5	466,6	300	-	<b>858</b>	<b>735</b>	<b>907,6</b>	683,8
	переводы	150,3	221,3	66	50	-	<b>294</b>	<b>156</b>	<b>320</b>	157,2
<b>Турция</b>	доходы	350	425	-	-	<b>308</b>	<b>683,3</b>	-	-	441,6
	переводы	75	135	-	-	<b>156</b>	<b>233,3</b>	-	-	149,8
<b>Армения</b>	доходы	-	-	-	90	-	<b>189</b>	-	-	132
	переводы	-	-	-	19,6	-	<b>52</b>	-	-	29,8
<b>Азербайджан</b>	доходы	-	200	-	-	-	-	-	-	200
	переводы	-	-	-	-	-	-	-	-	-
<b>Украина</b>	доходы	-	-	<b>208</b>	-	-	-	<b>412</b>	-	310
	переводы	-	-	<b>112</b>	-	-	-	<b>117</b>	-	115
<b>Другие страны</b>	доходы	2311	833	200	-	<b>600</b>	<b>3066</b>	<b>618</b>	-	1089
	переводы	169,2	177	50	-	<b>109,4</b>	<b>267</b>	<b>108</b>	-	125,8
<b>Всего</b>	доходы	1053	813	506	252,9	<b>614</b>	<b>1148,4</b>	<b>433</b>	<b>997</b>	744
	переводы	207	169,8	135	63	<b>173,2</b>	<b>281,1</b>	<b>157,2</b>	<b>271,4</b>	178,5



Таким образом, определено большое значение денежных переводов как фактора преодоления бедности в Грузии: вследствие внешней трудовой миграции уменьшилась нагрузка на национальный рынок труда, в Грузию поступил дополнительный объем валюты, снизился дефицит платежного баланса страны, возросли сбережения населения.

Выявлено, что создавшееся в Грузии сложное экономическое положение во многом стимулирует интенсивные внешнемиграционные процессы. Поэтому все еще будет сохраняться интенсивный характер трудовой эмиграции. Подтверждается возросшее эмиграционное настроение среди студенческой молодежи (61%), обуславливающее значительную экономическую, социальную и демографическую опасность. Надо отметить и то, что в случае создания гибкого механизма регулирования умеренная трудовая эмиграция молодежи может в некоторой мере сыграть положительную роль в ускорении социально-экономического развития страны. Кроме денежных переводов, следует учесть приобретенный профессиональный опыт вернувшейся молодежи и необходимые ее навыки для формирования демократического общества.

Исследование показало, что миграционная установка оставшихся на родине членов семьи усиливается пребыванием за границей эмигрировавших членов семьи и качеством адаптации к новым условиям. Ввиду этого 20,3% эмигрантов намерены вывезти своих родственников на работу за границей. При этом среди вернувшихся часто затруднен процесс реинтеграции. Более того, несмотря на неудачный опыт, многие из них желают вновь выехать в эмиграцию и советуют своим соотечественникам (45%) выехать на работу за границу, даже работая нелегально.

В то же время установлено, что большинство трудовых мигрантов (56%) твердо решили возвратиться в Грузию, хотя по мере увеличения периода эмиграции и улучшения качества адаптации возвращение для трети мигрантов (31,3%) становится сомнительным. Респонденты главной предпосылкой возвращения называют причины экономического характера (71%), поэтому реэмиграционный потенциал все еще несуществен.

При анализе правовой базы, действующей в сфере трудовой миграции, было выявлено, что существующее в настоящее время законодательство несовершенно и не соответствует происходящим в Грузии миграционным процессам. Важнейший для реализации государственной политики по трудовой миграции акт – законопроект «О трудовой миграции» все еще находится в процессе обсуждения. Однако этот проект не отвечает международным стандартам и не содержит широко апробированных в мире механизмов правового упорядочения миграции. Наряду с международными договорами и нормативными актами именно он должен послужить основным рычагом повышения эффективности трудовой миграции, ее легализации и регулирования.

С целью создания единой системы регулирования трудовой миграции необходима разработка государственной программы миграции, тесное сотрудничество почти со всеми соответствующими структурами принимающих стран, что будет способствовать росту экономического и социального эффекта легальной трудовой миграции.

Для реализации указанных стратегических подходов целесообразно:

\_ установление межгосударственного сотрудничества в сфере трудовой миграции, с тем чтобы допустить с целью временной занятости граждан-мигрантов из Грузии на рынки труда принимающих стран с учетом их профессионально-квалификационного состава;

– с целью легализации трудовой миграции усиление сотрудничества в первую очередь с теми странами, в которые направлены основные потоки трудовых эмигрантов из Грузии (Россия, Греция, Германия, США);

– наличие доступной и более детальной информации о ситуации, существующей на рынках труда принимающих стран;

– предусмотрение в программе легализации трудовой эмиграции решения таких задач, как улучшение информированности о возможностях устройства на работу за границей путем создания сети информационных центров (межгосударственных, на уровне страны, регионов и районов); содействие успешно работающим частным агентствам занятости и международным культурно-обменным программам; формирование центров подготовки и переподготовки потенциальных мигрантов, курсов по изучению иностранного языка; создание и развитие как государственных, так и альтернативных форм при высших и средних профессиональных учебных заведениях для оптимизации трудовой миграции студенческой молодежи; оказание материальной помощи, выдача ссуд и другие для выезда в период каникул по трудовому контракту малообеспеченных студентов;

– критический пересмотр системы регистрации, лицензирования туристических и частных фирм занятости и форм организации вывоза желающих за границу;

– приближение полученного в Грузии образования к международным стандартам квалификации и профессиональной подготовки;

– внедрение широко используемой в мире эффективной системы получения профессионального образования по банковскому кредиту;

– разработка программ стимулирования реэмиграции молодежи, в частности, предоставление различных экономических льгот местным организациям, нанимающих на работу студенческую молодежь; максимальное стимулирование агентств, осуществляющих культурно-просветительные обменные программы для занятости молодежи за границей на краткосрочный период, их полная легализация; усиление сотрудничества с молодежью для начала и ведения малого бизнеса;

– создание с целью устранения нелегальной миграции специальных консультационных центров для потенциальных трудовых мигрантов;

– упорядочение системы получения валютных доходов от экспорта рабочей силы, улучшение и упрощение перевода валюты по официальной банковской системе и сокращение затрат на это;

– стимулирование заинтересованности эмигрантов во вложении денежных переводов в бизнес в Грузии;

– усовершенствование статистики миграции и повышение ответственности статистических служб в сборе и обработке информации о миграции;

– формирование единой миграционной службы Грузии, которая объединит разбросанные в государственных структурах контролирующие миграцию органы;

– ускорение присоединения Грузии к конвенциям ООН и Международной организации труда, способствующим регулированию трудовой миграции. Это позволит создать международную правовую базу для регулирования трудовой миграции в Грузии;

– своевременное принятия Закона «О трудовой миграции», в котором полностью и в совершенстве будут отражены стратегические задачи государственного регулирования

трудоустрой миграции и механизмы ее осуществления, в частности, система разрешений на экспорт и импорт рабочей силы.

Таким образом, трудовая эмиграция, несмотря на сопутствующие ей острые социальные проблемы, имеет огромное значение для выхода страны из социально-экономического кризиса. Управление ею представляет собой неотложную задачу. Предположительно, по мере начала экономического подъема ее интенсивность снизится, экспорт же рабочей силы станет более эффективным.

**კ ი თ ხ ვ ა რ ი**

**საქართველოდან წასულ შრომითი ემიგრანტების შესახებ**

**1. თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში:**

001. ქალაქი -----; 002. სოფელი -----.

**2. თქვენი ასაკი:**

003. 16 წლამდე; 004. 16-20; 005. 21-25; 006. 26-30;

ა). 31-40; ბ) 41-50; გ) 51-65; დ) 65 წელზე უფროსი ასაკის.

**3. სქესი:** 007. მდედრობითი; 008. მამრობითი;

**4. ეროვნება:**

009. ქართველი; 010. სომეხი; 011. რუსი; 012. ოსი; 013. აზერბაიჯანელი; 014. ბერძენი; 015. ებრაელი; 016. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**5. თქვენი ოჯახური მდგომარეობა:**

017. ქორწინებაში არასდროს მყოფი; 018. დაოჯახებული; 019. დაოჯახებული შვილებით; 020. ქვრივი; 021. განქორწინებული.

**6. განათლების დონე:**

022. არასრული საშუალო; 023. საშუალო ზოგადი; 024. პროფესიულ-ტექნიკური; 025. საშუალო სპეციალური; 026. დაუმთავრებელი უმაღლესი (სტუდენტი); 027. უმაღლესი; 028. მეცნიერებათა კანდიდატი.

**7. პროფესია:** 029. პროფესია არ მაქვს; 030. მასწავლებელი; 031. ექიმი; 032. ინჟინერი; 033. იურისტი; 034. ხელოვანი; 035. ეკონომისტი; 036. ექთანი; 037. მძღოლი; 038. ხელოსანი; 039. ელექტრო-მექანიკოსი; 040. სხვა (ჩაწერეთ)-----.

**8. ემიგრაციაში წასვლამდე რითი იყავით დაკავებული?**

041. ვსწავლობდი (მიუთითეთ სასწავლებელი-----; ფაკულტეტი -----); 042. ვმუშაობდი დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე; 043. ვმუშაობდი პროფესიის შესაფერის სამუშაოზე; 044. ვმუშაობდი პრესტიჟულ დაწესებულებაში; 045. უმუშევარი; 046. სხვა პასუხი --- -----.

**9. რომელ ქვეყანაში იმყოფებით შრომით ემიგრაციაში?**

047. ქვეყანა -----; ქალაქი -----.

**10. რომელ წელს წახვედით საქართველოდან? -----**

**11. ეს თქვენი პირველი გამგზავრებაა შრომით ემიგრაციაში?**

048. დიახ; 049. არა, ადრე სხვა ქვეყანაშიც ვიყავი; 050. არა, პერიოდულად ვანახლებ ვიზას.

**12. როგორ მოახერხეთ საქართველოდან წასვლის ორგანიზება?**

051. დამეხმარა ნათესავი; 052. მეგობარი; 053. ნაცნობი; 054. სათვისტომო; 055. აქაური ნაცნობის მიწვევით; 056. სასწავლებლისგან დამოუკიდებლად მივიღე მონაწილეობა სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში; 057. გამიშვა უნივერსიტეტმა (ინსტიტუტმა) სასწავლო პროგრამით; 058. სამსახურიდან ვარ მივლინებული და დავრჩი; 059. სპორტული და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით წამოვედი; 060. დამეხმარა დასაქმების სახელმწიფო სამსახური; 061. დასაქმების კერძო სააგენტო; 062. ტურისტული ფირმა; 063. კერძო პირი; 064. წამოვედი ბედის ანაზარა; 065. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**13. რა სახის ვიზით გაემგზავრეთ ემიგრაციაში? 066. სამუშაო; 067. საქმიანი; 068. ტურისტული; 069. სტუდენტური; 070. სასტუმრო (კერძო მიწვევა); 071. ოჯახთან გაერთიანების;**

071<sup>ა</sup>. ტრანზიტული; 071<sup>ბ</sup>. კომერციული; გ) ერთჯერადი; დ) ორჯერადი; ე) მრავალჯერადი.

**14. მიუთითეთ ვიზის მოქმედების ხანგრძლივობა -----.**

**15. რა თანხა დაგიჯდათ წასვლა (მგზავრობის ღირებულების გარდა)?**

(მიუთითეთ აშშ დოლარებში) -----.

**16. საიდან შეძელით წასვლისათვის საჭირო მთლიანი თანხის მოგროვება?** 072. საკუთარი დანაზოგიდან; 073. ოჯახის დანაზოგიდან; 074. გავყიდე ბინა; 075. დავაგირავე ბინა; 076. ვისესხე; 077. გავყიდე ძვირფასეულობა და სხვა ნივთები; 078. დამაფინანსა სტუდენტთა გაცვლითმა პროგრამამ; 079. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**17. თუკი ისესხეთ ფული, შეძელით მისი დაბრუნება?**

080. დიახ; 081. არა; 082. პრობლემა აღარაა, დავაბრუნებ.

**18. რა იყო ძირითადი მიზეზი საქართველოდან თქვენი წასვლისა?**

083. მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი; 084. ვერ ვიშოვე შესაფერისი სამუშაო; 084\*. ვერ ვიშოვე ვერანაირი სამუშაო; 085. ოჯახის ფიზიკური გადარჩენა; 086. სამშობლოში პერსპექტივას ვერ ვხედავდი; 087. თვითრეალიზაციის შეუძლებლობა; 088. მაინტერესებდა საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა; 089. მივიღე სპეციალური მოწვევა აქაური ფირმიდან (დაწესებულებიდან); 090. განათლების მიღება; 091. უცხო ენის ცოდნის დახვეწა; 092. ვიქორწინე უცხოელზე; 093. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა; 094. აქ ცხოვრობენ ჩემი უახლოესი ნათესავები; 095. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**19. შრომით ემიგრაციაში წასვლამდე გაიარეთ წინა მოსამზადებელი პროფესიული და ენის შემსწავლელი კურსები?**

096. დიახ, თვით დასაქმების კერძო სააგენტოში; 097. დიახ, კერძო მასწავლებელთან; 098. არა, მაგრამ შესაბამისი უცხო ენა ვიცოდი; 099. არა.

**20. რას საქმიანობთ ამჟამად იმიგრაციის ქვეყანაში?**

ა) ვმუშაობ: 100. მომვლელად; 101. ძიძად; 102. დამლაგებლად; 103. დამხმარე მუშად; 104. მშენებლობაზე; 105. წარმოებაში; 106. კანცელარიაში; 107. ოფიცინტად; 108. გამყიდველად; 109. სასოფლო-სამეურნეო ფერმაში, სეზონურ მუშად; 110. ავტომანქანის ხელოსნად; 111. მძღოლად; 112. ბინის რემონტზე; 113. მომსახურების სფეროში (სასტუმროში, რესტორანში, სამორინეში, სალონში, ღამის კლუბში); 114. ექთნად; 115. ექიმად; 116. მაქვს საკუთარი ბიზნესი; 117. მაქვს უმაღლესი განათლება და ვმუშაობ სპეციალობის მიხედვით; 118. სხვა (ჩაწერეთ) -----; ბ) ვსწავლობ (მიუთითეთ სად და რომელ ფაკულტეტზე-----); გ) ვსწავლობ და ვმუშაობ.

**21. ვინ დაგეხმარათ სამუშაოზე მოწყობაში?** 119. ნათესავები, მეგობრები; 120. დამოუკიდებლად; 121. საქართველოს შრომითი მოწყობის ბიურო; 122. ჩვენი ქვეყნის სამთავრობო ორგანიზაციები; 123. წამოვედი მივლინებით სტაჟირების მიზნით და დავრჩი; 124. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 125. ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოები; 126. კერძო სააგენტო - «შავი ბაზრის» ბროკერები; 128. მიმღები ქვეყნის საინფორმაციო ბიურო; 129. დაწესებულებებსა და ქუჩებში განცხადებები; 130. სათვისტომო; 131. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა მიხდის სტიპენდიას და ვმუშაობ იშვიათად; 132. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**22. გააფორმეთ თუ არა შრომითი ხელშეკრულება?** 133. არა; 134. დიახ, გარიგება დაიდო წერილობით უშუალოდ დამქირავებელთან; 135. დიახ, გარიგება მოხდა ზეპირად უშუალოდ დამქირავებელთან; 136. დიახ, გარიგება დაიდო წერილობით საქართველოში არსებული ორგანიზაციების შუამავლობით; 137. დიახ, გარიგება მოხდა ზეპირად საქართველოში არსებული ორგანიზაციების შუამავლობით.

**23. შრომითი მოწყობისას რა პირობებზე შეთანხმდით დამქირავებელთან (ზეპირად თუ წერილობით)? [მიუთითეთ ყველა პირობა, რომელიც კონტრაქტით გათვალისწინებულია]**

138. კონტრაქტის ხანგრძლივობა; 139. სამუშაო დროის ხანგრძლივობა; 140. არასამუშაო დღეები; 141. ხელფასის ოდენობა; 142. ზედმეტი ნამუშევარი დროის ანაზღაურება; 143. ანაზღაურებადი შვებულება; 144. საპენსიო ფონდში ანარიცხები; 145. უფასო კვება; 146. უფასო საცხოვრებელი; 147. შრომის პირობების დაცვა; 148. სიცოცხლის დაზღვევა; 149. კონტრაქტის ვადის დაურღვევლობის გარანტია; 150. ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით ფულადი

დახმარება; 151. გათავისუფლების პროცედურა; 152. არცერთ ზემოთ ჩამოთვლილზე; 153. არ ვიცი.

**24. თუკი თქვენ საზღვარგარეთ მოგიწიათ სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულება:** 154. საქმიანობის რომელ სახეს თვლით ყველაზე მომგებიანად (ახსენით რატომ) -----  
-----; 155. ყველაზე მძიმედ (ახსენით რატომ) -----  
-----;

**25. რამდენია თქვენი თვიური შემოსავალი? (აშშ დოლარებში) -----**

**26. ეხმარებით თუ არა საქართველოში დარჩენილ ოჯახს მატერიალურად და რა ფორმით?**  
ა) დიახ: 156. ფულით; 157. ვაგზავნი ტანსაცმელს; 158. ვაგზავნი სხვადასხვა საოჯახო ნივთებს; 159. ვაგზავნი გასაყიდად საქონელს; 160. არა; 161. არა, აქ ვაგროვებ; 162. სხვა (ჩაწერეთ)-----  
-----

**27. რამდენია თქვენი თვიური ფულადი გზავნილის ოდენობა? (მიუთითეთ თვიური გზავნილის ოდენობა აშშ დოლარებში) -----;**

**28. რა საშუალებით აგზავნით გზავნილს (ფულსა და ნივთებს)?**

163. ფოსტის მეშვეობით; 164. ბანკის მეშვეობით [ა) Western Union, ბ) Money Gram...]; 165. ვატან ახლობლებს; 166 ვატან ავტობუსის (მანქანის) მძღოლს; 167. ჩამომაქვს პერიოდულად; 168. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**29. თქვენი ოჯახის წევრებიდან ვინ დარჩა საქართველოში?**

169. მხოლოდ მშობლები; 170. მშობლები და და-ძმა; 171. მხოლოდ მეუღლე; 172. მეუღლე და შვილები; 173. მშობლები, მეუღლე და შვილები; 174. მშობლები და შვილები; 175. სხვა ნათესავები; 176. ჩემი ოჯახის სხვა წევრებიც აქ არიან (მიუთითეთ ვინ და რამდენი) -----  
-; 177. მთელი ოჯახით წავედით.

**30. რამდენია საქართველოში დარჩენილი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე (საზღვარგარეთიდან გზავნილების გარდა)?**

მიუთითეთ ლარებში -----.

**31. როგორ ფიქრობთ, ფულადი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა?**

178. დიახ; 179. არა; 180. ნაწილობრივ; 181. არ ვიცი.

**32. გაქვთ თუ არა კავშირი საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრებთან? 182. არა; 183. სისტემატურად; 184. იშვიათად.**

**33. როდის ჩახვედით ბოლოს?**

185. ერთი თვე არ იქნება; 186. 1-3 თვეა; 187. 3-6 თვეა; 188. 6 თვიდან 1 წლამდე; 189. 1-2 წელია; 190. 2-3 წელია; 191. 3 წელზე მეტი; 192. საერთოდ არ ჩავსულვარ; 193. ახალი წამოსული ვარ.

**34. თუ ვერ ჩადიხართ სამშობლოში, რა მიზეზით?** 194. არ მაქვს ამის მატერიალური შესაძლებლობა (დიდია მგზავრობის ხარჯი); 195. რომ ჩავიდე, უკან წამოსვლა გამიჭირდება; 196. არ მაქვს ჩასვლის სურვილი; 197. ერთწლიანი პროგრამით წამოვედი და ჩასვლა არ ღირს; 198. ჩასვლის საჭიროება არ არის.

**35. ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ თუ დარჩენილხართ უცხოეთში არალეგალურ მდგომარეობაში? 199. დიახ; 200. არა; 201. მიჭირს პასუხის გაცემა; 202. სხვა (ჩაწერეთ) -----.**

**36. დაახლოებით რამდენ ხანს? -----**

**37. ამჟამად ფლობთ კანონიერ უფლებას მიმღებ ქვეყანაში ყოფნაზე?**

203. დიახ; 204. არა; 205. მიჭირს პასუხის გაცემა; 206. სხვა (ჩაწერეთ)-----  
-----.

**38. თუ კი, როგორ შეძელით?**

207. შევქმენი ოჯახი; 208. დამქირავებლის ხელშეწყობით პრობლემები არ მაქვს; 209. პარალელურად ვსწავლობ უმაღლეს სასწავლებელში; 210. მივიღე ლტოლვილის თავშესაფარი; 211. ვმუშაობ ნათესავის საწარმოში; 212. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**39. სად ცხოვრობთ, როგორი საბინაო პირობები გაქვთ?**

213. ვცხოვრობ იმ ოჯახში, სადაც ვმუშაობ; 214. დაქირავებული მაქვს ცალკე ბინა; 215. დაქირავებული მაქვს ბინა ოჯახის წევრებთან ერთად; 216. დაქირავებული მაქვს ბინა მეგობრებთან ერთად; 217. ვცხოვრობ საერთო საცხოვრებელში; 218. ვცხოვრობ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში; 219. ვცხოვრობ ნათესავთან; 220. შევიძინე საკუთარი ბინა; 221. ვცხოვრობ მეუღლის ბინაში; 222. ვცხოვრობ, სადაც მომიხერხდება; 223. სხვა (ჩაწერეთ) -----  
-----.

**40. როგორ ფიქრობთ, მიმღებ ქვეყანაში ირღვევა თქვენი უფლებები, გზვდებათ პრობლემები?**

224. დიახ; 225. არა; 226. ნაკლებად; 227. მიჭირს პასუხის გაცემა.

**41. თუ შეგიძლიათ, დაასახელეთ ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც მიმღებ ქვეყანაში შეგზვდათ?**

228. შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული; 229. შრომის პირობებთან დაკავშირებული; 230. სამუშაოზე მოწყობასთან; 231. საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაციასთან; 232. მოქალაქეობის მიღებასთან; 233. თავშესაფრის მიღებასთან; 234. დოკუმენტაციის გაფორმებასთან; 235. საყოფაცხოვრებო; 236. სამედიცინო მომსახურებასთან; 237. სამართალდამცავ ორგანოებთან; 238. კრიმინალებთან დაკავშირებული; 239. უცხო ენის არცოდნის გამო იქმნება პრობლემები; 240. ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ურთიერთობისას წარმოშობილი; 241. (სწავლის შემთხვევაში) სტუდენტებთან ურთიერთობისას წარმოშობილი პრობლემები; 242. დამქირავებელთან ხშირია კონფლიქტები; 243. ახლობლებთან დაშორებით გამოწვეული პრობლემები; 244. ირღვევა ადამიანთა უფლებები; 245. უცხო სოციალური და კულტურული გარემო; 246. უცხო კლიმატი და ეკოლოგიური გარემო; 246<sup>a</sup>. არ შემხვედრია.

**42. პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში ვის მიმართავთ?**

247. აქ არსებულ საქართველოს წარმომადგენლობას (საელჩო, საკონსულო); 248. სასწავლებელში სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილებას; 249. სათვისტომოს; 250. ნაცნობ-მეგობრებს; 251. აქაური მთავრობის წარმომადგენლობას; 252. სამართალდამცავ ორგანოებს; 253. ეკლესიას; 254. არავის იმედი არ მაქვს; 255. მიჭირს პასუხის გაცემა; 256. სხვა პასუხი (ჩაწერეთ) -----  
-.

**43. საეჭვო პირს თუ შემოუთავაზებია თქვენთვის მიუღებელი, არასაიმედო სახის სამუშაო?**

257. ხშირია ასეთი შემთხვევები ახალ, გამოუცდელ ჩამოსულებთან; 258. არა; ჩემთვის არ არის ცნობილი; 259. სხვა პასუხი (ჩაწერეთ) -----.

**44. ცნობილია თქვენთვის სექს-ინდუსტრიაში ქართველი ემიგრანტების ჩაბმის ფაქტი?**

260. დიახ; 261. არა; 262. მიჭირს პასუხის გაცემა; 263. გამიგონია.

**45. კმაყოფილი ხართ ემიგრაციით?**

264. დიახ; 265. უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო; 266. არა; 267. მეტი გზა არ არის; 268. არა, მაგრამ იმედი მაქვს გამოსწორების; 269. სხვა (ჩაწერეთ) -----.

**46. შრომითი ემიგრაციის განხორციელებით რა ძირითადი პრობლემების გადაჭრა მოახერხეთ?**

270. შევიძინეთ ბინა; 271. შევიძინეთ ბინა მშობლებისგან ცალკე; 272. მსუბუქი ავტომანქანა; 273. ქალაქგარეთ სახლი; 274. ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები; 275. ძვირადღირებული ტანსაცმელი; 276. ჩავატარეთ საცხოვრებელში რემონტი; 277. შევძელით უმაღლესი განათლების მისაღებად თანხის გამოყოფა; 278. დავაბრუნეთ ვალი; 279. მიგვიწვდება ხელი ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებაზე; 280. საშუალება შეგვექმნა, საზღვარგარეთ დასასვენებლად წასვლისა; 281. მოვეწყვეთ შემოსავლიან სამსახურში (სახელმწიფო; კერძო); 282. ვფლობთ შემოსავლის საკუთარ წყაროს; 283. წამოვიწყეთ მცირე ბიზნესი; 284. ვუზრუნველყავით ძირითადად მხოლოდ ოჯახის აუცილებელი მოთხოვნები; 285. ვერცერთი ზემოთჩამოთვლილი პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდა; 286. ჯერჯერობით არცერთი პრობლემა არ გადაგვიჭრია, მაგრამ იმედი გვაქვს; 287. პირიქით, მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა; 288. სხვა პასუხი (ჩაწერეთ)-----.

**47. აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?**

289. დიახ; 290. სანამ აქ გამაჩერებენ, ვიქნები, მერე კი გარემოება უჩვენებს; 290<sup>ა</sup>. დიახ, საქართველოში სწავლის დასამთავრებლად; 291. განათლებას მივიღებ საზღვარგარეთ და მერე შეიძლება დავბრუნდე; 292. დიახ, მაგრამ შესაძლებელია ისევ გავემგზავრო ემიგრაციაში; 293. არა; 294. ჯერ არ გადამიწყვეტია; 294<sup>ა</sup>. არ ვიცი.

**48. თუ არა, საქართველოში შრომის ანაზღაურების რა თანხის შემოთავაზებისას დაბრუნდებოდით მოკლე დროში? (მიუთითეთ ლარებში) -----.**

**49. ხომ არ აპირებთ თქვენი ოჯახის წევრების ან ახლობლების საზღვარგარეთ წასვლაში ხელის შეწყობას?**

295. არა; 296. ჯერჯერობით არა; 297. საერთოდ ვაპირებ; 298. ვაპირებ უახლოეს მომავალში წამოვიყვანო რამდენიმე ახლობელი; 299. აქ ჩემი დახმარებით ბევრი მოწყობილა სამუშაოზე; 300. არ ვიცი.

**50. რა მოიმოქმედეთ უკვე ამისთვის?**

301. ჯერ არაფერი; 302. დავიწყეთ საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; 303. ვეცნობი ამ ქვეყანაში შემოღწევის უფრო საიმედო პირობებს; 304. ვაგროვებ წამოსასვლელ თანხას; 305. ხელსაყრელ მომენტს ველოდებით; 306. სწავლობს საჭირო უცხო ენას; 307. სურვილი ჯერჯერობით ოცნებად რჩება.

**51. საქართველოდან გამგზავრებამდე იცნობდით თუ არა მიმღებ ქვეყანაში შეღწევის/იმიგრირების პირობებს (მიგრაციულ პოლიტიკას)?**

308. დიახ; 309. არა; 310. ხელი არ მიმიწვდებოდა; 311. არა, მაგრამ დიდი სიამოვნებით გავეცნობოდი; 312. არ ვთვლიდი და არც ახლა ვთვლი საჭიროდ.

*გთხოვთ, თუ შეგიძლიათ, ქვემოთ მოგვაწოდეთ სხვა დამატებითი ინფორმაცია.*

*დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის...*



**კ ი თ ხ ვ ა რ ი**

**საქართველოდან ახალგაზრდობის პოტენციური  
ემიგრაციის შესახებ**

**1. თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში:**

001. ქალაქი -----; სოფელი -----.

**2. თქვენი ასაკი:**

002. 16 წლამდე; 16-20; 21-24; 25-30;

**3. სქესი:**

003. მდედრობითი; 004. მამრობითი;

**4. ეროვნება:**

